

ეკიმაზიქული ქავლები და ხელნაწერთა  
მინაწერები

VII

ჭ. საირალაპა

# საბერების ფრესკული წარწერები

თბილისი  
„გეონიმურა“  
1985

72-10-49  
25.0  
72-10-49-22  
25.0

Digitized by srujanika@gmail.com

၆. ဆုတေသနရှင် (အေ. နှိပ်ဆုတေသန), ၇. အာမီလ်, ၈. လျော့ချေစား, ၉. ဂာလံဒွါလ်,  
၁၀. ကြော်မူး (အေ. နှိပ်ဆုတေသန၊ ဓာတ်ဆက်), ၁၁. မြို့လျော်စီဒေသ, ၁၂. ဖျော်နိုင်ဒေသ,  
၁၃. ဆုတေသနရှင်, ၁၄. ပြည်ထဲရှု, ၁၅. ခွဲပြေား.

## ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

Ш. В. Линдигури (главный редактор), М. Д. Абашидзе, З. Н. Алексидзе, В. Н. Габашвили, Г. Н. Дадебашвили, В. И. Чхилидзе, Р. К. Кикнадзе (зам. главного редактора), Г. А. Магомедзалиев, Э. В. Ходария.

Редактор серии и тома З. Н. АЛЕКСИДЗЕ

შემოსულ ტექსტების მიხედვით კომისარის კომისიუსთავანი ერთ-ერთი ყველაზე აღნიშვნილი განვითარებული მდგრადი — სახელმწიფო თოხი ეკლესიის ქართული, სომხური- და ბერძნული ეკლესიების მიმღებად მიმღებების (I—I სს).

Впервые публикуются грузинские, армянские и греческие фресковые надписи IX—X вв. из четырех церквей Саберееби — одного из ранних пещерных комплексов Гареджийского многогорья.

Изучение надписей проливает свет на ряд существенных вопросов истории монастырского комплекса Давид Гареджи и формирования его живописной школы. Помимо того, результаты исследования представляют определенный интерес для выяснения ряда аспектов истории грузинской культуры IX—X вв.

**Публикация предназначена для историков, источниковедов и искусствоведов.**

## ზინასიტუაცია

გარეჯის სამონასტრო ფერწერული სკოლის ფორმირების ეპოქის უაღრე-  
სად საყურადღებო ნიმუშებში — საბერეების გამოქვაბულ ეკლესია-სამლოცვე-  
ლოთა IX-X სს. მოხატულობებში განმარტებითი და ისტორიული ხასიათის  
მრავალი ფრესკული წარწერა არის შესრულებული. მათი უმეტესობა ქართულ-  
ენოვანია, ნაწილი კი — ბერძნული და სომხური. აქ არსებული ეპიგრაფული  
მასალის კვლევა მნიშვნელოვნად სცილდება საკუთრივ მრავალმთის ამ ერთ-  
ერთი უაღრესი, სრულიდ უნიკალური კომპლექსის ისტორიის საკუთხებს  
(თუმცამა, ძეგლის ისტორიის საკულევადაც). წყაროების უქონლობის პირობებ-  
ში, ისინი ფატეტიურად ძირითად დასაყრდენად გვევლინება) და არსებითი  
მნიშვნელობა აქვს აღრეული ხანის გარეჯის სამონასტრო მხატვრულ ცენტრში.  
საზოგადოდ — აღრეშუასაუკუნეების საქართველოში მიმდინარე სხვადასხვა  
ისტორიულ-კულტურული პროცესის შესასწავლად.

აღნიშნული წარწერების დიდი ნაწილი, ყოველივე ზემოთქმულის მიუხე-  
დავად, დღემდე გამოქვეყნებული არ ყოფილა.

ბოლო ათწლეულის განმარტობაში ინტერესი საბერეების მონასტრის ხუ-  
როსმოძღვრებისა და ფრესკული მოხატულობებისამდი ერთობ გაიზარდა. ამჟა-  
მად კ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტრიტუტში  
მზადება მონოგრაფიული გამოკულევა ამ ძეგლის შესახებ (ავტორები: ა. ვოლ-  
სკაია, დ. თუმანიშვილი, ზ. სხირტლაძე); წინამდებარე ნაშრომი სწორედ საბე-  
რეების კომპლექსური შესწავლისათვის მოწყობილი ექსპედიციების შედეგა<sup>4</sup>.

საბერეების ფრესკული წარწერები ენბობრივი და პალეოგრაფიული ხა-  
სიათის თავისებურებათა გარდა მრავალ საყურადღებო მასალას შეიცავს იკ-  
ნოგრაფიული თვალსაზრისითაც. ყოველივე ამის გამო კი, მოხატულობათა შო-  
რის ერთ-ერთში (VII ეკლესიის ფრესკულ შემკულობაში) ქართულთა ერთად  
ბერძნული და სომხურენოვანი განმარტებითი ხასიათის წარწერების არსებო-  
ბისას, ბუნებრივია, გვერდს კერ აცუვლით მოხატულობათა იმ ცალკეულ  
იკნოგრაფიულ ნიშნებს, რომლებიც მათთან არის დაკავშირებული და რო-  
მელთა გარეშე ზემონასხენები იკნოგრაფიული შეუსაბამოები, ანდა ბერ-  
ძნულ-სომხური წარწერების წარმომავლობის საკითხები სათანადოდ გაშექ-  
ბული კერ იქნებოდა. სწორედ ამიტომაა. რომ წინამდებარე პუბლიკაციაში  
აუცილებელი გახდა მოხატულობების ზოგიერთი თავისებურების კონსტატა-  
ცია მცირე ანორთაციების სახით.

მონასტრის ეკლესიათა მოხატულობებში საღებავით დატანილ ისტორიული  
ხასიათის თუ განმარტებით წარწერებთან ერთად შესრულებულია გრაფიტე-  
ბიც — ნაკაწრი წარწერები (ისინი განსაკუთრებით მრავლადაა. საბერეების VII  
ეკლესიის საკურთხევლის ქვედა ნაწილში), რომელიც გრიანტურების ზოგიერთი

<sup>4</sup> წიგნში მოთავსებული ფრესოები და გრაფიტები მონასაზები ავტორის მიერ სწორედ ამ ექსპედიციების მუშაობის პროცესში იქნა შესრულებული.


(მეტწილად XVIII-XIX სს.) არის შესრულებული. წინამდებარე პუბლიკაცია მხოლოდ ფერწერული ეპიგრაფიკით ითარგმნება — ფერდალური ხანის გვიანი საუკუნეების პილიგრიმული მინაწერების გამოცემა კი მომავლის საქმეა.

აქევე, სასიამოუნო მოვალეობად მიგვაჩინა მაღლობა მოვახსენოთ ხელოვნებათმოლენეობის ღოქტორს ანგლი კოლეგიას, კ. კეცელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის უფროსს მეცნიერ-თანამშრომებს — ხელოვნებათმოლენეობის კანდიდატს ელენე მაკარი იანს და ფილოლოგის მეცნიერებათა ღოქტორს ციიალა ქურიკი იძეს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, პროფესორ თინათინ ყაზბეგი იმშვილს, რომელთაგან არაერთხელ მიგვიღია სასარგებლო ჩემევა და დიდი დაბმარება ნაშრომზე მუშაობის პრიორესში ჩვენს წინაშე წამოჭრილი სხვადასხვა როგორი საკითხის ანხილვისას.

ପ୍ରକାଶକ

1. კულტურული ნაკვეთი სამონასტრო კომპლექსი, რომელიც დღეისათვის საბერძნების სახელით არის ცნობელი, გარეჯის მჩავალმთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს (ნახ. 1). აქ, მდინარე იორის აუზში, მის შეაწელზე, საბერძნების გარდა ერთმანეთისაგან სამი-ოთხი კილომეტრით დაშორებული რამდენიმე გამოქვეაბული კომპლექსია მიკვლეული, მათ შორის — ქლავირი, პირუკულმარი, ამ უკანასკნელის სამხრეთით არსებული მიუვალი უდაბნო (ე. წ. „შვი მინდორი“), დიდი ქვაბები, პატარა ქვაბები და სხვ.

ქედი, რომელშიც საბერევების ეკლესია-ქვაბები არის, ნაკვეთი, იგივე ბერების სერია, სოფელ ქეემო ბოდბედან სამხრეთით, დააბლოებით ოცდაუთი კილომეტრითაა დაშორებული. ქედი დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის-



Feb. 1.

კენა მიმართული და მას მღინარე იორი ორად ჰკეთს. ივრის აღმოსავლეთით მდებარე მთის აღმოსავლეთ ფერობძეზე ქოლაგირის მონასტერია გამოყეთილი, ბერების სერის ცენტრალურ ნაწილში კი (მდ. იორის სამხრეთ-დასავლეთით) — ოთხმოცამდე ქვაბი, რომელთა შორის ჩამდენიშე დამოუკიდებელი უდაბნო-მონასტერია.

<sup>1</sup> მონასტრის სახელი — „საბაზილეუბია“ უწინდელი „მღვიმეს“ და „მაღაზანას“ ნაცულადა სამეცნიერო ლიტერატურაში გ. გაფრინდაშილის მიერ არის შემოტანილი: გ. ვაჟა რ. ი ნ. ლ. ა-შ ვ. ლ. ი. სელენა გართული კულტურის კვლევის სპელეისტიკური პრობლემები და გარენის უდაბნო, სპელეისტიკური კვლევა-ძიებანი, სპელეოლოგია XIII სამეცნიერო სემინარის სესიისა საგარეოოში), მოსხენებათ მოკლე შინაარსი, თბ., 1977, გვ. 7.

საბერები ქედის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. სამონასტრო კომპლექსი ბერების ხერის სამხრეთ გაშიშელებულ ფერდზე, მოყეითალო-ყავისფერი, სუსტალშეკავებული მსვილმარცვლოვანი ქვიშაქვის დასტაშია გამოკვეთილი<sup>2</sup>. იგი ერთ იარუსად განლაგებულ რამდენიმე ეკლესიას, სატრაპეზოს და სხვადასხვა დანიშნულების სათავსს აერთიანებს (ნახ. 2, სურ. 1). მხოლოდ VI და VII ეკლესიებს შორის გამოკვეთილი საოსტიგნეს ზემოთ მოჩანს მცირე სამლოცველო-სათავსი. შესაძლოა, ეს მონასტრის წინამდებრის სენაკია.



ნახ. 2.

საბერების კლდეში ნაკეთი ეკლესიებიდან აქ მხოლოდ ოთხ მათგანზე შეეჩერდებით, კერძოდ, იმ სამლოცველოებზე, რომლებშიც დღეისთვის მოხატულობა შემორჩია. პირველი ამათგანი — მონასტრის V ეკლესია<sup>3</sup>. — დარბაზული ტიპისაა, დაარჩენი სამი კი (VI, VII და VIII ეკლესიები) — გუმბათიანი, რომელიც *Croix libre*-ს კომპოზიციის იმეორებს<sup>4</sup>. ისინი, კომპლექსის დასავლეთ ნაწილში არსებული ოთხი სამლოცველოსაგან განსხვავებით, შედარებით სრულად არის შემონახული.

მონასტრის ეკლესიებში, აგრეთვე ზოგი მათგანის გვერდით ნაკვეთ სამლოცველოებში შესრულებული მოხატულობები IX-X საუკუნეებით თარიღდება<sup>5</sup>.

<sup>2</sup> ეს ჭანი აღვილად იფიტება, ამიტომ ეკლესია-სათავსების წინა მხარე (სამხრეთ ნაწილები) ახლა ჩამორჩეულია, IV ეკლესია კი დანგრეულია და მიწით მოლინად არის ამოქსებული. ამას ისიც ემატება, რომ ქვიშაქვების დასტა აქ არათანამართ სიმძლავრისაა და მასთა სისქე დასავლეთისაკენ თანადათან იკლებს — მისი ღილი ნაწილი გადატეცხილია. მონასტრის დასავლეთ მხარეს ეკლესია-სათავსები უკეთ მის ზემოთ განლაგებულ თაბიან კონცენტრულშია გაშოკე-თოლი. ეს უკანასკნელი კი ქვიშაქაზე უფრო ნაკლებ გამდება, ძალზე ფხევირია. ამის გამო, რომ კომპლექსის დასავლეთი ნაწილის გამოქვაბულ ეკლესიათა ინტერიერი მოლინად ჩამოშლილია.

<sup>3</sup> ეკლესიების ნუმერიკა მოცემულია საბერების მონასტრის გ. გაფრინდაშვილის მიერ შედგენილი გეგმრალერი გვგმის მიხედვით.

<sup>4</sup> საუკუნიერი ლიტერატურაში მიღებულია ამ ეკლესიების დათარიღება VI-VII საუკუნეებით. იხ. გ. გ. უ. ჩ. ნ. დ. ა. შ. ვ. ი. ლ. ა., დასახ. ნაშრომი, გვ. 6—7 (საბერების კომპლექსი აქ მოთავსებულია ქვეთავში, რომელიც გარეჯის უდაბნოს ახლამზეკვლეულ VI-VIII სს. ძეგლებს ებება); Г. М. Гарин и Швилли, Скальные куточные памятники и их значение в развитии монументальной архитектуры Грузии. „ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი II საერთაშორისო სიმბოზიუმი“, თბ., 1977. საფეხრებელია, რომ ისინი უფრო მოგვიანო ხანი — IX-X საუკუნეების უნდა მიეკუთვნოს (მიმდინარე იხ.: დ. თ. უ. მ. ა. ნ. გ. ვ. ი. ლ. ი., „თავისუფალ ფრისა კომპოზიცია შეა საუკუნეების ქართულ ხეროოთოდღერებაში, საკანდიდატო დასტატუაცია, თბ., 1982, გვ. 178—179).

<sup>5</sup> გ. გაფრ. ინდ. ა. შ. ვ. ი. ლ. ა., დასახ. ნაშრომი, გვ. 8—9; A. Volkayeva, Peintures

շ. Թոնաստրհուս Շեսանքը համեր լրճակա օժդրուուլ թյահորեծն առ Մեմոնցա-  
սացն. ամ եահայն ևս համբանաձմբ աղօննինց հիմարհածուլո արյեռլո-  
գուրի ԿՎԼԵՎԱ-ՏՊԵՅՑՈ Շելքացն օցսացն. Սահցրեցն օժակա ու մուսան որո-  
սամո ԿՐԱՆԹԵՐԻՆ ԸՆՇՈՐԵՑՈՒԹ ծյուրեցն օժակա Սերու շապուռեցն թյ գամուցուուլ վեպ-  
տա զութլույցն օժակա հիմարհածուլ գատեհցն օժակա Շելքագագ նասաելահու և համ-  
բանամեր սամահուցան օյնա աղմուինուուր. արյեռլոցուրի Թոնաստրհարու Խ-  
ՍԱԿԱՀՈՒՆԵՑՆ գանցէպատակնեծ; „Ծասաթլուցն օժմանուրուց և սակագ Թոնաստրհարու  
նուուտուուր մասալու եահուսեն վեածցն օժակա մյունդրուց մալալ ցյոնուուր լունցն չե-  
մուշտուուր ծեծն”<sup>7</sup>.

ვფიქრობთ, ბერების სერის ვრცელი დასახლების არსებობა გარევის შეავალმთის ერთ-ერთი ფრიად მნიშვნელოვანი კერის — საბერებების აღლოს. იგრისპირა მიღამოებში დაარსებულ რამდენიმე უდაბნო-მონასტერიან ერთად აღნიშნულ კოპლექში მისდინარე ინტენსიური სამონაზენი ცხოვრების ამას-ველიც უნდა იყოს, და, ბუნებრივია, მის განსაზღვრულ ქრონოლოგიურ ერა-საც უკავშირდება. ამ მხრივ განსაკუთრებით საგულისსმოა ის, რომ ორგორუ ხსნებული ნამოსახლარი, ისე საბერებების მოხატულობები ერთსა და იმავე პერიოდში — IX-X საუკუნეებში წარმოქმნილი.

3. საბერეების სამონასტრო კომპლექსი სამეცნიერო ლიტერატურაში დი-  
ლი ხანია ცნობილია. იგი, გარეჯის მრავალმთის ს ხევა უდაბნოებთან ერთად,  
მოხსენებული აქვს პლ. იოსელიანში. იგივე ცნობა მოტანილი აქვს მ. ჯანა-  
შვილსაც ("ორივე მკვლევართან ეს მონასტერი „მაღაზანად“ ანუ „მლვიშედ“  
იწოდება").

საბერებებს შეეხო გარეფის მრავალმთის ქეგლთა პირველმეტელევარია გ. ჩუ-  
ბინაშვილიც. სამონასტრო მხატვრული ცენტრის ისტორიის, ხუროთმოძღვრუ-  
ლი და ფერწერული ქეგლებისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში „გი წერს:  
«...считаю нужным здесь упомянуть о сделанном мне сообщении, что  
вглубь Кизикии, также в совершенно пе населенной сейчас полосе, име-  
ются пещерные расписанные комплексы с наименованием Магазана и  
Колагири (მაკაზანა, კოლაგირი)»<sup>10</sup>.

აქვთ დაესქენო, რომ სხვენებულთაგან არ უ ერთ მკლევარს მრავალთის აღმოსავლეთ ნაწილში — იყრისპირებში მდებარე ქვაბები, კერძოდ კი საბერებების უდაბნო, თავად არ უნახავს. გარეჯის ამ მხარეს საგულისხმო ტეგლების არსებობა მათვების მხოლოდ გაღმოცემით იყო ცნობილი.

muraux du monastère rupestre de Sabércébi dans l'ermitage de David Garéjî, მდებარეობს ქართული ხელოვნების ძალიში მთლიანი III საუკუნეების ხელოვნების ცტელი (ქ. ბარი).

6 ბ. 8 ქ ე დ ლ ი შ ვ ი ღ ი ნ ა ს ა ხ ლ ა რ ი „ქ ე პ ე ბ ი მ ი ს ი ღ უ რ ი კ ე ლ ე ვ ა - დ ი ე ბ ა რ ი , ს ა ხ ლ ე ღ ლ ღ ღ თ ა X I I ს ა მ ე ც ი რ ი რ ი ს ე ს ი ა . გ ი ხ ს ე რ ე ბ ა თ ა მ ი კ ლ ე ს ი უ რ ი ს ი , ს ა ხ ა რ ა ს ი , 15-16; მ ი ს ი ვ , ი ვ ი ს ი ს ი რ ი რ ი ს „ქ ე პ ე ბ ი მ ი ს ი“ ა რ ქ ე ღ ლ ღ ღ თ ა ჭ კ ე რ ე ბ ი მ ი , ს ა ქ ა რ ა ფ ა ლ ი ს ა ხ ე ღ მ წ ი ფ ა მ ე წ ე უ მ ი ს ა რ ქ ე ღ ლ ღ ღ თ ა ჭ კ ე რ ე ბ ი მ ი , V , თ ბ . 1977 , გ ვ . 157 - 170 , ტ ა ბ . X X X - X X I I ; მ ი ს ი ვ , ი ვ ი ს ი ს ი რ ი რ ი ს „ქ ე პ ე ბ ი მ ი ს ი“ 1976 წ ლ ი ს ა რ ქ ე ღ ლ ღ ღ თ ა ჭ კ ე რ ე ბ ი მ ი , ა გ ა რ ი შ ი შ , ს ა ქ ა რ ა ფ ა ლ ი ს ა გ ა რ ი შ ი შ , ს ა ქ ა რ ა ფ ა ლ ი ს ა ხ ე ღ მ წ ი ფ ა მ ე წ ე უ მ ი ს ე ქ ს ა ღ ი ლ ი მ ი , VI , თ ბ . 1978 , გ ვ . 114 - 123 , ტ ა ბ . X X X , 1.

7 ბ. მცენლიშვილი, ნასახლარი უქაბებია იერის შეა წელზე, გვ. 17.

<sup>6</sup> Гл. Иоселпани, Описание древнестей города Тифлиса, Тифлис, 1886, с. 33.

9 ბატონიშვილი ვაკე შრი, საქართველოს გეოგრაფია, მ. ჭანაშვილის რედაქ-  
ციით, ტითლის, 1904, გვ. 67, შენ. 122.

④ Г. Н. Чубинашвили, Пещерные монастыри Давид-Гареджи, Тб., 1948, с. 18, прим. 4.

1964—1965 წლებში უურნალში „საბჭოთა ხელოვნება“ გამოქვეყნდა. ღონაშვილის წერილი (ორ ნაწილად), რომელიც იქრის ხეობაში განლაგებულ გამოქვაბულ მონასტრებს მიეძღვნა<sup>11</sup>. პუბლიკაციის აეტორი მიუთითებს, რომ მან თავდაპირველად 1920-იანი წლების მიწურულს, შემდგომ 1939 და 1941 წლებში იმოგზაურა გარეჯის ამ ნაწილში, აღწერა ყველა უდაბნო, გააკეთა ჩანახატები ფრესკული მხატვრობიდან და გამომოწერა წარწერები<sup>12</sup>. ღ. გონაშვილის წერილში ქოლაგირის გმოქვაბული მონასტრისა და ბერების სერის აღმოსავლეთ მასივის ქვაბებთან ერთად ზოგადად არის აღწერილი საბერებების ეკლესიები და მათი მოხატულობები. ეს აღწერა — მას აეტორისებული რამდენიმე ჩანახატი ახლავს — განსაკუთრებით ფსეულია დღეს, რადგან ღ. გონაშვილის მოგზაურობის შემდგომი წლების განმავლობაში ამ რეგიონის მეტად საყურადღებო ხასიათის მოხატულობები, მათ შორის საბერებების კედლის მხატვრობაც, საგრძნობლად დაზიანებულია — გამოსახულებებისა და წარწერების ნაწილი ამჟამად აღარ არსებობს.

საბერებების სამონასტრო კომპლექსს, გარეჯის უდაბნოს სხვა კლდეში ნაკვეთ ძეგლებთან ერთად, 1940—1947 წლებში აღნიშნულ რეგიონში გეოლოგიურ საძიებო ექსპედიციებში მონაშილებისას, აგრეთვე შემდგომ, პერიოდულად იკვლევდა თ. თოდუა; მოგვიანებით მან გარეჯის მონასტერთა ლოკალიზაციისათვის მიძღვნილ წერილში სხვებთან ერთად აღწერა საბერებების ქვაბებიც (ამ გამოქვაბულ მონასტერს თ. თოდუა მღვიმეს უწოდებს); მანვე მიუთითა ძალზე საყურადღებო ხასიათის მოხატულობების არსებობას შესახებ<sup>13</sup>.

თ. თოდუას მასალებისა და ცნობების ნაწილი გამოყენებული და მოხმობილი აქვთ თ. ბარნეველს<sup>14</sup>, თ. პაპუაშევილს<sup>15</sup>, აგრეთვე ტ. შევაკოვას<sup>16</sup> — 1983 წელს გამოქვეყნებულ მის აღმომში აღრეშუასაუკუნეების საქართველოს შონუმენტური ფერწერის ტეგლთა შესახებ საბერებებიცაა შეტანილი<sup>17</sup>.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში (1970 წლიდან) საბერებების გამოქვაბული კომპლექსი გამოიყენების სხვა ქვაბებთან ერთად ს. ჯანაშიას სააბ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სპელეოლოგიური ლაბორატორიის კედლევის საგანი გახდა<sup>18</sup>. უკვე გამოქვეყნდა ორი ნაშრომი (აეტორი გ. გაფრინდაშვილი).

11 ღ. გონაშვილი, იქრის ხეობაში, „საბჭოთა ხელოვნება“, 1964, № 2, გვ. 60—64, 1965, № 12, გვ. 49—54 (საბერებების შესახებ საუბარია მეორე წერილში).

12 ექსპედიციის შედეგები მოხსენდა ქ. ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სამუნიცირო სესიის (1955 წ.); შემდგომ გაშეთ „სახლხო განათლებაში“, 1950 წელს (9 აგვისტო, № 32) გამოქვეყნდა წერილი — „ისტორიულ მონასტერები იურის ხეობაში“.

13 თ. თოდუა. გარეჯა (მონასტერთა ლოკალიზაციისათვის), „ტეგლის მეგობარი“, № 31—32, 1973, გვ. 21.

14 თ. ბარნეველი, კახეთის სტორიული ტეგლების წარწერები, თბ., 1962, გვ. 58 (ამ მოტანილი ერთი ფრესკული წარწერა საბერებების მონასტრის VIII ეკლესიიდან).

15 თ. პაპუაშევილი, ტეგლების ისტორიის სკონსები. თბ., 1970, გვ. 170.

16 ტ. С. Шевякова. К вопросу о возникновении и характере фресковых росписей в Грузии VIII-X вв., саზგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მთავარი, 1962, № 1, გვ. 261, 263—264. ტბ. 1გ; წერილში საბერებები იწოდება როგორც პეშერის კомплексის სიგახა, ამასთან აქ მითითდებული არა თხზი, არამედ სამი მოხატულობის არსებობის შესახებ.

17 ტ. С. Шевякова. Монументальная живопись раннего средневековья Грузии. Тб., 1983, с. 9—14, рис. 24—47.

18 გ. გვ. 4 ლ. ვ. ვ. ლ. ი. ივრის სამონასტრო ქვაბების არქეოლოგიური დაზევებები. გვ. 157.

ლი)<sup>19</sup>, სადაც, სხვა საკითხებთან ერთად, ჩვენთვის საყურადღებო გამოქვებული ექლესიების ხუროთმოძღვრული თავისებურებები და კედლის მხატვრობაცაა განხილული. ცოტა მოგვიანებით, 1980 წლის ოქტომბერში, ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილ III საერთაშორისო სიმპოზიუმზე (ქ. ბარი, იტალია) საბერებების ექლესიების მოხატულობასთან დაკავშირებული სპეციალური მოხსენება წაიკითხა ა. ვოლსკაიმ. მოხსენებაში ავტორი განიხილავს შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობის ამ შეტად მნიშვნელოვანი ძეგლების იქნონგრაფიისა და სტილის ზოგ საკითხს, ესება წარწერებდაც<sup>20</sup>. საბერებების შესახებ საუბარი იყო ამავე ავტორის მოხსენებებში ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე<sup>21</sup>, სომხეთისა და საქართველოს ხელოვნების პრობლემებისადმი მიძღვნილ II სარესაცმლიკათშორისო კონფერენციაზე<sup>22</sup>, აგრეთვე ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილ IV საერთაშორისო სიმპოზიუმზე<sup>23</sup>.

ჰერეთის ისტორიული გეოგრაფიის, კერძოდ, გარეჯის მრავალზოს რეგიონის ეთნიკური შემდგენლობის თაობაზე მსჯელობასთან დაკავშირებით საბერების მონასტრის ერთ-ერთი კელესის მოხატულობაში სომხურენოვანი ეპიგრაფული მასალის არსებობის ფაქტი აღნიშნულია დ. მუსხელეშვილ-თაძე<sup>24</sup>.

მონაცემის ორ ფრესკულ წარწერას და მასთან დაკავშირებულ საკითხებს მიეღოვნა წინამდებარე პუბლიკაციის ავტორის მცირე წერილი 1981 წელს<sup>25</sup>. ამას გარდა, ძეგლის ეპიგრაფული მასალის კვლევის ძირითადი შედეგები მოხსენდა წერილობით ძეგლთა კვლევის პრობლემებისადმი მიმღვნილ საკავშირო კონფერენციის<sup>26</sup>.

ასეთია მეტად საბერეების უდაბნოს შესახებ არსებული სპეციალური სა-მეცნიერო ლიტერატურის საკმაოდ მცირე ნუსხა. მასში ფრესკულ წარწერებს მხოლოდ ძალზე უმნიშვნელო აღვილი ეთმობა.

<sup>19</sup> об.: გ. გატრინდაშვილი, ძეგლი ქართული კულტურის კულტურული მნიშვნელობიდან განვითარების უდაბნო, გვ. 7—9; Г.М. Гаприндашвили, Скальные купольные памятники.

② A. Volskaya, Peintures murales du monastère rupestre de Sabréébi dans l'ermitage de David Garedji.

(5). ვ თ ლ ს კ ა ი ა, დავით გარეფის შესწავლის პროცესშები გ. ჩუბინშვილის გმო-კლევებში, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის XXVI სამეცნიერო სესია, მიძღვნელი გ. ჩუბინშვილის დაბალების 95-ე წლისთვეისადმი, მოხსენებათა ოზშისება, თბ., 1981, გვ. 13—16.

<sup>65</sup> А. И. Вольская, Росписи пещерных монастырей Давид-Гареджи, II Межреспубликанская научная конференция по проблемам искусства Армении и Грузии, Тезисы докладов. Ереван, 1981; с. 22–23.

<sup>23</sup> А. И. Вольская, Ранние росписи Гареджи, «IV международный симпозиум по грузинскому искусству», Тб., 1983.

<sup>⑤</sup> Д. Л. Мусхелишвили, Из исторической географии восточной Грузии, Тб., 1982, с. 27—28.

25 %. Տ և Տ ը լ ա ճ յ, Ծանրու թօմենքացու ուժագուստ աղմանքեցու ըստ պահանջման պահանջման մասին, Տ. 103, Ն 1, 1981, Ց. 221—224.

<sup>28</sup> З. Н. Схиртладзе. Фресковая эпиграфика монастырского комплекса Сабе-рееби, «Актуальные проблемы изучения и издания письменных исторических источников», Всесоюзная научная сессия, Тезисы докладов, Тб., 1982, с. 83.

## V ეკლესიის ფრესკული წარწერები

დარბაზული ტიპის კლეში ნაკვეთი ეკლესია მთლიანად შელესილია, თუმცა მოხატულობა მხოლოდ საკურთხეველში და ჩრდილოეთი კედლის აღმოსავლეთ ნიშაშია შესრულებული. მხატვრობა IX საუკუნით თარიღდება!

საყმაოდ ფართო საკურთხევლის კონქში გამოსახულია საყდარზე მჯდომარეობის წინ აღმართული მაკურთხეველი მარკვენით, ხოლო მარტხენა ხელში — გადაშლილი წიგნით. მაცხოვარი ვარსკვლავებიანი ცის ფონზეა წარმოდგენილი. მისი ფიგურა დღეისათვის ძალზე დაზიანებულია და მთლიან უალკეული დეტალები გაირჩევა, ამასთან, ფერები აქ ძირითადად სახეშეცვლილია ან ჩამოცვენილი<sup>2</sup>.

ქრისტეს ფიგურა საბერების V ეკლესიის საკურთხევლის ფრესკაზე „დიდების“ (მანდორლის) გარეშე არის წარმოდგენილი. მაცხოვრის ტერცუსადგამის გვერდზე შესრულებულია ხარის (მარტხენივ) და ლომის (მარტხენივ) ფიგურები — მათგან მხოლოდ მოსამზადებელი ნახატილა არის შემორჩენილი. საყდრის ორსავე მხარეს კი მთავარანგელოზთა გამოსახულებებია წარმოდგენილი. ქრისტესკენ მიმართულ ანგელოზებს ხელში გრავირილი უჭირავთ, მეორე მეერდის წინ აქვთ აღმართული და მაცხოვრისკენ მიპყრობილი განდიდების ნიშანი.

ქრისტეს საყდარსა და მთავარანგელოზთა ფიგურებს შორის შესრულებულია მრავალფრთხოდთა გამოსახულებები ცეცხლოვან ეტლზე. მათი ფიგურების ჭვედა ნაწილები დაზიანებულია, თითქმის მთლიანადაა გაღაშლილი და დღეისათვის ცეცხლოვან ეტლთა მონახაზები ოდნავეა ჩანს. იქვე, მთავარანგელოზთა ტურფებთან გაირჩევა მცუნარეებიც — იყოთ ფერის, უჩვეულო წრიული ფორმის თავიანი ყველილები(!).

საკურთხევლის ზედა რეგისტრის კომპიზიციას ასრულებს მისი ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლის კიდეებზე, იმპოსტებს ქვემოთ ოთხკუთხა მოჩარჩოებაში ჩასმულ დიკვანთა ფრინტალური გამოსახულებები. ამგამად შედარებით უკეთ შემორჩენილი სამხრეთი კედლის ფიგურა. მისი სახისა და შარავანდის მარჯვენა ნახევარი, ნალესობის ფერის ჩამოშლის გამო, აბლა აღარ არსებობს. ამავე მიზეზით ჩრდილოეთ კედლებზე წარმოდგენილი დიკვენის გამოსახულება თითქმის მთლიანად დაღუპულა — დღეისათვის მისგან მხოლოდ შარავანდის ზედა ნაწილი და მოჩარჩოების ფრაგმენტები შემორჩენა.

საკურთხევლის ჭვედა რეგისტრის მოხატულობა — იგი კონქის გამოსახულებებისაგან არათანაბარი სიგანის ე. წ. „კიბისებრის“ ორნამენტით გამოიყოფა — განსრის დაზიანებულია. შემორჩენილი ძალზე მცირე ფრაგმენტებიდან

<sup>1</sup> A. Vol'skaya. Peintures murales du monastère rupestre de Sabréébi.

<sup>2</sup> საკურთხევლის ფრაგმენტების შემოცვლის ცეცხლალური ნაწილი აქ დაზიანებული ცეცხლის მიერ არის დაზიანებული.

ჩანს, რომ აქ მოციქულთა რიგი იყო გამოსახული ტრადიციულად ცენტრში წარმოდგენილი ღმრთისტშობლის ფიგურითურთ.


ამრიგად, V ეკლესიის საკურთხევლის მოხატულობაში „ქრისტეს ღიღების“ თეოფანიური კომპოზიციის ერთ-ერთი რედაქცია არის შესრულებული.

ეკლესიის ჩრდილოეთი კედლის აღმოსავლეთი ნიშა (იგი ეკლესიაში შესასვლელი ღობის პირდაპირა), როგორც ალინიშნა, ასევე მოხატულია. თუმცა მხოლოდ ნაწილობრივ. ფურადოვანი ფენა ნიშაში მეტად დაზიანებულია და მხატვრობილან აქ მცირე ფრაგმენტებილა შემორჩა.

იატაის ღონიდან საქამოდ მაღლა — ორი მეტრის სიმაღლე ხე, ნიშის ჩრდილოეთ კედლზე ერთი, საქამოდ დიდი ზომის სცენა ყოფილა შესრულებული, რომელის მოჩარჩოება, კომპოზიციის არათანაბარი განაწილების გამო, მცირედ ნიშის დასავლეთ და აღმოსავლეთ კედლებზეც გადაღის. შემორჩა მხოლოდ მისი ქვედა ნაწილი, სადაც ახლა უკვე ძნელად გაირჩევა აქ ვამოსახული ორი ცხენის დეტალები, ძირითადად — ფერები. აქვე, სცენის მარცხნა ნაწილში, მოჩანს გველეშაბის სხეულის ფრაგმენტები, აგრეთვე მარცხნა მხედრის უზანგში გაყრილი მარჯვენა ტერცია. ცხენები ერთმანეთისკენაა მიმართული. ეპივი არ არის, რომ იქ წმ. მხედართა პერალდიკური გამოსახულება იყო შესრულებული. კომპოზიცია ე.წ. „კიბისებრი“ ორნამენტის ზოლით ყოფილა მოჩარჩოებული.

V ეკლესიის მოხატულობაში განხილული კომპოზიციებისა და გამოსახულებების გარდა, შემორჩა ორი ფიგურის მცირე ფრაგმენტებიც. მათგან პირველი ჩრდილოეთი მკლავის აღმოსაელეთ კედლზე ყოფილა შესრულებული, მეორე — იმავე მკლავის საკურთხეველთან მიმდებარე კუთხის ჩრდილოეთ პირზე. ამ ფრონტალურად წარმოდგენილი, შარავანდმოსილი ფიგურებილან დღეისთვის მხოლოდ შესამოსელის ნაშთებია დარჩენილი, რომლებიც გვალიერებინებან, რომ აქ დიაკვენის (პირველმოწამეთა) ორი ფიგურა იყო შესრულებული.

1. საკურთხევლის ცენტრში წარმოდგენილი საყდარზე მჯდომი ქრისტეს გამოსახულების გარდა, შემორჩა ორი ფიგურის მცირე ფრაგმენტებიც. მათგან პირველი ჩრდილოეთი მკლავის აღმოსაელეთ კედლზე ყოფილა შესრულებული, მეორე — იმავე მკლავის საკურთხეველთან მიმდებარე კუთხის ჩრდილოეთ პირზე. ამ ფრონტალურად წარმოდგენილი, შარავანდმოსილი ფიგურებილან დღეისთვის მხოლოდ შესამოსელის ნაშთებია დარჩენილი, რომლებიც გვალიერებინებან, რომ აქ დიაკვენის (პირველმოწამეთა) ორი ფიგურა იყო შესრულებული.



ნახ. 3.

### თა წე ა(ეს)ო ქ(რისტე)

ქრისტეს დაქარაგმებული სახელი აქ მსხვილი გრაფემებითა შესრულებული — 4,4-5-6,2; ქარაგმის ნიშნები არ განირჩევა. საკურთხევლის შეკვარტლულობის გამო წარწერის სალებავი ამჟამად დეფორმირებული და სახეშეცვლილია. უფრო მეტიც — გამოსახულების მარჯვენა მხარეს არსებული ორი გრაფემის სალებავი ნალესობიდან აცვენილია და მათგან მხოლოდ თეორი კვალიდა არის დარჩენილი.

Q თ გრაფემა წარწერაში განსაკუთრებით სწორი, მკაფიოდ წრიული მოხაზულობით გმოირჩევა (შდრ. ყანჩეთის კაბენის IX საუკუნის დასაწყისის

ფრესკული მინაწერი, ფიას წმ. თევდორეს ეკლესიის საკურთხევლის X საუკუნის მოხატულობაში, ქრისტეს გადაშლილ წიგნზე არსებული წარწერა). აღნიშნული თავისებურება, როგორც ცნობილია, აღრეული ხანის ეპიგრაფიკული ძეგლებისთვისაა დამახასიათებელი<sup>4</sup>, თუმცა, ამ უკანასკნელთაგან განსხვავდით, საბერებების V ეკლესიის მოხმობილ წარწერაში ეს გრაფემა არა კაუკისებბით, არამედ სწორი, ქვემოთკენ დიაგონალურად მიმართული, საკმაოდ გრძელი ფეხითაა მოცემული.

მოყვანალ წარწერაში ქრისტოლოგიურ ნიშნად უნდა ჩაითვალოს გრაფემის მარცხნივ გაზიდული ჰორიზონტული ხაზი, რომლის გაჩენა IX-X საუკუნეებში ივარაუდება<sup>5</sup>.

ა) ქვევ ყურადღებას იმსახურებს საკუთარი სახელი დასახურილობა.

ა) ძეველ ქართულში გავრცელებული ნასესხები სახელის იესუ-სკან (იხ. ბერძნული ბ. ზურაბ და სომხური მწითა) განსხვავებით, საბერებების ამ წარწერაში მოცემულია ქრისტეს სახელის შედარებით იშვიათი, Ω ო-ზე დაბოლოებული ფორმა<sup>6</sup>. მიჩნეულია, რომ იგი ძეველ ქართულში იმ საკუთარ სახელთა ანალოგითა შექმნილი, რომლებიც ასევე Ω ო-ზე მოლოდება<sup>7</sup>.

ბ) თ. ბარნაევლის მიხედვით, ა) ასოს ხმარება სახელების თავში აღრეულობის ერთ-ერთ მაჩენებლად გვევლინება როგორც ხელნაწერებში, ისე ეპიგრაფიკულ ძეგლებში<sup>8</sup>. ესუ საბერებების გამოქვაბული ეკლესიის მოყვანილი წარწერის მსგავსადაა გადმოცემული დოდოს რქის მონასტრის ასევე კლდეში ნაკვეთი გუმბათინი ეკლესიის საკურთხევლის მოხატულობაში (IX ს.)<sup>9</sup>, ზარზმის ფერის ცეკვალების ჭედურ ხატზე (886 წ.)<sup>10</sup>. ოპიზის ეკლესიის ქტიტორულ წარწერაში (IX საუკუნის პირველი მეოთხედი)<sup>11</sup>, მცირე ბარ-

<sup>3</sup> Р. С. Меписашвили, В. Г. Цинцадзе, Архитектура нагорной части исторической провинции Грузии — Шида Картли, Тб., 1975, с. 28, рис. 19. ასეთივე გრაფემას მქონე Ω ო-ს ვეღვებთ მციროს IX საუკუნის (ერთმავარებული ათასი ყაჩავლის) წარწერაში. Р. С. Меписашвили, Полупещерный памятник в сел. Бнети, Ars Georgica, 6-А, 1963, с. 44—46, рис. 16, таб. 21.

<sup>4</sup> ა-ს ამგვარ გრაფიკა უკვე პალესტინის უძველეს წარწერებშია დაბასტურებული. იხ. გ. წერე თელი, უძველეს ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ., 1950, გვ. 45, 49. ტაბ. 5 (წარწ. III). ბ. შოშიაშვილი, ურბნისის ქართული წარწერები, „პალეოგრაფიული ძეგლები“, I, თბ., 1965, გვ. 147.

<sup>5</sup> გ. წერე თელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 41, 42; ბ. შოშიაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 142, შენ. 37.

<sup>6</sup> ზ. სარჯაო თელი, მრველი თუ მრველი (ო და უ ნიშანთა ურთიერთობისაც მოძიარებისთვის ქართულ წერილობით ძეგლებში), „მრავალფენი“, II, თბ., 1973, გვ. 8.

<sup>7</sup> ა. უანიძე, ანტონ ი-ის გაულენა სალიტერატურო ქართულზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქველ ქართულ ენის კათედრის შემცხები, 9, თბ., 1965, გვ. 44.

<sup>8</sup> ა-ი. გარებოს მონაცემების პრეცენტების შესახებ მკლევართა შორის არსებულ სხვადასხვა მოსაზრებებში საუბრა გამოკვლეული: შამათა ცხორებანი, ტექსტი გამოსაყენებით დაურჩო ვ. იმანიშვილმა, თბ., 1975, გვ. 381.

<sup>9</sup> თ. ბარნაველი, ბალიკერი ქედამახასის წარწერის დაკვირვებისთვის. „გ.ცნ.“, სტორონის, აქტეროლოგის, კონკრეტულისადაც ხელოვნების სტორონის სერია, 1972, № 2, გვ. 147. მგვარი გარეული გმოთქმული აქვს ვ. მირანაშვილსაც. შ. ი. ამირანაშვილი, История грузинской монументальной живописи, Тб., 1957, с. 33.


<sup>10</sup> შ. ი. ამირანაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 31.

<sup>11</sup> Г. Н. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, Тб., 1959, с. 41.

<sup>12</sup> 6. ილაშვილი, რელიეფი მაზრაბაშვილის სახურავულებით, საქართველოს სარმატოგრაფიული აკადემიის მამაშვილ, ტ. XV, № 7, 1954; Нико Чубинашвили, Хандиси. Проблема рельефа на примере одной группы грузинских стел последних

ძიმზე ილორიდან (X ს.)<sup>12</sup>, ლაფსყალდის ჭვარჩე (X-XI სს. მიგნა)<sup>13</sup>, თუმცა ამგარი მოვლენა შემდგომ პერიოდშიც არ უხდა იყოს ძალზე იშვიათი (შდრ.: წარწერები სალოლაშენის)<sup>14</sup> და შემოქმედის<sup>15</sup> ლორთუნებზე — XI საუკუნის დასაწყისისა, წმ. კვირიკეს და ივლიტას ხატი ლაგურეადან — XI ს.<sup>16</sup>, ზემო კრისის XI საუკუნის მეორე მეოთხედით დათარილებული<sup>17</sup> და ნაკიფარის 1130 წლის<sup>18</sup> მოხატულობები და სხვ.).

2. იქვე, საუკრთხევლის მოხატულობაში, საყდარზე მჯდომი ქრისტეს გადაშლილ წიგნზე ფრაგმენტულადაც შემორჩენილი 12 სტრიქონიანი ასომთავრული წარწერა. მისი ზომა — 35,1×34,6 (ამასთან, versc-ზე — 15,4×30,1, recto-ზე — 17,5×33,8); წარწერაში სტრიქონთა (შესაბამისად — გრაფემათა) სიმაღლე ერთმანეთისაგან განსხვავებულია — 1,5-2,2-2,7-3,1-3,7. განსაკუთრებით დიდი ზომის გრაფემებია მერვე სტრიქონის დასაწყისში — 4,6. ქარაგმის ნიშანი —



ნაბ. 4.

ней четверти V века, VI и первой половине VII века, Тб., 1972, с. 117, таб. 91. ქართული წარწერების კორპუსის რელიეფზე არსებული წარწერები და შესაბამისი, თვით ჩატური 923-937 წლებით არის დათარილებული. იხ.: ქართული წარწერების კორპუსი, ლაპრატული წარწერები, I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X ს.), შედგრა და გვთხავდეთ მასშია და 6. შოშიაშვილმა, იბ., 1980, გვ. 285—287, სურ. 178.

<sup>12</sup> Г. Н. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, გვ. 159, ფოტო 98.

<sup>13</sup> იქვე, გვ. 80, ფოტო 367.

<sup>14</sup> იქვე, გვ. 93.

<sup>15</sup> იქვე, გვ. 100.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 295.

<sup>17</sup> Т. В. Вирсаладзе, Фресковая роспись в церкви Архангелов села Земо-Крихи, Ars Georgica, 6—A, таб. 47.

<sup>18</sup> Н. Аладашвили, Г. Алибегашвили, А. Вольская, Росписи художника Тевдоре в Верхней Сванетии, Тб., 1966, таб. 39.

იგი მეტავრ სტრიქონის დასაწყისში ჩანს — განივი, სწორი ხაზი (დარჩენილია მისი მარჯვენა ნახევარი). განკუეთილობის ნიშნები არ ახლავს, სიტყვები ერთმანეთისაგან არაა დაცილებული. წარწერა ნაცრისფერ ფონზეა დატანილი. დროთა განმავლობაში სალებავის თანდათანმიმოთ ცვლილების გამო გრაფემებს დღეოსთვის შავი ფერი აქვს მიღებული. ასოები მეტწილად დაზიანებულია ფონიდან სალებავის აცვენის გამო<sup>19</sup> (ზახ. 4, სურ. 2)

| verso                     | recto                      |
|---------------------------|----------------------------|
| 1 [† სურა] [ღ]            | 6 [ღ ღ ღ ღ]                |
| 2 [წ] [ღ] [ღ] [ღ] [ცრ]    | 7 [ცრ] [ღ] [ც]             |
| 3 [ღ] [ღ] [ღ] [ღ] [ღ] [ღ] | 8 [ღ] [ღ] [ღ] [ღ] [ღ] [ღ]  |
| 4 [ცა ცუ ცე ცყ]           | 9 [ც] [ც] [ც] [ც]          |
| 5 [ც] [ც] [ც] [ც] [ც] [ც] | 10 [ც] [ც] [ც] [ც] [ც] [ც] |
|                           | 11 [ც] [ც] [ც] [ც]         |
|                           | 12 [ც] [ც] [..] (?)        |

[† პირველი ცლითგან ი] ცყო სიტყვა |<sup>4</sup> და სიტყვა |<sup>5</sup> ამ იგი იყო ისე სის [ღ მან] თი [^] ანა] და მეტლ(მეტ)თი იყო |<sup>6</sup> სიტყვა |<sup>7</sup> იგი. ეს [ი] კო [^] დას [აბა], [^] გ(ი)თ [...] (?)

ტექსტი წიგნის ორივე გვერდზე — verso-ზეც და recto-ზეც არათანაბრად არის განაწილებული — სტრიქონები სხვადასხვა სიმაღლისაა, ამასთან, ისინი ზოგან ავსებს ფურცლის მთელ განს, ზოგან კი სულ რამდენიმე ასოსგან შედგება. ამის გამო, რომ ტექსტის დასასრულს, მეთორმეტე სტრიქონში გრაფებით, სხვებთან შედარებით, გაცილებით მცირე ზომისაა.

I. წარწერის ტექსტი (იოანე 1,1);

ესანა და ეზეკიელ წიგნსაზე მეტყველებულ და ოთახის ხილების (აბოვალიფსის) საფუძველზე შექმნილ თეოფანიების სხვადასხვა იყო მოგრაფიულ ვერსიები დღეობისთვის მრავალ საციიალურ ნაშრომშია განხილული<sup>20</sup>. მკვლევართა მიერ მოძიებული და გააღმინებული მრავალფეროვანი მასალის — იერუსალემის, სირიული, კაბალიკური, კუიისტის ტიანული, სომხური, ქართული, აგრძელებული რომანული სახითი ხელოვნების ნიმუშების მიხედვით თუ ვამსკვლებთ, ნათელი გახდება, რომ საბერებების V კალებისის საკურთხეველში ქრისტეს

<sup>19</sup> აქ და შემდეგაც გრაფიულ მონახებზე ლაქუნები ხაზით ძირითადად იმ ზემთხვევაში არის მონიშნული, თუკი მათი კონტურები გრაფემათა ამოკითხებისას ან სტრიქონის გასამართვად გარკვეულ დახმარებას ვვიწევს.

<sup>20</sup> პატრიას დავასხვებოთ მხოლოდ ზოგვროს, განსაკუთრებით მინენჰუნვანის: W. Neuss, Das Buch Ezechiel in Theologie und Kunst bis zum Ende 12 Jahrhunderts, Münster, 1912; F. Van der Meer, Maiestas Domini. Theophanies de l'Apocalypse dans l'art chretien, Etude sur les origines d'une iconographie speciale du Christ, Citta del Valicano, Roma-Paris, 1939; A. Grabar, Martirium. Recherches sur le culte des reliques et l'art chretien antique, t. II, Paris, 1916, p. 207—231; Ch. Ihm, Die Programme der christlichen Apsismalerei vom vierten Jahrhunderts bis zum Mitte des achten Jahrhunderts, Wiesbaden, 1960; J. Lafontaine-Dosogne, Théophanies-visions auxquelles participent les prophètes dans l'art byzantin apres la restauration des images, „Synthronon. Art et archéologie de la fin de l'antiquité et du Moyen âge“ (bibliothèque des Cahiers Archéologiques), Paris, 1968, p. 135—143; J. Snyder, The Meaning of the Maiestas Domini in Hosios David, Byzantium, t. XXXVII, 1968, p. 143—152; T. Dobrzenieski, Maiestas Domini w zabytkach polskich i obcych z polską związanych, Rocznik muzeum narodowego w Warszawie, XVII (1973), s. 5—86; XVIII (1974), s. 213—306; XIX (1975), s. 5—263 (ამ ნაშრომი ჩვენთვის საკურთხევები თემა ძალით კრიტიკულადაა განხილული; გმოკლევაზე უამბავი ფაქტობრივი მასალა თავმეტები და განალიზებული); N. Thierry, L'Apocalypse de Jean et l'iconographie Byzantine, „L' Apocalypses de Jean. Traditions exégétiques et iconographiques (III<sup>o</sup>—XII<sup>o</sup> siècles)“, Geneve, 1979, p. 319—330; Lexikon der christlichen Ikonographie, Bd. 3, Rom, Freiburg, Basel, Wien, 1971, col. 136—142.

დღების თეოფანიური კამპანიები (Malestas Domini) ის თავისებური რელიგიის არის მოცემული, რომელიც ესაიას და იეზუითების ხილვას ეცეკნება და ამასთან მისი სქემა ამაღლების თვეშასც აღრითინებს (წმ. მარიამის და მოცემულთა ფიგურები ქვედა ზონაში). აქ, საკუთროდ ბავთის კატეტურ მონისტობის (VII-VIII ს.) V<sup>1</sup>, XII<sup>22</sup>, XIII<sup>23</sup>, XLV<sup>24</sup>, XLVI<sup>25</sup> და ეკვივალენტობის ლებარი (VII ს.)<sup>26</sup>, თაღის და კულტურის (VII ს.)<sup>27</sup> აღმოჩენების დასახურში, Haçlı Kilise-ს ანგ. ჭრის კულტურის ერებას (X ს.)<sup>28</sup>, გრეკურ დიდების სამართლის კულტურის (913-1920 წ.)<sup>29</sup>, ხორ ენესი Kilisesi-s (X საუკუნის მეორე ნახევარი)<sup>30</sup>, ოლანდიური იუსტისის (IX ს.)<sup>31</sup>, ოთხის კულტურის (X საუკუნის ბოლო)<sup>32</sup>, ისხნის (XI საუკუნის დასაწყისი)<sup>33</sup>, ხახულის (XI საუკუნის დასაწყისი)<sup>34</sup>, იშენის (1036 წ.)<sup>35</sup> და რაბატინიების სხვა მოხატულობები ე. წ. სიცირი თული თეოფანიის<sup>36</sup> ერთ-ერთ აღმოსავალურ ჩემადების ეხვედებით. ჩენენ მოხატულობა ამ გმრივ გრატიფიციური აღმოსავალების დღიული მეტოდის სხვითი ხელოვნების ტრადიციების აღრმელების. ამასთან ერთად, სამეცნიერო კომპანიებისათვის დამასახუთებელი ნიშანი, პრეველი ყოლისა, საყდროზე გვიმზი ქრისტეს ორივე მხარეს წარმოდგრილი მთავარანგელოზოთ ფიგურა-

<sup>21</sup> Ch. Ihm, Die Programme der christlichen Apsismalerei von viertel Jahrhunderts bis zum Mitte des achten Jahrhunderts, 23, 200, Abb. XXV, 1.

୨୧ ପିଲା, ମୁଦ. XXIII, 1.

<sup>23</sup> 2137, 23-203-204, گاہ. XXV, 2.

<sup>24</sup> *ibid.* 23: 204, *ibid.* XXIV, 2.

<sup>25</sup> 833; 33; 204; 833; XXIV 1.

<sup>39</sup> Н. Г. Котанджян, Цвет в раннесредневековой живописи Армении, Ереван, 1978, с. 47, таб. 26.

<sup>23</sup> Л. А. Дурново, Краткая история древнеармянской живописи, Ереван, 1957, с. 10; С. С. Манукян, Сложение системы росписей армянского храма, «II Международный симпозиум по армянскому искусству», Ереван, 1978, с. 2; Н. Г. Котанджян, Պատմութեան ըստ 41—42. յար զարդարեց բ. յուրաքանչ մատենեցն, Խոթում պահպառութեան պահպառութեան (սաղմուր զաթենաց պահպառութեան) որու շատեանելու (միջ. ազ. 45—47); Հաճակն ու տառունն ան խոթում պահպառութեան օգիրաց ան: [S. Etchmiadzin, La peinture arménienne au VIII<sup>e</sup> siècle et les miniatures de l'Evangile d'Etchmiadzin, Actes du XII<sup>e</sup> Congrès d'Etudes Byzantines (Ochrid, 1961), t. III, Beograd, 1964, pp. 49—57.]

<sup>14</sup> N. Thierry, A propos des peintures d'Ayvalı Koy (Cappadoce). Les programmes absidiaux à trois registres avec Deisis, en Cappadoce et en Géorgie, «Зорраф», № 5, 1975, p. 16, fig. 19.

<sup>14</sup> J. Lafontaine-Dosogne, L'église aux Trois-croix de Gülü Dere en Cappadoce et le problème du décor "iconoclaste" au décor figuré, *Byzantion*, t. XXXV, fasc. 1, 1965, p. 185-197, fig. 9, 11-18.

<sup>6</sup>N. et M. Thierry, Nouvelles églises rupestres de Cappadoce. Région du Hasan Dagi, Paris, 1963, p. 27, pl. 10<sub>1-9</sub>; J. Lafontaine-Dosogne, Nouvelles notes Cappadociennes, *Byzantion*, t. XXXIII, fasc. I, 1963, p. 177.

<sup>2</sup> N. et M. Thierry, Nouvelles églises rupestres de Cappadoce, 23. 109—110, 54., 56.

<sup>32</sup> III. Я. Амирканашвили, დასტ. ნაშრომი, ვ. 105; N. et M. Thierry, Peintures du X<sup>e</sup> siècle en Géorgie Méridionale et leurs rapports avec la peinture Byzantine d'Asie Mineure, Cahiers Archéologiques, XXIV, 1975, p. 76.

<sup>33</sup> Е. С. Таканшвили, Археологическая экспедиция в южные провинции Грузии, Тб., 1952, с. 37; Ш. Я. Амираншвили, დასტური, გვ. 105; N. et M. Thierry, Peintures du X<sup>e</sup> siècle en Géorgie, გვ. 88.

<sup>34</sup> Ш. Я. Амиранашвили, დასხ. ნაშრომი, გვ. 107.

<sup>35</sup> Е. С. Такаишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 54; Ш. Я. Амиранашвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 107.

<sup>—</sup>G. de Jérphanion, *Une nouvelle province de l'art Byzantine, Les églises rupestres de Cappadoce*, t. I, fasc. 1, Paris, 1925, p. 68—71; A. Grabar, *Marlirium*, II, 23. 129—185, 207, 283; Ch. Ihm, *Gelehrte. 638638*, 23. 97—100, 102—108.

აღწერილი სოუეტის თავისებურება ქრისტეს გადაშლილ წიგნების დატანილი ტეკსტის შეჩერებაში ციტირდება.

შუა საუკუნების ქრისტიანული აღმოსავლეთისა და დასავლეთის სახეობ ხელოვნებაში, ეკლესიის ფერწერულ შემკულობაში ქრისტეს დიდების მრავალფიგურიანი კომპოზიციის გამოსახვისას, საყდარზე მკლომ ქრისტეს, ჩვეულებრივ, მარტინენა ხელში წიგნი ან გრავნილი უკირავს (ზაუითის XLVI კაპელა<sup>44</sup>, ლმბატი, წმ. სტეფანოზის ეკლესია—VII ს.,<sup>45</sup> გულულერე, III კაპელა<sup>46</sup>, Sisnagori, წმ. მაციქულთა ეკლესია—X ს.<sup>47</sup>, Sogqatli, ტავტალი ქილისე — XI საუკუნის დასაწყისი<sup>48</sup>, Saint Plancard, ოთან ნათლისმცემლის კაპელა — XII

<sup>37</sup> A. Grabar, *L'empereur dans l'art byzantin*, London, Variorum reprints, 1971, p. 85-99 (*L'adoration de l'empereur et compositions analogiques*), p. 205-206 (*L'adoration du Seigneur*).

<sup>28</sup> Յանձնութեան VI և XVII յածկելցմբ պղինձիկ հրովարտակ Մայուսական (Ch. I h m , գասած. Եա Անհօմա, Ծած. XXV, 1 և XXIII, 1), X և Սայան Բարուղութեան յածկելցմբ — Կուռու Ծրիշ. III յածկելցան (J. Lafontaine-Dosogne, Théopanies-visions auxquelles participent les prophètes dans l'art byzantin, Եա. I), Bahattin Samangligi Kilisesi (N. et M. Thierry, Nouvelles églises rupestres de Cappadoce, Հա. 169—171, Ծած. 77-ա), Ըստուն յօնուց (M. Restle, Die byzantinische Wandmalerei in Kleinasiens, Bd. II, Recklinghausen, 1967, Abb. 123), պղինձիկ համարական և սեպա մայուսական.

“**დოლოს ჩესა გემბათა ან ეკლესის IX საუკუნის მოხატულობა** (შ. ა. ამირანაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 30—35, გამ. 17—23), ტა-კლარჯეთის კედლის მხატვრობის ძეგლები — ოთხთა ეკლესია, მღხანი, ხახული, ტეხური, ოშეი (ძ. ვ. თავაძევილისა და ნ. დამ. ტეხურების მდ. ნიშულებთან დაკავშირებული ზემოდასას ქსელებული ნაშრომები).

<sup>41</sup> G. de Jephphanion, Les églises rupestres de Cappadoce, t. I, fasc. 2, Paris, 1932.

<sup>4</sup> J. Lafontaine-Dosogne, Théophanies-visions auxquelles participent les prophètes dans l'art byzantin, 6<sup>e</sup> b. I.

• 47 ১৩৩, পৃষ্ঠা. ২.

"M. Restle, ଲାକ୍ଷ. ମୁଦ୍ରିତକଣେ, ପୃ. III, ଲେଖ. 434.

საუკუნის მესამე მეოთხედი<sup>40</sup>, Crissiano, წმ. იაკობის ეკლესია — აღრეული XII ს. <sup>41</sup>, აგრეთვე მრავალი სხვაც); ზოგ შემთხვევაში წიგნი გადაშლილია (შტრ.: სანტა პუდინციანა — V საუკუნის დასაწყისი<sup>42</sup>, ბაჟითის ლი<sup>43</sup>, XVIII<sup>44</sup> და VI<sup>45</sup> კაპელები, ლატბოსის პანტოქრატორის ეკლესია — IX საუკუნის შუახანებით, ჩარიკლი ქილისე — XII საუკუნის მეორე ნახევარი<sup>46</sup>, კარანლიკ ქილისე — 1200-1210 წწ.<sup>47</sup>, Saint Angelo in Formis — 1072-1087 წწ.<sup>48</sup>, Tavant, წმ. ნიკოლოზის ეკლესია — 1150 წ.<sup>49</sup>, Taul, წმ. კლემენტი — 1163 წ.<sup>50</sup>, ლეონი, Panthéon de los Reyes — 1181-1188 წწ.<sup>51</sup> და სხვ.), ხოლო გრავნილი გახსნილი (მაგ: სალონიკი, Hosios David — V ს. <sup>52</sup>, ბერზე ლა ვილლი — XII საუკუნის პირველი მესამედი<sup>53</sup>) და გასტევ წარწერა არის შესრულებული. აღნიშნული წარწერები ძირითადად ოთხთავიდან არის ამოკრებილი<sup>54</sup>, თუმც გვეკვდება სხვა ტექსტებიც. ცი ტა ტა, რო მე ლი ც სა ბე რე ე ბი ს ვ ე კ ლ ე ს ი ს ს ა კ უ რ თ ს ე ვ ლ ი ს კ ო ნ ჭ ი ი ს კ რ ი ს ტ ე ს გ ა დ ა შ ლ ი ლ წ ი გ ნ - ზ ე ა შ ე ს რ უ ლ ე ბ უ ლ ი რ, ა მ ტ ი პ ი ს გ ა მ თ ს ა ს უ ლ ე ბ ე ბ ი ს ა - თ კ ი ს დ ა, ს ა ზ ო გ ა დ თ დ, ს ა კ უ რ თ ხ ე ვ ლ ი ს კ ო ნ ჭ ი ი ს კ მ ბ პ თ ზ ი ც ი ე ბ ი ს ა თ გ ი ს ტ რ ა დ ი ც ი უ ლ ტ ე ჭ ს ტ ე ბ ს ა რ გ ა ნ ჭ კ უ რ თ ვ ნ ე ბ ა<sup>55</sup> — საბერების გარდა ჩევნთვის ცნობილ ძეგლთა შორის იგი მხოლოდ ლატრმთსის (მეორე აზია) პანტოქრატორის გამოქვაბული ეკლესიის

<sup>49</sup> O. Demus, M. Hirmer, Romanische Wandmalerei, München, 1968, Abb. 95.

50 ପରେ: ଅଗରାହାର ପାତ୍ର: XXXV.

<sup>51</sup> Ch. I h m , բասե . Եմերությ , 23. 130—132, բաժ . III , 1-2.

<sup>52</sup> *ibid.* 23: 204—205. *ibid.* XIV,1.

<sup>53</sup> 8322; 33; 201; 633; XXII, 1.

<sup>54</sup> *Ribes*: 22: 200—201. *Cosm.* XXV, 1.

65 M. Bestle, *Malakat*, 6, 1968, p. III, fig. 542.

<sup>88</sup> G. de Jérphanion, *Les églises rupestres de Cappadoce*, planches, II, Paris, 1932, fig. 98.

Digitized by srujanika@gmail.com

Q. Remus. M. Hirmer, დაბ. ნაშრომი, სურ. 16, ქარავან ტაბ. V.

<sup>60</sup> Հիշե, Տպա. 167, Պարագ. բաժ. LXX.

<sup>61</sup> କେତେ, ଜୀବନାଳ୍ପିନୀ ରୂପ. LXXIV.

<sup>60</sup> O. Demus, M. Hirmer, ըստ. նախորդ, կյանք. 85, 87.

5. შეუსუნებელი ქართული და საზოგადო ამონსელურ-ქიბრი რა ნული კედლის შეატყობის ნიმუშებში მეტწილად გვხვდება თანაენს სახარების ცონიბილი ტექსტი: „მე ვარ ნათელი ისოფლისა. რომელი შემომიღვევს მე არა ვიღოდს ძნელსა, არამედ აქვთნეს ნათელი ცხოველებისა“ (8, 12); ამავე პერიოდს დასავლურ (რომელი) ტიტულარში კი ხშირია ციტატა ასკოლ ფსილიძის: „მე ვარ წილი და ჩე, ტყეყს უფალი ლეგიტიმი, რომელი ასა და რომელი მიმდევა ასა, ყოველი ის ყარიბობდა“ (1, 8), ან ერთად: „ეგიმენ მე წილი და ჩე, დასაბამი და დასასურული“ (21, 6). ტექსტი ი მთითებულია თანაენს გმოტყაცების ა. იმანიშვილის ტექსტის მიხედვით (თანაენს გმოტყაცება და მისი თარგმანება, ძველი ქართული კერძოსა, გმოსაუცემდ მოამზად და გმოსკელება და ლექსიკონი დაუტოვონ ი. იმანიშვილის (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქადაგი ქართული ენის კოლეჯის სპეციალის, 7), თბ., 1961).

საკურო ხელი მა თოვათან იური კომპოზიტოს თანხმუდი წარწერების შესახებ გრაფიკადა და-  
პარაფი T. Dobrzeniecki-სთან. იხ. მასი Maiestas Domini w zabytkach polskich i obcych z polską  
związkowych, ნაწილი მესამე, გვ. 226—240.

<sup>४५</sup> उल्लंघन उत्तर भूमि पर "स्वेच्छामिद्युपान्तेष्टा" के अन्तर्गत व्याप्ति रूप से विस्तृत रूप से वर्णिया गया है। एवं इसकी अधिकतम विवरणों में एक विशेष विवरण दिया गया है। यह विवरण डॉ. डीनोफ्रान्स के "Painter's Manual" का अनुवाद है।

კონქის, აგრეთვე ფარა სისტემის (ნუბია) კვლავ თეოფანიურ კომპოზიციაში გვხელდა<sup>66</sup>. საგულისხმოა, რომ მათვან პირეელი, ჩვენი მოხატულობის მსგავსად, IX საუკუნით (resp. IX საუკუნის შეუახანებით) თარიღდება, <sup>67</sup> ხოლო მეორე—სავარაულოდ X საუკუნით, ამასთან ქრისტიანული აღმოსავლეთის სამი განსხვავებული რეგიონის კედლის მხატვრობის ძეგლებში, სამჯერვე „ქრისტეს დიდების“ ერთსა და იმავე კომპოზიციაში ოთვანეს სახატებიდან მოტანილი ამ ციტატის არსებობის ფაქტი ცხადია, შემთხვევითიც არ უნდა იყოს.

მოტანილი ტექსტი მოხატულობის იქონოგრაფიულ ნიშნებთან ერთად ამ მხრივაც ნათელყოფს თავისი ფორმირების ერაზმური გარეჯის ფერწერული სკოლის გარევეულ სიახლოეს აღმოსავლურ-ქრისტიანული სამყაროს მნიშვნელოვან მხატვრულ ცენტრებთან<sup>68</sup>.

II. წარწერაში ერთადერთი საგულისხმო ორთოგრაფიული მოვლენა უმარტვლო უ-ს გადმოსაცემად მხოლოდ ყ-ჲ-ს ხმარების შემთხვევაა (ს ი ტ ყ-ჲ-ჲ ა მ), თუმც ჭილეტრატის იდგარის (IX-X სს.) გამომცემელთა მართებული მითითებით „ასეთი რამ მეტ-ნაკლებად IX-XI საუკუნის სხვა ძეგლებსაც ახა-

<sup>66</sup> შესაბამისდ იხ.: M. Restile, დასახ. ნაზრომი, ტ. III, სურ. 542; K. Michałowski, Faras, Wall Painting in the Collection of the National Museum in Warsaw. The Chapter on Inscriptions by S. Jakobelski, Warsaw, 1974, p. 177—183, 295.

<sup>67</sup> ლაგმოსის ამ მოხატულობის შესრულების საგარაულო პერიოდის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს: O. Wulff-ის განვითარებაში იგი VII-VIII საუკუნეებით არა დათარიღებული O. Wulff, Die Malereien des Asketenhöhlen des Latmos, წიგნი: Milet, Ergebnisse der Ausgrabungen und Untersuchungen seit dem Jahre 1899, herausgegeben von Theodor Wiegand. Bd. III, Heft I. Der Latmos von Theodor Wiegand unter Mitwirkung von K. Boese, H. Delehaye, H. Knackfuss, F. Krischen, K. Lynchier, W. von Maréés, O. Wulff (Königliche Museum zu Berlin), Berlin, 1913, S. 197. უკვე თარიღი მოჰყავს Ch. Ihm-საც. Ch. Ihm, დასახ. ნაზრომი, გვ. 190—191; გ. ლაგმარეკის აზრით, მხატვრობის შეღარებით მოვალინ ბანას—IX-X სს. განვითარებას. B. N. Лазарев, История Византийской живописи, т. 1, Москва, 1947, с. 71, 296, მ. რესტილი და განვითარება. M. Restile, დასახ. ნაზრომი, ტ. I, გვ. 78. ამ მოსაზრებამავავნ კვლავ დამატებული მცირე აზომ ქისტების სახეთი ხელოვნების დღისათვოს დაგროვილი ფაქტობრივი მასალის შესწოლის კალაბრია ეს უკანასკნელი ბანის; თუმც, ნ. ტ ყ-ჲ-ს მ. რესტილი ნაზრომის შემღებელ გამოვიყენებულ წერილში უარისობს მას მიერ შემთავაზებულ თარიღს და ძეგლს VII საუკუნის მეორე ნახევარს ან VIII საუკუნის დასაწყისს მიაკუთხებს. N. Thierry, l'Apocalypse de Jean et l'iconographie byzantine, გვ. 322.

<sup>68</sup> ამის გარდა ჩვენთვის ცნობოლა სამოდე შემთხვევა, როდესაც ეს ტექსტი თანა განარებების ასაკის:


კარანდა ქილის მოხატულობაში (კაპადოკია, XIII საუკუნის პირველი წლები) მახარებების ხელში უკრავას წიგნი წარწერითურთ—En archéologie—პირველთვები. G. de J. erg h. à nion, les églises rupestres de Cappadoce, t. I, fasc. 2, გვ. 401, planches, II, სურ. 99, 104.

შეგვაძლა XIV—XV სს. ფერწერულ ხატზეც Therapon-ს კელებიდან, ოლონდაც იქ თანა სახატების დასაწყისი უფრო კრისტიანული. K. Weitzmann, M. Chatzidakis, S. Radojciec, Icones, New York, 1980, გვ. 83, სურ. გვ. 127-ზე.

ციტტის შედარებით უფრო პრეციზიული დეტალების გამოყენებით ცაიშის ეკლესიის ფერწერულ შემკლებაში, რომელიც 1616-1619 წლებით თარიღდება. ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთი ფრაგმენტის გამოსხელა თანა განარებები წიგნი ხელში. წიგნში წარწერა: αρχι εν λογος την προμον... რათა გამოიცემულია—έν αρχή ήν δ λόγος, (κατ δ λόγος ήν) πρόμου. იხ.: τ. γαζ ხ გ ა ლ ი ლ ი, ბერძნული წარწერები საქართველოში, თბ., 1951, გვ. 69—70, ნახ. 149; ისივ, გრეკურ ნახევარის, Atti del primo simposio internationale sull'arte georgiana (Bergamo—1974), Milano, 1977, p. 140—141.

სიითებთ „<sup>69</sup> (თავად იადგარში მრავალი მსგავსი მაგალითი არის აღნუსხული<sup>70</sup>). აღნიშნულის საილუსტრაციოდ შესაძლებელია მოვიხმოთ X საუკუნის ფრესკული წარწერებიც ჩვაბინის მაცხოვრის ეკლესიიდან<sup>71</sup>, აგრეთვე 907 წლით დათარილებული სიინური პატერიკის (Sin-35)<sup>72</sup> და მარტვილის ოთხთავის (S-391, X საუკუნის მეორე ნახევარი)<sup>73</sup> ტექსტები.

**8. საკურთხევლის ჩრდილოეთ კედელზე გამოსახული მთავარანგელოზის მარჯვენა მხარეს, მისი ფრთის ზემოთ შემორჩენილია ერთსტრიქონიანი წარწერის ფრაგმენტი. ნალესობის ჩამოშლის გამო მისი დასაწყისი დაკარგულია, გადარჩენილ ნაწილს კი, იმის გამო რომ ბათქაშის ფენა ქანიდან აკილებულია, უაპევლი დაღუპვა ელის. ფრაგმენტის ზომაა —  $10,8 \times 7,1$ ; ასოების სიმაღლე — 7,1 († ქ) და 3,2 (π ლ). შესრულებულია შავი სალებავით თაბაშირის ნალესობის თეთრ ფონზე. ქარაგმის ნიშანი არ შემორჩა (ნახ. 5).**



ნახ. 5.

[წ-ც]†π

[ჭ(მილა) მ(ი)]ქ(ე)ლ

პალეოგრაფიული თვალსაზრისით მოტანილ ფრაგმენტში ყურადღებას იქცევს განუსხურებული თ ლ გრაფემა.

4. მიქელ მთავარანგელოზის გამოსახულების პირისპირ, აბსიდის სამხრეთ კალელზე წარმოლედგნილი მთავარანგელოზის შარავნიდის ორივე მხარეს განაწილებულია ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა. მისი მარცხენა ნაწილის ზომაა —  $7,4 \times 5,1$ , მარჯვენასი —  $19,3 \times 11,5$ ; გრაფემების სიმაღლე — 4 - 5 - 8,1. შესრულებული ყოფილა შავი ფერის სალებავით უშუალოდ ნალესობის ფონზე, ახლა სალებავი თითქმის მთლიანად ჩამოკვენილია და წარწერისაგან თეთრი ფრერის ქვალიდა არის დარჩენილი. ქარაგმის ნიშანი — განივი, ონავა კლაკნილი ხაზი (6,8 სმ.). განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს (ნახ. 6).

<sup>69</sup> კილ-ეტრატის იადგარი, გამოსკეს და გამოკლევა დაუტევს ა. შანიქე, ა. მარტორისოვამ და ა. ჭილაშვილმ, თბ., 1977, გვ. 240. დელ ქართულში უმარცელ უ-ს ხმარებისთვის უშუალო ფრესკებზე აგრეთვე ის.: ივ. ქართარაძე, ქართული ენის სტორიისათვის, ტ. 1, თბ., 1964, გვ. 74—79; ც. ერთეული იშვილი, უმარცელ უ-ს ქელ ქართულში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მრიმები, ტ. 96, 1963, გვ. 83.

<sup>70</sup> კილ-ეტრატის იადგარი, გამოკლევა, გვ. 237—239.

<sup>71</sup> P. O. Шимерлинг. Малые формы в архитектуре средневековой Грузии, Тб., 1962, с. 234; ზ. ალექსანდრე, ჩვაბინის მაცხოვრის ეკლესიის ფრესკული წარწერების თარიღისათვის, „მაცნე“, სტორიის, არქოლოგის, უნივერსიტეტისა და ხელოვნების სტორიის სერია, 1978, № 3, გვ. 175—176.

<sup>72</sup> მ. დვალი, ლ. ჭავჭავაძე, მეთე საუკუნის პატერიკის (Sin-35) ერთო ფრაგმენტის შესახებ, „მრავალთავი“, VI, თბ., 1978, გვ. 77—80.

<sup>73</sup> ი. ალექსანდრე, ქართული წერის ნიშვნები, პლეიგრაფული ალბომი, თბ., 1973, ტაბ. 27—28.




ნახ. 6.

**ქუთხა** წ(მიღა)ვ გაბრ(იელ)  
ა: წმიღავ გაბრ (გაბრიელ)

მთავარანგელოზის სახელის დაქარაგმების აქ დამოწმებული წესი სუსპენ-  
სიის საგულისხმო მაგალითია.

5. საკურთხევლის ჩრდილოეთ კედელზე, საყდარზე მჯდომი ქრისტეს და  
მიქელ მთავარანგელოზის ფიგურებს შორის გამოსახულ მრავალფრთხედს ზე-  
მოთ იყითხება ორსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა (ზომა —  $17,2 \times 9,4$ ;  
ასობის სიმაღლე — 2,2-2,6-3,4-4,5-4,9; ნახ. 7, სურ. 3).



ნახ. 7.

განმარტებითი ხასიათის ეს წარწერა შევი სალებავით თაბაშირის ნალესო-  
ბაზე უშუალოდ დატანილი. ფერის დადგბის ძროს, მასში შერეული შემკვრე-  
ლი (ჩანს ორგანული — ცხოველური წარმოშობის წებო) სალებავთან ერთად  
გაიკონა ნალესობაში, რომლის ზედაპირი მოხატვამდე სპეციალურად დამუშა-  
ვებული არ ყოფილა. სწორედ ამის გამო, რომ დღეისთვის წარწერა ესოდენ  
თავისებური სახისაა — გრაფემები გამსხვილებულია, ამასთან მათ ბუნდოვანი  
მოხაზულობა აქვს მიღებული.

<sup>74</sup> დ. გონაშვილი, ივრამ სერბაში, წერილი მეორე, გვ. 52.

. 6. აბსიდის სამხრეთ კედლის უკიდურეს დასაულეთ კუთხეში, კაპიტელს ქვემოთ გამოსახული თეთრითმოსილი ღიაკენის ფრონტალურ ფიგურასთან მოხანს ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერის ფრაგმენტი. იგი ღიაკენის მოწითალო, ოთხეუთხა მოჩარჩოებაში მოქეცეული გამოსახულების მარჯვნივ, მისი შარავანდის გასწვრივ ყოფილა მოთავსებული. შესრულებულია შავი სალებავით ღია ცვითელ ფონზე. ამჟადად სალებავის აცვენის გამო ნალესობაზე მეტწილად გრაფემების თეთრი ანაბეჭდია დარჩენილი. ფრაგმენტის ზომაა —  $8,1 \times 3,7$ ; გრაფემების სიმაღლე —  $2,6-3,3$  (ნახ. 8).



ნახ. 8.

[წ-] [ - - - ] ცხა  
[წ(მიღ)ა] [ - - - ] ანე

წარწერის დასაწყისი დალუპულია ნალესობის ჩამოშლის გამო, თუმც დიაკენის სახელის ალგენა აქ რთული არაა: საფიქრებელია, რომ ტრადიციისამებრ დაქარაგმებული სიტყვა წმიღა (წ-]) მისი შარავანდის მარცხენა მხარეს იქნებოდა დატანილი. შარავანდის მარჯვენა მხარეს კი — მის გარე კონტურსა და წარწერის ფრაგმენტს, ე. ი. ღიაკენის სახელის დაბოლოებას შორის 4-5 გრაფემა თავსდება. ამდენად აქ შესაძლებელია ყოფილიყო სახელები: სტეფანე, დამიანე ან სხვა.

ამ გამოსახულებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია, რომ საკურთხევლის კოლებზე წარმოდგენილი დიაკენთა ფრონტალური ფიგურები უკავშირდები ბატებრძოლების შემცირებით მოყიდვებული, ხსირად არის დაბასტურებული კაბლეის კედლის მხატვრობის ძეგლებში (შრლ.: ილანლი ქილის — IX ს., დიარეკლი ქილის — 976-1025 წწ., Sogani, წ. ბარბარეს ეკლესია — XI საუკუნის დასაწყისი, აგრეთვე რამდენიმე სხვა მონასტერობა) <sup>75</sup>. ამასთან, გ. დე უკავშირონი დაგეანთა გამოსახულებებს წარმომავლობას წწორეც კაპიტელის სამონასტრო გარემოს უკავშირებდა <sup>76</sup>. ეს ცხადია, საგულისსმო ფუტრია, თუ კაკითვალისწინებთ, რომ როგორც V ეკლესიის, ისე საპერებების დანარჩენი საში სხვა მონასტერობაც თავისი იკონოგრაფიული და ზოგი სტილისტური ნიშნით განისაზღურავს სამყაროს აღმოსავლეური რეგიონებისა და კერძოდ — კაბადიეის კედლის მხატვრობის ტრადიციებთან იჩენს გრავერ სიახლევეს.

7. V ეკლესიის საკურთხევლის ქვედა რეგისტრში ნალესობა განზრაბ არის ამიმოტკერული და დატხავნილი. ამის გამო იქ გამოსახული ღმრთისმშობლისა და მოცემულთა ფიგურები მათი განმარტებითი ასომთავრული წარწერებით თურთ ძალზე დაზიანებული, ფრაგმენტულია.

<sup>75</sup> N. Thierry, A propos des peintures d'Ayvalı Kōy, გვ. 8.

<sup>76</sup> G. de Jérphanion, Les églises rupestres de Cappadoce, t. II, fasc. 1, Paris, 1936, p. 315—316.

დ. გონაშვილმა მოციქულთა სახელებიდან აქ მხოლოდ დაკობ ამოიყითხა<sup>77</sup> (მისი ცნობით სახელი დაქარაგმებული იყო). ამ წარწერის მცირე ფრაგმენტები ახლაც შემორჩენილია საკურთხევლის ჩრდილოეთ კედელზე, ღმრთისმშობლის ფიგურის მარცხნივ წარმოდგენილ მოციქულთაგან მეექვსეს(?) გამოსახულების მარცხნივ. ფრაგმენტის ზომა —  $4 \times 12,2$ ; გრაფემების სიმაღლე — 1,5-2,4-3,9; ქარაგმის ნიშანი — განივი, სწორი ხაზი. წარწერა შესრულებულია შავი ფერის სალებავით მოყვითალო ფონზე. რაც შეეხება დ. გონაშვილის მითითებულ დაქარაგმებას, აქ ამგვარად მხიდა სიტყვა არის მოცემული (ნახ. 9).



|         |         |   |
|---------|---------|---|
| 1       | [წ] [ც] | წ(მიდა)ა   <sup>2</sup> და   <sup>3</sup> კო   <sup>4</sup> ბ |
| 2       | [ც] [ც] |   |
| 3       | ხ [ღ]   |   |
| ნახ. 9. | 4 [ც]   |   |



8. იმავე რიგში, მესამე მოციქულის გამოსახულებასთან, შარავანდის მარცხნივ მოჩანს დაქარაგმებული წმიდა სიტყვის მცირე ნაშთიც. მოციქულის სახელი დაკარგულია (ნახ. 10).



ნახ. 10.

9. ექლესიის ჩრდილოეთი მელავის ჩრდილოეთი კედლის აღმოსავლეთ კუთხეში, წმ. მხედართა პერალდიკური გამოსახულების მარგვნივ, იატაკის დონიდან 215 სმ-ის სიმაღლეზე შესრულებულია ხუთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა. უჭირავს ფართობი —  $10,8 \times 14,4$ ; გრაფემები მეტწილად თანაბარი სიმაღლისაა — 1,6-1,9. დატანილია შავი სალებავით ოქროსფერი ოქტოის ფონზე. გონკვეთოლობის ნიშები არ ახლავს, სიტყვები ერთმანეთისაგან დაცილებული არ არის. ქარაგმის ნიშანი — განივი სწორი, მოკლე ხაზი. წარწერის მთელს ზედაპირზე შავი სალებავი ალაგ-ალაგ აცვენილია (ნახ. 11).

<sup>77</sup> დ. გ. თ. ა. შ. ე. ლ. ა., დება ხეობაში, წერილი შეორე, გვ. 52.



ნახ. 11.

წარწერაში დამოწმებული საყურადღებო ზმინური ფორმა გვედია მრავალ-  
ჯერ გვხვდება X-XI სს. ქართულ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში და იგი  
აქ შენდობის მიზნითაა ნახმარი. საგულისხმოა, რომ ანდერძ-მინაწერთა უმეტე-  
სობაში გვედია სიტყვა ისეთივე კონტექსტში იხმარება, როგორც ჩევნ მიერ  
მოტანილ ტექსტში. მაგალითისათვეს დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს<sup>78</sup>:

თოანე-ზოსიმეს ანდერძიძი (X ს.): „ლოცვასა წმიდასა თქუენსა გვედია  
სული ჩემი ფრიად ცოდვილი...“; „მჩხერეკალი ამისი იოანე ლოცვასა წმიდასა  
თქუენსა გვედია“; „იოანე მჩხერეკალი ლოცვასა წმიდასა თქუენსა გვედია“.

წმ. სიმეონის ცხოვრების გადამწერი დოსითეს ანდერძი (X ს.): „გვედია  
ლოცვასა სული ჩემი საწყალობელი...“

გადამწერ დავით ჯიბიძის 1035 წლის ანდერძი: „ამის წიგნისა ეტრატი  
კატაისა საცავითა ვიყიდე ლოცვასა გვედია“.

გვედია ფორმა (აგრეთვე მისი სახესხვაობანიც — გვედიეთ, გვედივართ,  
გვედიან, გვედეთ, გვედი), სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრე-  
ბის მიხედვით, უნდა შეიცავდეს ველრება ზმინის ვედი ფუძეს, რომელშიც და-  
ქარაგმების წესისამებრ რ თანხმოვანი ამოვარდა. დაქარაგმებისას მიღებული  
შემოკლებული სახე სიტყვისა უნდა ყოფილიყო გამოყენებული უქარაგმო-  
დაც<sup>79</sup>.

ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში ფართოდ გავრცელებული ეს სიტყვა,  
ვფრენობთ, დღემდე ფრესკულ ეპიგრაფიკში დამოწმებული არც კი უნდა  
იყოს. ამასთან ერთად, ჩევნი მაგალითი აღნიშნული ზმინური ფორმის ხმარების  
ამჟამად ცნობილი ერთ-ერთი უაღრესი (IX საუკუნის) ნიმუშიცაა შუა საუკუ-  
ნეების ქართულ წერილობით წყაროებში.

78 მაგალითები მოხმობილია თ. ხაუმიას ნაშრომიდან — ანდერძ-მინაწერთა შენდობას  
ფორმულა „გვედია“, კრბულში: „ქართული წყარომხმოლეობა“, II, თბ., 1968, გვ. 23—26.

79 იქვე, გვ. 25—26.

- 1 ძ [ძ] [ც]
- 2 [ჩ] ა [ზ] ა [ც]
- 3 [ზ] ც [ს] [ც] ი ა ა
- 4 [ყ] ე [ბ] ე
- 5 [ც] [ც] ე [ჩ]

ძმა | ნო ლოცვა [ს] გ [ო] | გ [ე] დ-  
ი ა ა (20) 6

ეს მცირე, ისტორიული ხასიათის წარწერა ისეთ სიმაღლეზეა შესრულებული, რომ პილიგრიმულ მინაწერად ვერ ჩაითვლება. ვფიქრობთ, იგი თავად ეკლესიის მომ მხატვა ტარტი თასტატის ეკუთ ვნის. ალნიშვნული მით უფრო სარწმუნო გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ იგი პალეოგრაფიულად მაცხოვრის წიგნზე დატანილი ტექსტისა და საკურთხევლის ქვედა რეგისტრში ღმრთისმშობლისა და მოციქულთა გამოსახულებების თანმხელები განმარტებითი წარწერების ფრაგმენტთა მსგავსია, ე. ი. ჩანს, ეს უკანასკნელიც (ისინი მოხაზულობით აბსიდის ზედა რეგისტრის წარწერებისაგან საგრძნობლად განსხვავდება), ამავე პირის მიერ არის შესრულებული. მათი ცუდი შემონახულობა, სამწუხარის, ამის შესახებ დაწვრილებით მსჯელობისა და დაბეჭითებით მცირების საშუალებას არ იძლევა. ეგვეგ მიზეზი ართულებს მათი (ე. ი. ქრისტეს გადაშლილ წიგნზე დატანილი ტექსტის, ჩრდილოეთ კედლისა და საკურთხევლის ქვედა რეგისტრში შემორჩენილი ფრაგმენტის წარწერების) პალეოგრაფიული თავისებურებების შესახებ საუბარს, თუმცა ასოების გადარჩენილი ნაწილი მათ მოხაზულობაზე (ამდღნად შესრულების პერიოდზე) გრაფეულ წარმოდგენას გვიქვნის. ეს, პირველ ყოვლისა, ითქმის 7 ე გრაფემის შესახებ, რომელიც აქ მარცხნა დამატებითი ხაზთ იწერება, აგრეთვე 7-ე გ-ს მიმართ — მისთვის კლაკნილი, საქმაოდ ღილი ზომის კუდი არის ნიშანდობლივი (შტრ. პალიმფსესტი S-3902 — VIII ს. 80). 7 დ ასო წარწერაში ძალზე მცირე, ოდნავ შესამჩნევი ყელით იწერება, ხოლო 7 ვ — დაბლა ჩამოშევებული მარჯვნა კვით, რითაც იგი ახლო დგას აღიშის ოთხთავის(897 წ.) იმავე გრაფემასთან<sup>81</sup>. მარტვილის ოთხთავში შესრულებული გრაფემების ანალოგიურია ც ც კუთხოვანი მოხაზულობის თავით და ძირს დაშევებული ქვედა მორჩით<sup>82</sup>.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ V ეკლესიის დანარჩენ წარწერებთან შედარებით წიგნზე დატანილი ტექსტის გაცილებით მაღალი დუქტუსის მქონე, მსხვილი გრაფემები უფრო მეტად დგას ახლოს ხელნაწერთა საზედაო ასოებთან. ძნელი არ არის წევნს წარწერასთან პალეოგრაფიულად ახლო მდგომარეობა ნიმუშების ქრონოლოგიური საზღვრების დადგენაც — ეს უთუოდ IX-X საუკუნეებია. თავისი გრაფიკით ამავე პერიოდს უნდა მიეკუთვნოს ოდნავ უფრო კუთხოვანი ასოები ჩრდილოეთ კედლისა და საკურთხევლის ქვედა რეგისტრის ფრესკეულ ეპიგრაფიულ ნიმუშებშიც. წარწერები ამ ეკლესიის მოხატულობაში ორხაზოვანი სისტემის ბაღეშია ჩაწერილი. გრაფემებიდან აქ მხოლოდ ც ც (ნაწილობრივ 7-ე გ-საც) აქვს ფეხი სტრიქონს ქვემოთ ჩამოგრძელებული.

80 ე. გ. ვაკარიანი, ასომთავრული დამწერლობის მხატვრული თავისებურებაზე ქართული ხელნაწერების მხედვით (V—XIII სს.), „მრავალთავი“, II, თბ., 1973, ტაბ. XIII, 11..

81 იქვე, ტაბ. XIII, 13.

82 იქვე, ტაბ. XIII, 18.

၁၃၂။ အခြေခင်က သမဂတ်တွင် ပုဂ္ဂန်များ ဖြစ်ပေါ်လိုက် မရှိခဲ့

სამლოცველო ამჟამად თითქმის მთლიანად დაღუპულია — შემორჩება მხოლოდ მისი მაღალი საკურტხოველის აპსიდის შეირჩევით და ჩრდილოეთი კედელი, რომელიც ახლა ისე აღიქმება, როგორც ეკლესიის სამხრეთი ფასადი. დღეისთვის ძნელია მსჯელობა ამ სამლოცველოს თავდაპირეელი ფრესკული დეკორის ხასიათის შესახებ. ეფიზრობთ, აქაც, განხილული მოხატულობის მსგავსად, ფერწერით საკურტხოველი და ჩრდილოეთი კედლის აღმოსავლეთ ნაწილში გამოკვეთილი ნიშა იყო შემკული. მხატვრობის ფრაგმენტი სწორედ ამ უკანასკნელში, კერძოდ მის ზედა ნაწილში შეძოინახა, რადგან იგი შედარებით უკეთ არის დაცული ნალექებისაგან (საკურტხოველში მხოლოდ ნალექობაა, რომლის ზედაპირიც წვიმისაგან ძლიერ არის გადარეცხილი).

ნიშაში გამოსახულია „კვარცის“ კომპოზიცია — ჩრდილოეთ კადელზე მოჩანს გრძელი, წითელი კოლობიუმით მოსილი, ჯვარს მისტერიული ქრისტე. ფრესკაზე მარცხნივ თავვადახრილი მაცხოვრის სახე დაზიანებულია.

კრისტეს ჯვრული შარავანდის ორივე მხარეს შესრულებულია მცირე ზოგის მედალიონები მზისა და მთავრის გრაფიკულად მოხატული სიმბოლური გამოსახულებებით, კვრის მქლავებს ქეემოთ კი მხოლოდ მცირე ნაშთებიღა შემორჩია: ექვემდებარებული რომაელი ცენტრული მარტინი ასისთავ ლონგინოზის, ხოლო მარჯვნივ — უსპების ფიგურები უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი (ამის შესახებ — წარწერების განხილვისას). გამოსახულებებიდან დღეისთვის მხოლოდ რამდენიმე ხაზი (მონასმი) გაირჩევა; კვრის მარჯვნივ მოჩანს თავის ზედა ნაწილის (კეფის) მკრთალი მოხაზულობა().

ნიშის კედლებზე ჯვარცმული ავაზაკების ფიგურებია — ისინი უკან ხელებგადაწყეულნი არიან მიმდევლნი ჯვრებზე (მათი სხეულების ქვედა ძოხაზულობა მატეორის ფიგურის მსგავსად ახლა გამჭრალია); ქრისტეს გამოსახულების მარჯვნივ, ე. ი. ხიშის დასავლეთ კედლზე ურწმუნო ავაზაკის ფიგურა არის შესრულებული (მას მოჟლე წვერი აქვს), აღმოსავლეთ კედლზე — კეთილისა. ამ უკანასკნელის თავი მთლიანად გადაშლილია. თაღში სხვადასხვა ფერის კონცენტრიული წრეების ფონზე შესრულებულია „ლილებით“ შემკული ტილმკლავა ჯვარი.

ჭარბების აქ წარმოდგენილი სცენა — იგი ეკლესიის მოხატულობის შესკავალ IX სა- ეკლესიო თარიღულება — იყონოგრაფულად<sup>2</sup> ადრეული ხანის სიცილის სა- ეკლესი-

<sup>1</sup> A. Volskaya, Peintures murales du monastère rupestre de Sabréébi; გ. გარე-ნდაშვილის მიხედვით, როგორც ვ კელისის ფრესკები, ასე გა სახმრეთი ჩეგმაზე სამუშაოს მოხატულობის ფრაგმენტი „რა ტენის მასტერიანია აშენებდ ხელ სური ის გერებები იტენია, ურთი ეპოქისა და 1X-ას. არ გადომოშორდება”, ს. გ. გ. მისი, ძვლი კართული კრეტურის კელი- ას სპეციალისტის პრობლემების და გარეონის უდაბნო, გვ. 8-9.


2 ამ საუკერის დონოვანიადმი მიღლივილი მრავალრიცხვანი ნაშრომების ნუსხა ამ. თ. საყვარელი დე, XII საუკნის ქართული პედური ხელოვნების სატორიდან, თბ., 1980, გვ. 30—31.

ჭვარტმის ჩეენ მიერ აღწერილ სიუკეტში წმ. მარიამისა და წმ. ოთანე ღმრთისმეტყველის ფიგურებით თითქმის მთლიანად გამჭრალია. მხოლოდ კომპოზიციის ცენტრალური ნაწილის მარცხენა ქვედა კუთხეში მოჩანს მცირე ზომის შარავანდის მეტრალი კონტური — ესაა ღმრთისმშობლის გამოსახულებისაგან შემორჩენილი მცირე ნაშთი.

1. V კულტიურული სამხრეთო მიმდებარე, ამჟამად თითქმის მთლიანად დანგრეული კლდეში ნაკვეთი სამლოცველოს ჩრდილოეთ კედელზე, მის აღმოსავლეთ ნაწილში (ც. ი. მთავარ კულტიურული შესასვლელი ძირითადი კარის მარჯვნივ) არსებული ნიშის ზედა ნახევარჩე (ლიობს ზემოთ) გამოსახული ჯვარ-ცმული ქრისტეს ფიგურის ორსავე მხარეს, მისი შარავანდის გასწერივ, ჯვრის მელავებს ზემოთ დატანილი დაქარაგმებული ასომთავრული წარწერა (წახ. 12, სურ. 4). იგი ყავისფერი სალებავით არის შესრულებული უშუალოდ ნალე-სობაზე. გრაფეტების სიმაღლე — 2,9-3,8-5,2; განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს; ქარაგმის ნიშანი — ბოლოებგამსხვილებული სწორი განივი ხაზი (ზომა 4,1 და 4,7 სმ.).


<sup>3</sup> G. de Jérphanion, Les églises rupestres de Cappadoce, t. I, fasc. 1, gg. 88, 336.4.

<sup>4</sup> G. Millet, *Récherches sur l'iconographie de l'Evangile au XIV<sup>e</sup>, XV<sup>e</sup> et XVI<sup>e</sup> siècles*, Paris, 1960, p. 400 sv.; ექვთიმონის მიხედვთ, ეს მოტივი VI საუკუნიდან არ ასობილი; G. de Jérphanion, *Les églises rupestres de Cappadoce*, t. II, fasc. I, გვ. 222, და ვერ.



Feb., 12.

2. ნიშის დასაცლეთი კედლის ზედა ნაწილში გამოსახული ჯვარისტული აეზაურის ფიგურის ზემოთ, უშეალოდ ჯვრის ზედა მელავზე იქთხება ერთსტრიკონიანი ასომთავრული წარწერა. მისი ზომა — 9,3×5,1; გრაფემების სიმაღლე — 1,7-2,4. შესრულებულია მოწითალო ფერის სალებავით ოქროსფერი ოქრის (ჯვრის მელავის ფერი) ფონზე. ქარაგმის ნიშანი — განიერი, წვრილი, სწორი ხაზი გამსხვილებული დაბოლოებითურთ. ნალესობის ფენის აცვენის გამო წარწერა რამდენიმე ადგილზეა დაზიანებული (ნახ. 13, სურ. 5).




63b-13-

გვარუმშულ ავაზაკთა სახელებს მხოლოდ ნიკოლოზის აპოკრიფულ თხზულებაში ვკვდებით. ისინი ორიოდეჯერ არის მოხსენებული არაკანონიკური წიგნის შეორე ნაწილში, რომლის სათაურია: „განჩინება პილატესი სიკულიოსათვს იქსუსისა“<sup>5</sup>.

<sup>5</sup> Г. В. „Боулдемарисъ съ свѣтииъ“ южнотуркъ гърка-сърбъ и азърбайджанъ българъ съвѣтъ Шѣмънина (Simp.-78, A-70, A-71, A-674, Q-39, H-354, кътъ на сълѣдъ върху дъщъ № 34 да № 38 бългъ-хъдъ). тъо Ѹвърълъ вънъ-ръбъ отъ азълъ гърка-пътъ: А. Хахановъ, Евангелие Никодима, «Древности Восточныя», Труды восточной комиссии императорского московского археологического общества, т. II, вып. I, Москва, 1907, с. 1—20 (а. българъ-шъръмъ єзъ вънъ-лъръ и дъръжъ сърбъ и азърбайджанъ вънъ-ръбъ вънъ-ръбъ и дъщъ вънъ-ръбъ вънъ-ръбъ, съвѣтъ № 34 да № 38 бългъ-хъдъ, съвѣтъ № 34 да № 38 бългъ-хъдъ).

ბოროტი ავაზაკის სახელი ნიკოლომოსის სახარების ქართულენოვან რედაქციათა ერთ ნაწილში ზემოთმოხმობილ წარწერას ემთხვევა, ზოგან კი მხოლოდ ოდნავ განსხვავდება. სინურ ხელნაწერში (Sin-78) გვაქეს დუმაქს, ხოლო A-70, Q-39, ქუთაისის ისტორიული მუზეუმის № 38 ხელნაწერებში, აგრეთვე ა. ხახანაშვილის მიერ გამოცემულ გელათურ ტექსტში—დომაქს ფორმა.

3. იქვე, ნიშის აღმოსავლეთი კედლის ზედა ნაწილში გამოსახული ჯვარული ავაზაკის თავთან, მის მარჯვენა მხარეს, მოწითალო ფერის საღებავით ნალესობის თეთრ, მოვარდისფრო ფონზე დატანილია ერთსტრიქონიანი ასო-მთავრული წარწერა. ზომა — 12×6,6; გრაფემების სიმაღლე სტრიქონის დასასრულისაკენ მცირდება — 1,6-2,3-2,8-3,6; ქარაგმის ნიშანი — გრძელი (5,5 სმ.), განივი, სწორი ხაზი, რომლის მარცხენა ბოლო გამსხვილებულია, მარჯვენა — ქვემოთ მცვეთხად მოხრილი. წარწერაზე ზემოდან, გაურკვეველი მიზეზის გამო წითელი საღებავის თხელი, ძალზე გაშევირვალე ფენაა უხეშად გადასმული (ნახ. 14, სურ. 6).



ნახ. 14.

უსახა

გ ე ს ტ ი ზ

ავაზაკის ამ სახელსაც არ ეძებნება ანალოგი ნიკოლომოსის სახარების ჩვენაშე მოღწეულ ქართულ ვერსიებში (შდრ. Sin-78, ა. ხახანაშვილის უბლიერის ტექსტი — გვესახ, A-71 — გვესა). ასეთი განვითარებული არა არის მოღწეული თავისებური ფორმების წარმომავლობის დასადგენად დღეისთვის ჩვენს ხელთ არსებული მასალა (როგორც ლიტერატურული პირველწყაროს ვერსიები, ისე ქრისტიანული აღმოსავლეთის სახვითი ხელოვნების ნიმუშები); რაიმე საგულისხმოს არ იძლევა. უსაფუძლო ჩანს მათი ბერძნულ და სომხურ წყაროებთან დაკავშირებაც, რაღაც იქ ავაზაკთა სახელები საქმაოდ განსხვავებული ფორმით არის მოცემული (შდრ.: ბერძნული — Γεστας, Δισμυας, სომხური Դեստաս/Դեստաս და Դեմտաս/Դեմտաս. უფრო დაწვრილებით ავაზაკთა სახელების ბერძნული და სომხური ფორმების შესახებ იხ. ქვემოთ, VII ეკლესიის ფრესკულ წარწერებთან დაკავშირებით). ამრიგად, ამის თაობაზე მხოლოდ ვარაუდ შეიძლება გამოითქვას: ა) შესაძლოა ოსტატს ხელთ პქონდა „პილატეს განჩინების“ შედარებით ძეველი, ან რაიმე სხვა ჩვენთვის უცნობი რედაქცია;

ლიდ პირველი ნახევარია გამოქვეყნებული). ამ აზაკონისური წიგნის ყველა ქართულენოვანი ნუსხის მიხედვთ კრტიკულად დაგვინდილი ტექსტი იხ.: ც. ქ უ რ ც ი კ ი ძ, ნიკოლომის აზაკორფული თხისულების ქართული ვერსია (ძეველი).

ბ) იგი ჯვარტმის სიუკეტის იმ იქონოგრაფიული ნიმუშით სარგებლობდა, რომელშიც ქრისტეს გვერდით ჯვარტმულთა ამგვარი სახელები იყო მოცემული; გ) დასაშეებია ამ ნაკლებად გაერტყელებული სახელების ერთგვარი სახეცვლილებაც ქვეყნის მონაპირე რეგიონის სამხატვრო ცენტრში (მსგავს მაგალითებს მრავლად ვხვდებით ასევე პერიფერიული სვანეთის ფერწერულ სკოლაში).

თავისებურებებთან დაკავშირებით: ჯვარტმის სიუკეტის უკა აღრე შეა საუკუნეებშივა ჩამოყალიბებული სქემის მიხედვით, მოწმუნე ავაზაკი მუდამ ქრისტეს; მარჯვნივ გამოისახებოდა, ხოლო უჩრებო — მარცხნივ. საბერების განხილულ სცენაში ტრაღიცა დარღეცლია — ნიშის დასაცულეთ კედლზე ბოროტი ავაზაკის ფიგურაა, აღმოსავლეთ კედლზე კი — კეთლისა. ეს შეუსაბამობა უდარო სიუკეტის თავად ფერწერის სეული გადაწყვეტით უნდა თასნას — გამორიცხული არ არის, რომ მისთვის ცნობილი არც კი იყო ჯვარტმისა კოშოზიციური სქემის საგულისხმო დეტალი.

აქვე დავსძენთ, რომ შეა საუკუნეების ქართული სახეითი ხელოვნების ძეგლთა შორის ჯვარტმულ ავაზაკთა სახელები საბერების მოხატულობებს გარდა დღეისთვის სხვაგან ცნობილი არ არის.

იოლი შესამჩნევია, რომ წარწერა გესტოზ ჩევნს მოხატულობაში დაუქარაგმავად არის ნაწერი, ქარაგმის ნიშანი კი, როგორც აღვნიშნეთ, აქ დატანილია; ეს ერთობ უჩვეულო ფაქტია და ოსტატის ამგვარ მოქმედებას ვერაფრით ავხსნით.

4. ჯვარტმის კომპოზიციაშივე, ტიმპანში გამოსახულ ჯვარს მიმსცვალული ქრისტეს ფიგურის მარცხნივ, ჯვრის მელაქს ქვემოთ მოჩანს ნალესობაზე მოყავისფრთულითელი სალებავით ნაწერი ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერის ფრაგმენტები, რომელიც აქვე გამოსახულ ფიგურას ეკუთვნოდა. უკირავს ფართობი —  $7,9 \times 4,7$ ; შედარებით სრული სახით შემორჩენილი ერთადერთი გრაფემის — 7 გ-ს სიმაღლეა — 2,1; განკვეთილობის ნიშნები არ შეიძინევა. ქარაგმის ნიშანი — განივი სწორი ხაზი. წარწერაში გრაფემები დაზიანებულია ნალესობიდან საღებავის ფენის აცვენის, აგრეთვე ნალექების ზემოქმედების გამო (ნახ. 15).

[ზ] [ღ] [წ] [ჩ] [ღ]

[ლ]ო(ნ) გ(ი)ნ[ოზ]

ნახ. 15.


ჯვარტმული ქრისტეს მარცხნივ გამოსახული ფიგურის სახელის ამგვარი აღდგენა — თავად ფიგურიდნ კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, უმნიშვნელო ნაშთებილა შემორჩა — ჯვარტმის კომპოზიციის იქონოგრაფიას ემყარება. ტრადიციული იქონოგრაფიული სქემის მიხედვით ამ აღვილზე ღრმათისმშობელი

\* G. Millet, Récherches sur l'iconographie de l'Evangile, ვვ. 493, L. Réau Iconographie de l'art chrétien, t. II, Paris, 1956, p. 494.

არის ხოლმე წარმოლგენილი<sup>7</sup>, ზოგ შემთხვევაში კი — რომაელი ასისთავი ლონ-გინზის<sup>8</sup> (ამ უკანასკნელის სახელიც ავაზაკთა მსგავსად ე. წ. უნიკოლიმოსის სა-საჩებაში<sup>9</sup> არის დამოწმებული). წარწერის შემორჩენილი ფრაგმენტი გვაფიქ-რებინებს, რომ აქ სწორედ ასისთავის ფიგურა იყო წარმოლგენილი (ჩვენთვის უცნობია ღმრთისმშობლის გამოსახულების თანმხლები განმარტებითი წარწე-რა, რომელიც ზე გრაფემას შეიცავს). ეს ვარაუდი უფრო სარწმუნო ჩანს, თუ გავთოვალისწინებთ, რომ ამ კლდეში ნაკვეთი სამლოცველოს ჩრდილოეთ ნიშაში „ჯვარტმის“ ნაკლებ გავრცელებული რედაქტებია არის წარმოლგენილი, რომლის შესრულებისას ოსტატი უდავოდ აპოკრიფული წყაროთი ან ამ წყა-როს საფუძველზე შექმნილი ნიშაუშით სარგებლობდა.

ასისთავის სახელის ამგვარი სახით აღდგენა აქ პირობითია, რადგან „პი-ლატეს განჩხინების“ ქაზთულ რედაქტიული ეს სახელი რამდენიმე ფორმით გვხვდება — ლონგილოზ (Sin-78, A-70, A-674), ლომგინე (A-71), ლონგინე (H-354). ცხადია, პირობითია დაქარაგმებაც, მით უმეტეს რომ ამავე კომ-პოზიციაში შესრულებულ წარწერას, კერძოდ ჯვარტმული ავაზაკის სახელს, როგორც აღინიშნა, ქარაგმის ნიშანი ახლავს, თუმცა სიტყვა დაუქარაგმე-ბელია.

5. ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერის მცირე ნაშთები შემორჩია ჯვარტმული ქრისტეს ფიგურის მარჯვნივაც, კელავ ჯვრის მელავს ქვემოთ. ფრაგმენტის ზომა — 13,3×4,4; გრაფემების სიმაღლე — 2-2,3. ნაწერია მო-ყავისტრო-წითელი სალებავით ბათქაშის დაუფერავ ზედაპირზე. განკვეთილო-ბის ნიშნები არ ახლავს. ქარაგმის ნიშანი — გრძელი (6,3 სმ.), განივი, სწორი საზი, გამსხვილებული მარჯვნია დაბოლოებით (მარტენა — დაზიანებულია). წარწერა ფრაგმენტულია სალებავის აცვენის გამო (ნახ. 16).



ნახ. 16.

[...] [ც] [-] დ [ს] [-] [...]

[...] ა [-] ო [-] [...]

გამოსახულება, რომელსაც ეს წარწერა ეკუთვნოდა, აქაც, ლონგინოზის ფიგურის მსგავსად, თთქმის მთლიანად დალუპულია. გამოსახული კი უნდა ყოფილიყო (ცხადია, კელავ „ჯვარტმის“ სიუკეტის იყონოგრაფიული ტრადი-ციების მიხედვით<sup>10</sup>) ჯვარს მიმსცვალული ქრისტესთვის ლერწამზე წამოგებუ-ლი ნალვლის მიმწოდებელი ჯარისკაცი. ამ ცენტრულინის საკელი შუა საუკუ-ნეების ქრისტიანულ სახვის ხელოვნებში, ლონგინოზ ასისთავისაგან განსხვა-ვებით, უფრო ნაკლებად გვხვდება. საგულისხმო ამ შემთხვევაში ის არის, რომ

<sup>7</sup> L. R ე ა ս, დასახ. ნაშრომი, II, გვ. 492—496.

<sup>8</sup> ქვევა.

<sup>9</sup> ქვევა, გვ. 495—497.

დასავლეთში იგი სტეფატონად (Stephaton) მოინათლა, ხოლო ქრისტიანული სამყაროს აღმოსავლური ჩეგიონების მოხატულობებში კი ვხედებით სახელს ესითი<sup>10</sup> (ზღრ. „გვარუმის“ ფერწერული სიუჟეტების წარწერები კაპათოკის ეკლესიებიდან: აივალი ქილისე — 913-920 წწ.,<sup>11</sup> სოლანლი, Karabas Kilise — X-XI სს.,<sup>12</sup> ირპალა, კოკარ ქილისე — XI საუკუნის მეორე ნახევარი,<sup>13</sup> ჩარიელი ქილისე — XII საუკუნის მეორე ნახევარი<sup>14</sup>, ელმალე ქილისე — 1190-1200 წწ.,<sup>15</sup> კარანლიკ ქილისე — 1200-1210 წწ.<sup>16</sup>).

გარისებაცის ამ მეორე სახელთან დაკავშირებით ერთ საგულისხმო ფაქტს უნდა გაესვას ხაზი: ესითი სახელზე მსჯელობისას ჩვეულებრივ მიუთითებენ ნაწყვეტზე ოთხთავის ბერძნული რელაქციიდ — სპრყვით... ნიმუში კარის მიუთითებენ (იოანე 19, 29)<sup>17</sup>. მიჩნეულია, რომ ესითი სახელი hysopē-ს მცირე სახეცვლილების შედეგად არის მიღებული<sup>18</sup>. იოანეს სახარების შესაბამისი აღვილი ჩვენამდე მოღწეულ უძველეს ქართულენოვან ნუსხაში ასე იკითხება: „ჭურჭელი აღავს ძმრითა მით უსუბას თანა“ (აღმშის ოთხთავი).

| უსუბი (ზღრ. სომხური ღოფუა) სულხან-საბა თრბელიანთან ამვევარად არის განმარტებული: „უსუბი არს ბალახი სუნნელი და ფრიად გამრეცხელი სარცხელითა; უსუბით ასხურებდნენ ერსა განსაწმენდლად“<sup>19</sup>. ძველი ქართული ენის ი. აბულაძისეულ ლექსიკონში მითითებულია, რომ უსუბი იგივე ნაელელია, ან საპურუებელი, სასხურებელი, hyssopus.<sup>20</sup> ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონში უსუბი ბალახად არის მიჩნეული.<sup>21</sup> მართლაც, იოანეს სახარების აქ მოტანილი მცირე ნაწყვეტის შინაარსის მიხედვითაც კი ნათელია, რომ უსუბი ქარისებაცის სახელი ვერ იქნება, თუმცა იგი არც ბალახი, ან ნალველი („ნაელელი“) უნდა იყოს. ამ სიტყვის განმარტებისათვის, ვთქიჩობთ, საგულისხმო და მნიშვნელოვანია 864 წლის სინური მრავალთავის ტექსტი: „იხარებდინ ცანი და გალობდინ ქუეყანად მათთვს, რომელნი იგი სხეურებითა მით ბანად არიან და განწყნდად არიან საპურუებლითა მით ცნობისამათა და ძალითა მით ენებისა მისაებრ, რომელსა-იგი უსუბითა და ლერწამითა ასუეს“ (თექშეული კვრილში ნათლისლებისათვს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტის, 83, 1-5)<sup>22</sup>; როგორც ჩანს, უსუბი ლერწამთან ერთად გაწყობილი, სასმელად ან საპურუებლად გამიზნული საგანი უნდა ყოფილიყო (შესაძლოა, სწორედ ღრუბლის მსგავსიც). გვარუმული ქრის-

<sup>10</sup> G. Millet, Réserves sur l'iconographie de l'Evangile, გვ. 425; L. Réau, Iconographie de l'art chrétien, II, გვ. 497.

<sup>11</sup> N. et M. Thierry, Ayvalı Kilise au pigeonnier de Gülli Dere, Eglise inédite de Cappadoce, Cahiers Archéologiques, XI, 1965, p. 113.

<sup>12</sup> M. Restle, დასახ. ნაშრომი, ტ. III, სურ. 463.

<sup>13</sup> იქვე, სურ. 476. აქ შესრულებულად სახელი ისითი.

<sup>14</sup> M. Restle, დასახ. ნაშრომი, ტ. II, სურ. 209.

<sup>15</sup> იქვე, სურ. 183.

<sup>16</sup> იქვე, სურ. 237.

<sup>17</sup> G. Millet, დასახ. ნაშრომი, II, გვ. 425.

<sup>18</sup> L. Réau, დასახ. ნაშრომი, II, გვ. 497.

<sup>19</sup> სულხან-საბა თრბელი და სიტყვის კონა, თბ., 1949, გვ. 668.

<sup>20</sup> ა. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 432—453.

<sup>21</sup> ა. აბულაძე, ძველი ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი (ძეგლი ქართული ენის ძეგლები, 6), თბ., 1948, გვ. 585.

<sup>22</sup> გამოცემისათვის იხ: სინური მრავალთვე 864 წლის (ძეგლი ქართული ენის კათედრას შემოქმედი, 5), სასტამბო მთამზღვეს კათედრის წევრებმა ა. შანიძის ჩელაქით, წინასიტყვითამბოთ და გამოკლევთვით, თბ., 1959.

ტესაცვის ნაღვლის მიმწოდებელ ცენტრულიონს ჩაც შეეხება, მისი სახელი უდა ვოდ იმ იარაღისაგან უნდა წარმოდგებოდეს, რომელიც მას ხელთ ეპყრა და, საფიქრებელია, რომ სწორედ ეს უკანასკნელი იყო ხომლე თავდაპირელად განმარტებული, გვარუმის „სიუკეტებში, დროთა განმავლობაში კი სახელი ესიის — უსუბა თავად ჯარისკაცს მიეკუთვნა.

ჩვენ წარწერის ფრაგმენტი, როგორც ეხედავთ, არ ემთხვევა რომალი ცენტრულიონის ბიზანტიურ სამყაროში გავრცელებულ სახელს. მისი ძლიერი დაზიანება დღეისთვის ალარც ვარაუდის გამოთვმის საშუალებას იძლევა, მით უმეტეს, რომ „გვარუმის“ კომპოზიციაში შესრულებული განმარტებითი ხასიათის წარწერა ლონგინიზის პირისამი მღვომი ჯარისკაცის სახელის აღნიშვნით საქართველოში ჯერჯერობით სხვაგან ცნობილი არ არის.

6. „გვარუმის“ კომპოზიციაში განმარტებითი ხასიათის ტექსტი დედა ლმრთისას გამოსახულების ნაშთთანაც შემორჩენა. იგი წმ. მარიამის შარავანდის ზემოთ, უშუალოდ ნალესობის ფონზე დატანილი ყავისფერი სალებავით (ეს ფერი ახლა გამუქებულია). ამ ფრაგმენტული წარწერის ზომა 4.5×3.9; შედარებით სრულად შემონახული გრაფიმა შემ-ს სიმაღლე — 2.1. ქარაგმის ნიშანი — განივი, სწორი ხაზი (ნახ. 17)



[წ-] რ-[ჭ]

[წ(მიღ)ა] მ(არია)მ

ნახ. 17.

ზემოთ აღინიშნა, რომ V ეკლესიისა და მის სამხრეთით ნაკვეთი სამლოცველოს ჩრდილოეთ ნიშის მოხატულობა სხვადასხვა ოსტატებს ეკუთვნის. ეს, ცხადია, წარწერების გრაფიკაშიც მჟღავნება, თუმცა „გვარუმის“ კომპოზიციის განმარტებითი წარწერებიც კვლავ VIII-X საუკუნეების ეპიგრაფიკისათვის დამახასიათებელ პალეოგრაფიულ ნიშნებს ატარებს.

კვარტეტი ქრისტეს გამოსახულების თანმხლები განმარტებითი ხასიათის დაქარაგმებული წარწერა ნიშის მოხატულობის დანარჩენი ეპიგრაფიული მსალისაგან დიდი ზომით გამოირჩევა. აქ პალეოგრაფიული თვალსაზრისით ორი გრაფიმა იქცევს ყურადღებას — ესაა 7 ე და 4 ჰ. 7 ე როგორც მაცხოვრის შარავანდის გვერდით, ისე გესტოზის გამოსახულებასთან დატანილ წარწერებში მარცხნივ გაზიდული დამატებითი პორიზონტული ხაზით იწერება, რაც, როგორც აღინიშნა, IX საუკუნიდან მოკიდებული არის მოსალოდნელი. თავშეკრული 4 ჰ წარწერის ერთობ არ ქაც ლ (მ ა ა რ ქ ა ი ზ ე-ბ ე ლ) ხასიათზე მეტ კ ე ლ ე ბ ს, რადგან ეს ასო V—VII საუკუნეების ეპიგრაფიულ ძეგლებში მეტწილად სწორედ თავშეკრული იწერებოდა<sup>23</sup> — მისი გახსნა VIII საუკუნიდანაა ნავარაუდევი<sup>24</sup>. ი. ჯავახიშვილის მითითებით, 4 ჰ გრაფიმას „შედარებით ძეველი მოხაზულობა უფრო ხანგრძლი-

23 6. შოშიაშვილი, ურბნისის ძველი ქართული წარწერები, გვ. 139—142.

24 ი. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949, გვ. 185—186.

ვად შეუნარჩუნებია და ზოგან IX და თვით X საუკ. შეუა წლებამდისაც კი ამ სახით მოუღწევია<sup>25</sup>. ამასთან ერთად, ჩვენს ყ კ გრაფემას თავისებური გრაფიკაც ახასიათებს — ერტიკალური ბუნი ასოს ტრადიციული დაწერილობისაგან განსხვავებით, აქ შეკრული თავის ზემოთ აღარ ვრძელდება და ყ კ-ც ერთგვარად ასევე თავშეკრულ ყ კ-ს მოვაკონებს. ამგვარი მოვლენა — მარცხენა კავისა და ვერტიკალური ბუნის ზედა დაბოლოებების ერთმანეთისადმი გათანაბრება, საკმაოდ აღრე შეინიშნება და ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე გვხვდება<sup>26</sup>, მაგრამ ყველა შემთხვევაში გრაფემებს გახსნილი თავი აქვს. ჩეენ-თვის ცნობილი მაგალითი, სადაც ყ კ საპერების ფრესკულ ეპიგრაფიკაში დადასტურებული ამ გრაფემის ანალოგიური მოხაზულობით ხასიათდება, ოლთისის ეკლესიის საკურთხევლის ქვის ლაპიდარული წარწერაა. იგი 958-996 წლებით არის დათარილებული<sup>27</sup>.

შედარებით სრულად შემონახული დანარჩენი ორი წარწერიდან (აგრეთვე მცირე ფრაგმენტებიდან) საგულისხმო მოხაზულობა აქვს ც ა, ჴ გ, ზ ჭ, ა თ და ც ტ ასოებს.

ც ა გრაფემა აქ ორგვარი სახით გვხვდება. ერთ შემთხვევაში მას ნახევარ-რკალისებრი მოხაზულობა აქვს და კავის ქვედა, წამახვილებული დაბოლოება ზემოთენ არის მიმართული; უღწმუნო ავაზაკის — დამქსის გამოსახულების თანმხლებ წარწერაში კი ნაწილობრივ დაზიანებული გრაფემის ეს ნაწილი მარჯვნივ წარზიდულია და ზედა განივი ხაზის მარჯვენა კიდის მსგავსად ქვე-მოთ დაშვებული სოლისებური მორჩითა გაფორმებული.

ჴ გ გრაფემისათვის, ზემოთ მითითებული პალეოგრაფიული ნიშნის გარდა, დამახსაიათებელია კლაკნილი, ბოლოში წამახვილებული კული. რითაც იგი ატენის სიონის სამხრეთი მელავის 853 წლის ფრესკული მინაწერის ამავე გრაფემას ემსგავსება<sup>28</sup>. ასეთივე კლაკნილი კული აქვს დამატებითი განვითი ხაზის მქონე ჴ გ-ს ჯრუჭის პირველ ოთხაშიც (H-1660, 936 წ.)<sup>29</sup>.

ზ ჭ-ს ბუცელი გახსნილი აქვს; მასთან ამ უკანასკნელის მარჯვენა კავი (იგი გამსხვილებით ბოლოვდება) იმდენად მაღლა ადის, რომ თითქმის ვერტიკალურ ბუნი უთანაბრდება, რის გამოც გრაფემა ს პ-ს ემსგავსება. ზ ჭ-ს მარცხენა პორჩიონტულ, ძალშე წვრილ ხაზს ზეაწეული დაბოლოება აქვს.

ა თ გრაფემის ქვედა ნახევარი წრიული მოხაზულობისაა, ზედა კი უკვე კუთხოვანებისაკენ ამეულავნებს მიღრეკილებას.

ც ტ ასოს სამკუთხა მოხაზულობის თავი აქვს, რითაც იგი ატენის სიონის ალმოსავლეთი ფასადის შევრილზე ამოღარული გრაფიტის (IX საუკუნის

25 ა. გ ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 186.

26 შდრ. ე. მ ა კ ვ ა რ ი ა ნ ი, ქართული ასომთავრული დაწერილობის მხატვრული თავისებურებანი ქართული ხელნაწერების მიხედვით, ტაბ. XIII. 9-19.

27 ქართული წარწერების კორპუსი, I, გვ. 259—261, სურ. 162, ტაბ. 101, 3.

28 თ. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, ატენის სიონის წარწერები, თბ., 1957, გვ. 17—18, სურ. 13. იტენის სიონის ამ მინაწერში ჴ გ-ს აქვს მარცხენა დამატებითი პორჩიონტული ხაზი.

29 ა. ა ბ უ ლ ა დ ე, ქართული წვრის ნიმუშები, ტაბ. 14.

დასაწყისი<sup>30</sup>), ჭილ-ეტრატის იადგარის<sup>31</sup>, აგრეთვე წრომის სტელის ერთ-ერთი (ხელოსანთა) მინაწერის<sup>32</sup> ამავე გრაფემასთან დგას ახლოს. მაგრამ, ჩა-მოთვლილთაგან განსხვავებით, აქ, საბერეების ამ წარწერაში ლ-ტ-ს თავი უჩევე-ულოდ უტრიტებულია, ჩამოგრძელებული — იგი გრაფემის ფეხთან შედარე-ბით ორჯერ გრძელია. ამგვარი მოხაზულობის ლ-ტ-ს ზუსტი ანალოგი ჩვენთვის უცნობია.

როგორც ვხედავთ, საბერეების ფრესკული ეპიგრაფიკის ეს ჯგუფი მცირე-რიცხოვანების მიუხედავად საქმაო საფუძველს იძლევა წარწერების პალეო-გრაფიული ნიშნების შესახებ მსჯელობისათვის, ას თა მითითებული გრაფიკული თავისებურებები კი მოხატულობის თა-რილს — IX საუკუნეს სავსებით შეესაბამება.

30 ქართული წარწერების კორპუსი, I, გვ. 205, სურ. 110, ტაბ. 73, 3; გ. აბრამიშვილი წარწერას X-XI საუკუნეებით ათარიღებს. გ. აბრამიშვილი, ატენის სიონის უცნობი წარწერები, „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სე-რაა, 1976, № 2, გვ. 171—173.

31 ი. აბულაძე, ქართული წერის ნიმუშები, ტაბ. 15—16.

32 წრომის სტელის მინაწერების თარიღის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვა დასხვა მოსახრებებით არსებობს. ი. ჯავახიშვილი და ნ. ჩუბინაშვილი ვათ VII საუკუნის მეორე ნახევრით — VII საუკუნის დასაწყისით ათარიღებენ, ნ. შოშიაშვილი — IX საუკუნით (იხ. ქარ-თული წარწერების კორპუსი, I, გვ. 132—133, სურ. 62, ტაბ. 37, 3).

## VI მკლესიის ფრესკული ჯარისტრი

ამ ეკლესიის ფერწერული შემკულობა, რომელიც ასევე IX საუკუნით თარიღდება!, სახერების სხვა მოხატულობებთან შედარებით ყველაზე მეტად არის დაზიანებული. სალებავის ფენის თითქმის მთლიანად ჩამოცვენის გამო ფერწერიდან მცირე ფრაგმენტებიღაა შემორჩენილი. ამის მიუხედავად, მოლწეული ნაშთების მიხედვით მოხატულობის ზოგადი სქემის აღდგენა დღეისთვის სირთულეს არ წარმოადგენს.

საკურთხევლის ფრესკული დეკორი ამ ეკლესიაშიც ორ რეგისტრად არის გაყოფილი (რეგისტრების გამმიჯნავ ზოლად ე. წ. „კიბისებრი“ ორნამენტი, უფრო ზუსტად — მისი თავისებური სახესხვაობაა გამოყენებული). კონჭის თეოფანიურ კომპოზიციაში საყდარზე მჯდომი ქრისტე „დიდების“ შარავანდის, მრავალფრთხოდების, აგრეთვე ლომისა და ხარის (კუროს) სიმბოლური ფიგურების გარეშე იყო წარმოადგენილი; მაცხოვრის ფიგურის მარჯვნივ და მარცხნივ მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზთა გამოსახულებები გაირჩევა. მათი შესამოსელისაგან — კვართისა და ქლამინდისაგან მცირე ნაშთებიღა (ძირითადად დრაპირების ხაზთა გამუქებული ფრაგმენტები) შემორჩა, სახები კი შედარებით უკეთა მოლწეული. ქრისტეს საყდრის გვერდით მღვიმინ, მთავარანგელოზები მკერდს წინ ზეაწეული ხელით განადიდებენ მას, მეორეში კი ქვედატანს წინ დაშვებული, გაშლილი გრავილები უჭირავთ. ამ ფიგურების ქვემოთა ნაწილები ახლა მთლიანად გადაშლილია.

მაცხოვრის ფიგურის (მისი არასწორი მოხაზულობის მცირე შარავანდის) გარშემო დიდი ზომის თხის აპოკალიფსური ვარსკვლავი არის გრაფიკულად მოხაზული. თავისი ფორმით ეს უკანასკნელი რვალურფურცლიან ყვავილებს მოგვაგონებს.

საკურთხეველშივე, იმპოსტებს ქვემოთ, სალებავი ნალესობიდან მთლიანად ჩამოცვენილია და ამის გამო აქ შესრულებული გამოსახულებებიდან ფაქტურად აღარაფერი შემორჩა. მხოლოდ ჩრდილოეთ იმპოსტის ქვემოთ მოჩანს სახესა და ხელის მტევნის ერთობ უმნიშვნელო ფრაგმენტები. რეგისტრების გამმიჯნავ ზოლსა და კაპიტელებს შორის VI ეკლესიის საკურთხეველში შედარებით მცირე ფართობია, ასე რომ, იქ პირველმოწამეთა მხოლოდ ნახევარ-

<sup>1</sup> A. Volskaya, Peintures murales du monastère rupestre de Sabréébi.

ფიგურები თუ დაეტეოდა (ამავე მიხეზით გამორიცხულია აქ მრავალფრთე-დების გამოსახულებათა შესრულება — ასეთ მცირე მონაკედეთზე მათი ძალზე პატარა, კონქის სხვა გამოსახულებებთან პროპორციებით სრულიად შეუსაბამო ფიგურები თუ განთავსდებოდა).

აბსილის მოხატულობის ქვედა ჩეგისტრში ღმრთისაშობლის, აგრეთვე მოციქულთა ფრონტალური ფიგურებიდან მხოლოდ უმნიშვნელო ნაშები — თავებისა და შარავანდების ზედა ნაწილები შემორჩის. ჩრდილოეთ კედლის კიდეში კი სამი მოციქულის გამოსახულება მთლიანად დაკარგულია.

აქ, კონქის დასაკლეთ კიდეს, V ეკლესიის საკურთხევლის ფრესკული შემკულობის მსგავსად, არათანაბრა სისქის ზოლები გადაუყვება.

ეკლესიის ჩრდილოეთ მკლავში შესრულებულია „ჯვარცმის“ კომპოზიცია. ე. წ. „ყიბისებრი“ ორნამენტით შემოსაზღვრული სცენა მკლავის კედლებზე არათანაბრად არის განაწილებული — იგი ჩრდილოეთ კედლის დასავლეთ ნაწილში იწყება და რაღაც იქ ვერ თავსდება, ნაწილობრივ მკლავის აღმოსავლეთ კედლელზე გადადის.

„ჯვარცმა“ აქ საქმაოდ დაზიანებულია — სცენის ზედა ნაწილში (ნალესობის ნაერს ზემოთ) საღებავი მთლიანად ატვენილია. ამის გარდა, ლაკუნებია შემორჩენილი ქვედა ნახევარშიც.

ამ სიმეტრიული კომპოზიციის ცენტრში გამოსახული იყო გრძელი, წითელი კოლომბიუმით მოსილი ჯვარცმული ქრისტეს ფიგურა: მისგან ღლებისთვის მხოლოდ შესამოსელის შუა ნაწილიდა შემორჩის, აგრეთვე ჯვრის საქმაოდ განიერი ქვედა დაბოლოება. „ჯვარცმის“ სცენის ერთი ტრადიციულ ელემენტთაგანი — აღამის თავი აქ შესრულებული არ არის. ქრისტეს სხეული ფრესკაზე ფრონტალურადა მოცემული; სცენის დაზიანების გამო ამჟამად უკვე შეუძლებელია მსჯელობა იმის შესახებ, აქ ცოცხალი, ტრიუმფატორი თუ აღსრულებული ქრისტე იყო გამოსახული.

ჯვარცმულის ფიგურის მარცხნივ გრძელი კაბით (და არა ტუნიკით) მოსილი რომაელი ასისთავის — ლონგინოზის გამოსახულებაა. ასისთავს ორივე ხელი ზეალმართული აქვს, მარტენენაში მას ვერტიკალურად აღმართული წვრილი, გრძელი შუბი უჭირავს. მისი სახე თითქმის მთლიანად გადაშლილია და აბლა მხოლოდ სახის ნაკეთებისა და წვერის მომნიშნავი შონასმების მცირე ფრაგმენტები გაირჩევა.

გრძელი კაბა მოსახს ჯვარს მომსჭვალული ქრისტეს გამოსახულების მარჯვნივ წარმოდგენილ მეორე რომაელ ჯირისკაცაა. ეს უკანასკნელი ჯვარცმულისკენ მცირედ შებრუნებულია და მარჯვენა ხელი ზემოთ აქვა აწეული (მისი ხელის მტევანი გადაშლილია, თუმც ეჭვი არა, რომ ცენტრიონს ხელში სახარების თხრიობის და ტრადიციული იკონოგრაფიული სქემის შესაბამისად ლერწამზე წამოგებული ლრუბელი ეჭვირა და ქრისტეს ბაგეებთან პქონდა მიტანილი). ლონგინოზის მსგავსად ამ ჯარისკაცის სახეც დაკარგულია, თუმცა

<sup>3</sup> G. Millet, *Recherches sur l'iconographie de l'Evangile*, გვ. 423 და შპლ.

გაირჩევა მისი გრძელი, წამახვილებული, თეთრი (resp. ნაცრისფერი) წვერი და ასევე გრძელი თმა — მას თავი ზემოთ ჰქონდა აწეული და, როგორც ჩანს, მაცხოვარს შეჰყურებდა.

ჯარისკაცთა გვერდით წმ. მარიამისა და წმ. ოიანე ღმრთისმეტყველის ფიგურებია. ლონგინზის გამოსახულების მარცხნივ წარმოდგენილ, კვარცმულისკენ მიმართულ ღმრთისმშობელს მაფორიონით დაფარული ხელი ზემოთ (სახის წინ) აქვს აპურობილი.

გამოსახულების მარცხენა ნაწილი მთლიანად გადაშლილია (აღარ შემორჩია მისი სახეც).

წმ. ოიანეს ფიგურა სცენაში მეორე რომაელი ცენტურიონის მარცხნივ არის გამოსახული. მისი სახე ასევე სრულად გადაშლილია.

იოვანე ღმრთისმეტყველის გამოსახულების მარჯვნივ, სცენას ზედა ნაწილში, აგრეთვე მის გასწერივ მცირე ფრაგმენტები მოჩანს — ეს ჭვარტული ავაზაქების ფიგურების, აგრეთვე მზისა და მთვარის გამოსახულებათა ნაშთებია.

აღწერილი კომპოზიციის ის ნაწილი, რომელიც მკლავის აღმოსავლეთ კედელზე გადადის (იგი სამმხრივ „კიბისებრი“ ორამენტით არის მოჩარჩოებული), თავად ჭვარტმის სიუკეტისგან გამიჯნულია წვრილი ხაზით. სცენის მარჯვენა კიდეში ამგვარად შევქმნილ ვიწრო ზოლზე წარმოდგენილია წვეროსანი მამაკაცის ფრონტალური ფიგურა არანტას პოზაში (ხელებაპყრობილი). მისი გამოსახულება საკმაოდ დაზიანებულია, თუმც გაირჩევა სამოსის დეტალები, აგრეთვე სახის ნაკვთების რამდენიმე ფრაგმენტიც. ვთიქ რობთ, ეს საკედლი პირის (როგორც ჩანს, კტიტორის, მხატვრობის მომენტის) პოზებლის პოზებლის უნდა იყოს. მოგვიანებით არა ადრეული ხანის (IX ს.) ქართული კედლის მხატვრობის მცირერიცხოვან ნიმუშებში ისტორიულ პირთა გამოსახულებები დღეისთვის დამოწმებული არ ყოფილა.

1. VI კედლების საკურთხევლის კონქში გამოსახული, საყდარზე მჯდომიქრისტეს გადაშლილ წიგნზე დატანილი რვასტრიქონიანი წარწერა (დაახლოებითი ზომა —  $25,5 \times 28,5$ ) ამჟამად ძალზე ფრაგმენტული სახით არის შემორჩენალი. გრაფემებიდან აქ განირჩევა მხოლოდ 7, 8 და 9 დ. წარწერა შესრულებული იყო შავი სალებავით ღია ფერის (თეთრი) ფონზე. დაზიანებულია ნალესობიდან სალებავის ფენის აცვენის გამო (ნახ. 18).

2. საყდარზე მჯდომიქრისტეს გამოსახულების მარცხნივ წარმოდგენილი ანგელოზის ფიგურასთან, მისი შარავანდის მარცხენა მხარეს შესრულებულია ორსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა. მისი ზომაა —  $5 \times 9,8$ ; გრაფემების სიმაღლე —  $2,7-3,8-4,3$ ; ქარაგმის ნიშანი — განივი სწორი ხაზი, წარწერა ნალესობიდან ფერადოვანი ფენის აცვენის გამო დაზიანებულია (ნახ. 19).




Fig. 18.





Fig. 19.

1 წ-ც  
2 ძ-ჭ

წ(მიღა)დ |<sup>2</sup> მ(ი)ქ(ე)ლ

8. მიქელ მთავარანგელოზის გამოსახულების პირისპირ, აბსიდის კონქის სამხრეთ ქანობზე გამოსახული მთავარანგელოზის შარავანდთან, მის მარჯვენა გაირჩევა ორსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა, ზომით —  $6,1 \times 11,8$ ; გრაფემების სიმაღლე — 2,4-3,1; ქარაგმის ნიშანი — განივი სწორი ხაზი. ეს წარწერაც წინას მსგავსად დაზიანებულია; გრაფემებს ამ მიზეზით არასწორი მოსაზულობა აქვს (ნახ. 20).



ნახ. 20

1 წ-ც  
2 ძ-ჭ

წ(მიღა)დ |<sup>2</sup> გ(ი)ბ(რიელ)

4. ორივე მთავარანგელოზის გაშლილ გრაგნილზე დატანილი ვრცელი წარწერებიდან დღეისთვის რამდენიმე ასოს გურულეველი კონტურებილა ჩანს. ტექსტები დაახლოებით ათ-თორმეტ სტრიქონად იყო დატანილი.

5. აბსიდის სამხრეთ კედელზე, კონქის კომპოზიციისა და მოციქულთა ფიგურების გამოიჯნავი მსხვილი ორნამენტის ქვემოთ, თეთრ ფონზე მუქი საღებავით შესრულებული იყო ერთსტრიქონიანი წარწერა. ახლა ფონი განაცრის-ფერებულია, გრაფემები — გაშავებული. თავად წარწერიდან ახმდენიმე ასო შემორჩა. ზომა —  $56,1 \times 6,7$ , გრაფემების სიმაღლე — 2,5-2,7 (ნახ. 21).



ნახ. 21.

1 [...] [C] [B] [T] [U] [-----] [T] [- -] [C] [D] [T] [H] [S] [T] [T]  
2 [+H] [...]

[...] ატეს" [-----] ე [- -] ა ლირს ვი /<sup>2</sup> [ქენ] [...]

\* შესაძლოა — [მობ] ატეს

ამ ძალზე ფრაგმენტული ტექსტის გრაფეტები პალეოგრაფიულად საკურ-თხევლის სხვა ჩვენამდე მოღწეული წარწერების იღენტურია. იგი მ. ა. ტ-ვრის მიერ შესრულებული ისტორიული ხასიათის ტექ-სტი უნდა ყოფილიყო. ამგვარი ვარაუდის საფუძველს ის ფაქტი გვაძლევს, რომ ანალოგიური მოვლენა — ფრაგმენტის ისტორიული ხასიათის საკურთხეველში შესრულებული ტექსტი დამოწმებულია ამავე მონასტრის VIII ეკლესიის ცოტათი უფრო მოგვიანო, X საუკუნის მხატვრობაში (იხ. ქვემოთ); ამასთან ერთად, შეუსაუკუნების ქართულ კედლის მხატვრობაში სხვადასხვა ქრისნოლოგიურ მონაკვეთზე მსგავსი მაგალითების არსებობის ფაქტი (ნესკუნი — X ს. 3, ვარძია — 1184-1185 წწ.<sup>4</sup>, ბეთანია — XII ს. 5, ოზაანი — XII-XIII სს. მიზნა, უბისი — XIV ს. 7, კალაური — XVI საუკუნის პირველი ნახევარი, წითელიხევი — XVI საუკუნის პირველი ნახევარი<sup>5</sup>, ილემი — XVI საუკუნის ოცდათიანი წლები<sup>6</sup>) მოწმობს ძველ ქართულ კედლის მხატვრობაში ამ მხრივ გარკვეული ტრადიციის არსებობას.

6. VI ეკლესიის საკურთხევლის ქვედა რეგისტრში, ტრადიციული იქონოგრაფიული სქემის მიხედვით წარმოღვენილი ღმრთისმშობლისა და მოციქულთა ფიგურების თანმხლები განმარტებითი წარწერებიდან ამებად, ნალესობიდან სალებავის თითქმის მთლიანად აცევინის გამო, მცირე ფრაგმენტებილა არის შემორჩენილი. წარწერები ძალზე განმეორალებულია და არსებითად ფონს შეერწყმის; ამიტომ ისინი ძნელად გაირჩევა.

ა) აბსიდის ცენტრში, ღმრთისმშობლის ძალზე დაზიანებულ გამოსახულებასთან, მისი შარავანდის მარცხნივ, თეთრი სალებავით დატანილი წარწერის რამდენიმე გრაფემა იკითხება. ფრაგმენტის ზომაა 3,9 × 7,5; შედარებით სრულად დაცული გრაფემა შ. მ. ს სიმაღლე — 2,3. ქარაგმის და განკვეთილობის ნიშნები არ შემორჩია (ნახ. 22).

ბ) ღმრთისმშობლის გამოსახულების ფრაგმენტის მარცხნივ, მოციქულთა რიგის პირველი ფიგურის (ტრადიციულად აქ პეტრე მოციქული არის ხოლმე გამოსახული) შარავანდის ნაშთთან, მის მარცხნივ, შემორჩენილია თეთრი სა-

<sup>3</sup> ვ. სილოგავა, ქრისტოთა ფრესკული წარწერები ზემო სეანეთში, კრ.: „სეანეთი, I“, თბ., 1977, გვ. 51, სურ. 85.

<sup>4</sup> Vardzia. Leningradj. 1975, p. 62; ფოტოსაზოვანი ი. კ. მელიაური, ვარძის სამშენებლო-ხელომმარცრეული შესწავლის საკთხები, თბ., 1961, სურ. 10.

<sup>5</sup> Е. П. Привалова, Новые данные о Бетании, «IV Международный симпозиум по грузинскому искусству», Тб., 1983, с. 16.

<sup>6</sup> თ. ბარა ნავარი, კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, გვ. 124—126, სურ. 52.

<sup>7</sup> შ. ავთანანაშვილი, ქართველი მხატვარი დამიანე, თბ., 1974, გვ. 13.

<sup>8</sup> ნ. ბურჯულაძე, დევიდების ეკლესიის შხატვრობის შესახებ, „ძეგლის შეგინახი“, № 43—44, 1976—1977, გვ. 53—54.

<sup>9</sup> ცნობა მოგვაწოდა ი. სუსკივაძემ.




1 [ქ] [ც]  
2 [პ] [ტ]

ჭ(მილა)ა |<sup>2</sup> მ[(არია)მ]



ნახ. 22.

ღებავით შესრულებული ასომთავრული წარწერის ფრაგმენტი. მისი ზომაა —  $3,8 \times 4,2$ ; გრაფემა წ წ-ს სიძალე — 4,2; განკვეთილობის ან ქარაგმის ნიშანი არც აქაა მოღწეული (ნახ. 23).



1 [ქ] [ც]  
2 [უძარა]

ჭ(მილა)ა |<sup>2</sup> [პეტრე]

ნახ. 23.

გ) ასევე მცირე ფრაგმენტია დარჩენილი ღმრთისმშობლის ფიგურის მარჯვნივ გამოსახული მოციქულის ძალზე დაზიანებულ ფერწერულ ნაშებთან, მისი შარავანდის მარცხნივ. ესაა წინა წარწერათა მსგავსად თეთრი სალებავით დატანილი დაქარაგმებული წ' წ — ჭ(მილა)ა სიტყვიდან მოღწეული რამდენიმე მცირე ლაქა.

დ) საკურთხევლის ჩრდილოეთ კედელზე, მოციქულთა რიგის მეორე და მესამე ფიგურებთან განმარტებითი წარწერების ნაშები იმდენად მცირეა, რომ მათგან აზრის გამოტანა ვერ ხერხდება.

7. ნალესობიდან სალებავის ფენის აცვენის გამო უმნიშვნელო ფრაგმენტები შემორჩა ეკლესიის ჩრდილოეთ მკლავში გამოსახული „კვარცმის“ კომპოზიციის განმარტებითი ქართული ასომთავრული წარწერებისგანაც.

ა) სცენაში ოთან ღმრთისმეტყველის ფიგურასთან (ჩანს, მისი შარავანდის დონეზე) დარჩენილია ასომთავრული წარწერის მცირე ნაშთი — [ქ] [ც] წ (მილა)ა. საფიქრებელია, რომ ტექსტის დანარჩენი, აწ დალუპული ნაწილი — ღმრთისმეტყველის სახელი მისი ნიმბის ჩამოსწვრივ იყო დატანილი. ფრაგმენტის ზომაა —  $4 \times 4,1$ ; შედარებით სრულად შემონახული წ წ გრაფემის სიმა-

ღღ — 4.1. წარწერა შესრულებულია შავი საღებავით ოქროსფერის ; ოქროს ფონზე (ნახ. 24).



ნახ. 24.



ნახ. 25.



ნახ. 26.

ბ) განმარტებითი წარწერა ახლდა რომაელი ცენტრურიონის — ლონგინოზის გამოსახულებასაც. მის შებიან ხელსა და თავს შორის არსებული ფრაგმენტების მიხედვით თუ კიმსჯელებთ, აქ სამსტრიქონიანი ასომთავრული ტექსტი იყო შესრულებული. მისგან შედარებით სრული სახით მხოლოდ მეორე სტრიქონის ბოლოს 7 და მესამე სტრიქონის დასასრულს 1 ა გრაფემები შემორჩა. წარწერის ფრაგმენტები შეინიშნება  $10,5 \times 6,5$  სმ. ფართობზე. ესეც წინა ტექსტის მსგავსად შავი სალებავითაა დატანილი ოქროსფერი ოქრის ფონზე (ნახ. 25, სურ. 7).

გ) საშტრიქონიანი (ან უფრო ვრცელი) წარწერა იყო შესრულებული მეორე რომაელი გარისკაცის ფიგურასთან, მისი კეფისა და ზურგის მაჩვენივ. აქ მხოლოდ მესამე სტრიქონის დაბოლოება იკითხება — [...] [შ] 7, 1 - [...] მეა(?) შავი სალებავით შესრულებული ამ განმარტებითი წარწერის ფრაგმენტებს უჭირავს ფართობი  $8,9 \times 11,7$ ; გრაფემების სიმაღლე  $2,2 - 2,8$  (ნახ. 26, სურ. 8).

VI მკლესიის სამხრეთ კარიბჭის საკურთხევლის  
ფრესკული ზარნორები

VI ეკლესიის სამხრეთით კლდეში ნაკვეთი, O—W ღერძზე წაგრძელებული კარიბჭე აღმოსავლეთით აბსიდით ბოლოვდება. კარიბჭე მთლიანად ყოფილი შელესილი. ბათქაშის ფრაგმენტები მის შედარებით სრულად გადაჩენილ ჩრდილოეთ კედლებზე ახლაც ჩანს. მოხატულობა მხოლოდ საკურთხეველში და ჩრდილოეთი კედლის მასთან მიმდებარე ნაწილზეა დარჩენილი. ჩანს, ფერწერით კარიბჭის ინტერიერის სწორედ ეს ნაწილები იყო შემკული.

ეკლესიის შესასვლელის სამხრეთ-დასავლეთით, იქვე, კლდის ზედა ნაწილში, კარიბჭის წინ (ე. ი. მის სამხრეთი) გამოკვეთილი, ამჟამად თითქმის მთლიანად ჩამონაგრეული სათავსოს (გალერეის?) მცირე ფრაგმენტი (საფიქრებელი — კამარის ჩრდილოეთ ქანობის პატარა მონაკვეთი) არის შემორჩენილი. იგი შელესილია. ზემოლდან ჩამონაგრენი ტალახის თხელი ფენით დაფარულ მის ზედაპირზე ძნელად გაიჩეხეა მოწითალო ფერის აფრიკალებული კალთა. შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აქ წმ. მხედრის (ზხედრების?) ფიგურები უნდა ყოფილიყო შესრულებული. მათი გამოსახვის ადგილი — კამარის კალთა უკვე თავისთვალ მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ მოხატულობის ეს მცირე ნაშთი შედარებით აღრეულ პერიოდს ეკუთვნის. წმ. მხედრის მოსახამის აფრიკალებული ბოლოს მსგავსი მოხაზულობაც საკმაოდ აღრე — X-XI სს. სკულპტურისა და კედლის მხატვრობის ნიმუშებშია დადასტურებული<sup>2</sup>.

VI ეკლესიის სამხრეთი კარიბჭის საკურთხეველს მოხატულობა მხოლოდ ნაწილობრივ პუარაც. ფრესკული დეკორი აქ ერთი მეტრის სიმაღლეზე იწყება, კვემოთ კი ნალესობა დაუფარავდ არის დატოვებული. განსახილველი ფერწერა IX საუკუნით თარიღდება<sup>3</sup>.

აბსიდის ცენტრალურ ნაწილში აქ ზურგიან საყდარზე მჯდომი ღმრთის-მშობლის ფრონტალური გამოსახულება არის შესრულებული. წმ. მარიამის სახე, სტოლის და მაფორიონის ფერი, ახლა, აბსიდის კონქის შუა ზოლის შეკვარტლულობის და იმიტომ სალებავის ფენის აცვენის გამო, მთლიანად სახე-შეკვლილი და ძნელად გასაჩეჩეო (მისი სახის ნაკვეთებიდან მხოლოდ ცალკეული მონახაზები ჩანს). ეგვევე ითქმის ღმრთისმშობლის მუხლებზე, დედის მეკრძალების წინ ფრონტალურად მჯდომი, მაყურთხეველმარჯვენა შემართული ქრისტეს გამოსახულების შესახებაც, ამასთან მისი სახე მთლიანად დაზიანებულია.

<sup>1</sup> Т. Б. ქვირსალაძე, ფრესკовა როსპიც ხუდოჯის მინაელა მაგლაქელი მაჭხვარიშვი, Ars Georgica, 4, 1955, с. 215; ტ. შევაბა კოვა, სოფელ იუხის (ზემო სანერი), მახლობლად მოქარე წმ. კომეგი (ჯგუფი) ეკლესის მხატვრობის თარიღის საკთანისოების საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მთამაც, ტ. XXX, № 6, 1963, გვ. 831.

<sup>2</sup> ტ. შევაბა კოვა, დასახ. ნაშრომი, გვ. 831—832, სურ. 11.

<sup>3</sup> A. Volskaya, Peintures murales du monastère rupestre de Sabréébi.

აღნიშნულს ისიც ემატება, რომ აბსიდის ცენტრსა და ჩრდილოეთ კედელზე, ქვედა ნახევარში, ნალესობა მთლიანად ჩამოშლილია, რის გამოც ყრმის ფიგურა, ისევე როგორც წმ. მარიამის ქვედატანი, თითქმის აღარ შემორჩა.

ღმრთისმშობლის ორსავე მხარეს მთავარანგელოზთა ფიგურებია. მათი სახეები განზრახ არის დაზიანებული.

მთავარანგელოზებს ერთი ხელი მეტრის წინ აქვთ აღმართული, ნებით მა ყურებლისკენ, მეორეში კი, როგორც ჩანს, გახსნილი გრავნილები უკირავთ (ორივე გამოსახულებაზე ეს აღვილი დაზიანებულია და მცირე ფრაგმენტები-ლა გაიჩინევა).


აბსიდის სამხრეთ კილეში შესრულებული ყოფილა წინასწარმეტყველის შედარებით მცირე ზომის გამოსახულება. იგი განზრახ არის დაზიანებული და ფიგურიდან მხოლოდ მარცხენა ნაწილი (შარავანდის, კვართის ფრაგმენტი, აგრეთვე მაკურთხეველი მარჯვენა ახაჩევულებრივად გრძელი თითებითურთ) არის დარჩინილი.

ფერწერული კომპოზიცია საკურთხეველში საკმაოდ ფართო მცირეული ორნამენტითა შემოსაზღვრული.

აბსიდის ჩრდილოეთი მდებარე კედელზე ამჟამად მხოლოდ მოხატულობის გაურკეველი ფრაგმენტები მოჩანს.

IX საუკუნის ამ ფერწერული დეკორის სტილისტური დახასიათება ცალკე ნარკევის საგანია; აქ მხოლოდ შევნიშნავთ, რომ კარიბჭის ფრესკებისთვისაც მის ჩრდილოეთი გამოკვეთილი ტაძრის მოხატულობის ანალოგიური ტენდენციები არის ნიშანდობლივი, თუმცა კი იგი სხვა ოსტატის მიერ შესრულებული უნდა იყოს.

1. VI ეკლესიის სამხრეთი მიმდებარე კლეში ნაკვეთი სამლოცველოს საკურთხეველის კონქში გამოსახული ღმრთისმშობლის ფიგურასთან, მისი შარავანდის გასწერი, ორსავე მხარეს მოჩანს მკრთალი ასომთავრული წარწერა. შესრულებულია თეთრი სალებავით ნაცრისფერ ფონზე (ფონი ამჟამად გაშავებულია). წარწერის მარცხენა ნახევრის ზომა —  $5 \times 4,5$ , მარკევნასი —  $5,3 \times 4$ ; გრავურების სიმაღლე —  $3-4,5$ ; განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს; ქარაგმის ნიშანი — სწორი, განივი ხაზი, რომელსაც მარცხენა ბოლო ზეალმართული აქვს, ხოლო მარჯვენა ოდნავ გამსხვილებული. წარწერის მარცხენა ნახევარი სალებავის აცვენის გამო დაზიანებულია (ნახ. 27, სურ. 9).



ნახ. 27.

[ქ] [ც] რ-ზ

წ(მიდა) მ(არია) მ

ამვარად, IX საუკუნის ამ მოხატულობაში ეპოქისთვის ტარადიციული საკურთხეველის თეოფანიური კომპოზიციის, აგრეთვე ჭარუმისა და წმ. მხედართა თემების გერბიდან უკვე წილება ღმრთისმშობლის გამოსახულება, რომელსაც დამოუკადებელი, თუმცა ჯრ მხოლოდ დატერატურა სამლოცველოს საკურთხეველი ემობა. ეს ფარები იმით არის კანსაკეთრების

საგულისხმო, რომ ბოლო ათწლეულის გაშეკვეთის შინაგანტრიური საშეკროს ღმმოსაელური ჩევონების, კერძოდ კაპალიების და საქართველოს კედლის მხატვრობაში, ღმრთის შემბლის ტიგურა საკურთხევლის კონქიშ Ⅹ საუკუნიდან არის დაისტურებული (შავ: კასალოებიში — ბალკან დერეს<sup>11</sup>, ხოლო გამრების VI<sup>12</sup> კაბელები, ელ ნაზარი<sup>13</sup>, გულუ დერეს II ეკლესია<sup>14</sup>, Eski Baca Kilisesi<sup>15</sup>, ღირევლი ქილ სავ<sup>16</sup>. Çanlik Kilise, <sup>17</sup>, კ. წ. ყოვლინგბიანი ეკლესია "გარემოში"<sup>18</sup>; ჩამოთვლილ ნიშვრული ზოგიერთში ღრმა მოსახულებას გამოსახულება საბერების ამ მოხატულობის მსგავსად გვერდით აძილდა (შესრულებული), ოუმც. მკლევართა მთითებით, ამ ხანებში აბსიდების დეკორისათვის ღმომინანტს კვლავ ფეოფანიური კამპონიცია ან „კედრება“ წარმოადგენს<sup>19</sup>.

ნიშანობლივია, რომ ცალკე, დამოუკიდებელი სამლოცველოს საკურთხეველში, მთავარი ეკლესის კონქის თეოფანიური კომონიუნის გვერდით წარმოდგენილი ღმრთის შემბლები მთავარა გველობრივი მუჟს სუუკუნების ქართული აედლის მხატვრობის ძეგლთან პირველად სწორედ გარესის ფერწერული სკოლის ერთ-ერთ უადგენს ნიმუშში გვევდება. საქართველოს ისტორიული რეგიონებიდან ღმრთის მშობლის კულტის განსაკუთრებული პიპლარობა სწორედ კახეთში შეინიშნება, ამ კუთხეში, რომლის ფარგლებშიც შედიოდა გარეჯის მრავალობის უდაბნო-მონასტრები. ამ პერიოდიდან (IX-X საუკუნეებიდან) მოყიდვებული საქართველოში, საზოგადოდ და კერძოდ — კახეთში, გარეჯში, ეს თემა თანდათანობით გაერტყობა პერიოდს, X საუკუნის მიწურული დი (შძე). უდაბნოს მონასტრებს მთავარი ეკლესიის აბსიდის ფერწერული შემკულობა<sup>20</sup>), მას მრავალმთის ეკლესიების მოხატულობებში უკვე მთავარი ადგილი უკავავა<sup>21</sup>.

აღრე უკვე საგანგებოდ შეინიშნებული ეს ფაქტი საბერებების განსახილევე მოხატულობაში წარმოდგენილი ღმრთის შემბლის იკონოგრაფიითაც დასტურდება: წ. მ. მარიამის ზე-მო-თ აღ წერ ჩა და გა მოსახულება ნიკო კე კი ს ა ს 16 (უ ფ რ თ დ ა ზ უ ს ტ ე ბ ი თ ა კ ი პ რ ს ი ს 17) ტ ი პ ი ს ა ა. ჭერ კილევ აღრექრისტიანული ეპოქიდან მოყიდვებული, ამ ტიპის ნიმუშები შერელად არის ცნობილი ბიზანტიური სამყაროს სხვადასხეს კუთხის ძეგლებით. მის რამდენიმე მაგალითს ქართლის პლატფორმის ნიმუშებიც გვიძლევს (ხანდის VI საუკუნის შეორე ნახევრის და ბოლონის VI საუკუნის სტელები<sup>21</sup>, ეძანის რელიეფი — VI საუკუნის შეუხანებისა<sup>22</sup>, გმოსახულება წერელის კანკელის ფილაზე<sup>23</sup>).

<sup>4</sup> J. Lafontaine-Dosogne, L'église rupestre dite Eski Baca Kilisesi et la place de la Vierge dans les absides cappadociennes, Jahrbuch der Österreichischen Byzantinistik, Bd. 21, Festschrift für O. Demus zum 70. Jahrstag, 1972, p. 167—178; N. Thierry, A propos des peintures d'Ayvalı Kōy, ვვ. 16—17; მ ს ა კ ი ს ხ ე მ ა ს ტ უ რ უ ლ ი დ ა ბ ი ს ი ს 17. ტ ი პ ი ს ა ა. ჭერ კილევ აღრექრისტიანული ეპოქიდან მოყიდვებული, ამ ტიპის ნიმუშები შერელად არის ცნობილი ბიზანტიური სამყაროს სხვადასხეს კუთხის ძეგლებით. მის რამდენიმე მაგალითს ქართლის პლატფორმის ნიმუშებიც გვიძლევს (ხანდის VI საუკუნის შეორე ნახევრის და ბოლონის VI საუკუნის სტელები<sup>21</sup>, ეძანის რელიეფი — VI საუკუნის შეუხანებისა<sup>22</sup>, გმოსახულება წერელის კანკელის ფილაზე<sup>23</sup>).

<sup>5</sup> G. de Jerphanion, Les églises rupestres de Cappadoce, t. II, fasc. 1, ვვ. 50.

<sup>6</sup> ვევვ, ტ. I, ნაწ. 1, ვვ. 96.

<sup>7</sup> ვევვ, ვვ. 178, ტაბ. 401.

<sup>8</sup> ვევვ, ტ. I, ნაწ. 2, ვვ. 592.

<sup>9</sup> J. Lafontaine-Dosogne, L'église rupestre dite Eski Baca Kilisesi, სურ. 4—5.

<sup>10</sup> N. et M. Thierry, Nouvelles églises rupestres de Cappadoce, ვვ. 190.

<sup>11</sup> ვევვ, ვვ. 22.

<sup>12</sup> G. de Jerphanion, დასახ. ნაშრომი, ტ. I, ნაწ. 2, ვვ. 398, 434, 456.

<sup>13</sup> N. Thierry, A propos des peintures d'Ayvalı Kōy, ვვ. 17.

<sup>14</sup> ვ. ა ბ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი, დავით გარეჯელის ცხოვრების ციკლი ქართულ კილის მხატვრობაში, თბ., 1972, ვვ. 64.

<sup>15</sup> ვ. ს ხ ი რ ტ ლ ა ქ ე, ღმრთის შემბლის ცხოვრების პორტრეტული ციკლი ბერთუბნის ტაძრის მოხატულობაში, „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1982, № 2, ვვ. 123.

<sup>16</sup> L. Réau, Iconographie de l'art chrétien, t. II, fasc. 2, Paris, 1955, p. 71.

<sup>17</sup> Н. П. Кондаков, Иконография Богоматери, т. II, СПб, с. 316—356.


<sup>18</sup> Нико Чубинашвили, დასახ. ნაშრომი, ვვ. 14—15, 76, ტაბ. 21, 45.

<sup>19</sup> ვევვ, ვვ. 78, ტაბ. 52.

<sup>20</sup> Л. Г. Хрущкова, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XXV, 3; XXXVII; XXX, 1.

2. მცირე სამლოცველოს საკურთხეველშივე, მის სამხრეთ ფერდზე გამოსახული მთავარანგელოზის მარცხნია ფრთის ზემოთ, მისი შარავანდის გასწვრივ, ნაცრისფერ ფონზე თეთრი სალებავით შესრულებულია ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა. მისი ზომა — 18,5×5,3; გრაფემების სიმაღლე — 2-2,5-4,4; განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს, სიტყვები ერთმანეთისგან დაცილებული არ არის. ქარაგმის ნიშანი — სწორი განივი ხაზი გამსხვილებული ბოლოებითურთ. სალებავის აცვენის გამო დაზიანებულია წარწერის შეუანაწილი (ნახ. 28, სურ. 10).

გა მ ო ც.: დ. გონაშვილი<sup>21</sup> (მხედრ. ტრანსკრ.) (გ).



ნახ. 28.

წარწერა [ქა] გონაშვილი

წ(მიდა)დ ურიელ

გ: წარწერა

3. იქევ, აბსიდის ჩრდილოეთ კედელზე გამოსახული მთავარანგელოზის შარავანდის მარცხნივ შესრულებულია ოთხსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა. ზომა — 7,2×13,6; გრაფემების სიმაღლე — 1,8-2,5-4,8; განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს, სიტყვები ერთმანეთისგან არ არის დაცილებული. ქარაგმის ნიშანი, წინა წარწერის მსგავსად, აქაც განივი, სწორი ხაზია უფრო მკაფიოდ გამოხატული მარცხენა ზეაწეული, ხოლო მარჯვენა — კვემოთ დაპირის გამსხვილებული ბოლოებითურთ. შესრულებულია თეთრი სალებავით ნაცრისფერ ფონზე. წარწერა ძალშე მეტათალია — მისი ამოკითხევა ამჟამად ჭირის (ნახ. 29).


სახეითი ხელოვნების დღეისთვის ცნობილ სხვა ქართულ ნიმუშებში ამ მთავარანგელოზის სახელის რამდენიმე ვარიანტი გვხვდება — ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულ სამწერობელზე (X-XI სს. მიჯნა) არის წარწერა — სურიელ<sup>22</sup>, ჩუყულის ეკლესიის XI საუკუნის პირველი მეოთხედის ხის მოჩუქურთმებულ ქარჩე — სარიელ<sup>23</sup>, ხოლო ტიმოთესუბნის მოხატულობაში — სOPIEΛ<sup>24</sup>. ჩანს, კლდეში ნაკვეთი ამ მცირე სამლოცველოს საკურთხევლის მოხატუავი თსტატისთვის სურიელ მთავარანგელოზის სახელი ამ ფორმით (ხორიელ) იყო ცნობილი.

<sup>21</sup> დ. გონაშვილი, ივრის ხეობაში, წერილი ზეორე, ვ3. 52

<sup>22</sup> Г. Н. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, ვ3. 1444.

<sup>23</sup> Нико Чубинашвили, Грузинская средневековая художественная резьба по дереву, Тб., 1958, с. 28.

<sup>24</sup> Е. Л. Привалова, Роспись Тимотесубани, Исследование по истории грузинской средневековой монументальной живописи, Тб., 1980, с. 27, 182.



ნაბ. 29.

ურიელ და სურიელ მთავარანგელოზების սაბერეების VI ეკლესიასთან  
მიმდებარე მყირე სამღლოცველოს საკურთხეველში გამოსახვა განმარტებითი  
წარწერებითურთ უეპველად საცულისხმო ფაქტია — დადგენილია, რომ მიქელ  
და გაბრიელ მთავარანგელოზებს გარდა, სხვა დანარჩენ მთავარანგელოზთა  
სახელები ძევლი აღმოქმის არავანონიკურ თხზულებებში ჩნდება<sup>26</sup>, თუმცა მა-  
თი გამოსახულებები სახელის აღმნიშვნელი წარწერებითურთ ხშირადაა და-  
მოწმებული ჩოგორუ შუა საუკუნეების დასავლურ, ისე ქრისტიანული აღმო-  
სავლეთის სხვადასხვა რეგიონთა სახვითი ხელოვნების ძეგლებში (მაგალითად —  
კაპადოკიის კედლის შხატვრიბაში<sup>27</sup>). მიქელისა და გაბრიელის გარდა, სხვა  
მთავარანგელოზთა გამოსახვის ფაქტს რამდენჯერმე ვხედებით შუა საუკუნე-  
ების ქართულ სახვით ხელოვნებაშიც (X-XI საუკუნეთა მიწნის სამწერობ-  
ლები ობურიდან და ჭუთაისის მთავარეთმცოდნეობის მუზეუმიდან<sup>28</sup>, ჩუყულის  
ეკლესიის ხის მოჩუქურთმებული კარი<sup>29</sup> სოფელ ხეს ეკლესიის (XIII ს.)<sup>30</sup>,  
აგრეთვე ტრიმოთესუბნის (1205-1220 წწ.)<sup>31</sup>, ალავერდის (XV ს.) მოხატულო-

<sup>25</sup> დ. გონაშვილი, ივრის ხეობაში, წერილი მეორე, გვ. 52.

<sup>26</sup> R. Perdrizet, L'archange Ouriel, „Seminarium Kondakovianum“, t. II, Pra-  
gue, 1928, p. 241-275.

<sup>27</sup> შრ. კართულ ქლისებ, ჩარიელ ქლისებ, გლამლ ქლისებ მოხუცულებები, საღაც  
ოთხი, ან ერთმაში ექვსი მთავარანგელოზის გამოსახულება მოცემული (ძირითადად —  
მიქელ, გაბრიელ, რაფაელ, ურიელ, მიქაელ, ფლოგოთელ, სუსაკ მთავარანგელოზები)  
ბერძნულებნიანი წარწერებითურთ. G. de Jephaphion, Les églises rupestres de  
Cappadoce, t. I, fasc. 2, გვ. 406-407, 440, 459.

<sup>28</sup> Г. Н. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, გვ. 140, 144.

<sup>29</sup> Нико Чубинашвили, Грузинская средневековая художественная резьба по дереву, გვ. 27-28.

<sup>30</sup> ა. უ იფ შ ი ძ, ზემო სვანეთის სოფ. ხეს ეკლესის მხატვრიბის იუნივერსიტეტი  
სქემის თაღაქმებურება, „მაცნე“, სტურის, მაქეოლოგის, ეთნოგრაფისა და ხელოვნების სამუშაო  
სკოლა, 1975, № 3, გვ. 49-52. ხა. 5; T. Velmanis, L'église de Khé en Géorgie, «Зограф»,  
№ 10, 1979, p. 71-82.

<sup>31</sup> Е. Л. Привалова, Роспись Тимотесубани, გვ. 26-27.

1. წ' ც
2. ს კ ა
3. ქ ე რ ი
4. ე ქ ე ბ

წ(მიღა)დ | გ ს ო ვ რ ი ტ ე ლ  
გ: წ' ა ხორიელ



ნა. 30.

წარწერა განზრას არის დაზიანებული, ამიტომ გრაფემები მცირე ფრაგ-  
მენტების სახითაა შემორჩენილი, ხოლო წინასწარმეტყველის სახელი დღე-  
ისთვის მთლიანად წამლიანია; თუმცა იგი მაინც ცნობილია: დ. გონაშვილს

<sup>22</sup> P. O. Шмерлинг, Малые формы в архитектуре средневековой Грузии,  
250—251.

<sup>23</sup> P. Perdrizet, დასხ. 6: მრომი, გვ. 244—245.

<sup>24</sup> დ. გონაშვილი, ივრის ხეობაში, წერილი შეორენი, გვ. 52.

ბები და სხვ.); ამგვარი მოვლენა — მას, სრულად მარ-  
თებულად, წინაქრისტიანული ხანის გამოძახილად მიიჩ-  
ნევენ<sup>22</sup> — უდავოდ მოწმობს საქართველოში არამო-  
ლოდ მიქელისა და გაბრიელის, არამედ სხვა მთავარანგე-  
ლოზთა კულტის პოპულარობას.

სურალ მთავარანგელოზის გამოსახულებასთან და-  
კავშირებით საყურადღებოა ისიც, რომ შეკლეუართა მი-  
თითებით, ეს უკანასკნელი არ შედის ოთხ შემაღლეს მთა-  
ვარანგელოზთა დასში, თუმცა ურიელის თანასწორადაა  
მიჩნეული და სწორედ ამის გმო, ზოგ შემთხვევებში,  
სხვადასხვა იუდაურ თუ იუდაურქრისტიანულ თხზულე-  
ბაში მას ჩაფარალ მთავარანგელოზის ნაცვლად ვხდე-  
ბით<sup>23</sup>. უნდა ვითქმიროთ, რომ ანალოგიურ მოვლენასთან  
გვაქვს საქმე საბერეების ამ მცირე კაპელის მოხატულო-  
ბაშიც.

4. აბსიდის სამხრეთი კედლის უკიდურეს დასავლეთ  
კუთხეში გამოსახული წინასწარმეტყველის ფიგურის  
გარცხნივ, მისი მაკურთხეველი მარჯვენის ზემოთ და  
ქვემოთ განაწილებულია ცხრასტრიქონიანი ასომთავრუ-  
ლი წარწერა. იგი თეთრი სალებავით არის შესრულებუ-  
ლი მუქ ნაცრისფერ ფონზე. უკირავს ფართობი —  
5,8×42,7; გრაფემების სიმაღლე — 1,6-2-3,1; ქარაგმის  
ნიშანი — განივი, სწორი ხაზი, რომლის მარჯვენა ბოლო  
გამსხვილებულია, მარცხენა — მოხრილი და ზეაწეული.  
განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს, სიტყვები ერთმა-  
ნეთისაგან არაა დაცილებული (ნახ. 30, სურ. 11).

გ ა მ თ ც: დ. გონაშვილი<sup>24</sup> (მხედრ. ტრანსკრ.).

- 1 [წა] ც,
- 2 [ჩ ც]
- 3 [დცხ]
- 4 წ [წ],
- 5 [გი] ც [ც]
- 6 [წ] ც [ც]
- 7 [რა] წ [წ]
- 8 [ცუ] რ [რ]
- 9 წ [წ] ი

წ(მილა)ც [წა] წ[თან] წ[ც] წინ-  
ნა წ [წა] წ[რ] წ[ც] წ[ც] წ[ც] წ[ც]

წარწერა დაზიანებამდე უნახავს და ამოუკითხავს კიდევ — ნათან წინასწარ-შეტყველი.

საკურთხევლის ამ კომპოზიციაში ურიელ და სორიელ (სურიელ) მთავარ-ანგელოზთა მიერ განდიდებული ღმრთისმშობლისა და ყრმა იქსოს გამოსახუ-ლებათა გვერდით ნათან წინასწარმეტყველის წარმოლგენა საგანგებო ცურად-ლებას იმსახურებს. აბსიდის ფერწერული შემკულობის სქემის ამ თავისებუ-რების განმარტებისათვის საგულისხმო უნდა იყოს ბიბლიის ტექსტი:

„და იყო რაჟამს დაჭდა მეფე დავით სახლსა შინა თვესა, და უფალმან და-უპკლინა მას გარემოს ყოველნი მტერნი მისინი. და პრექუად მეფემან წინას-წარმეტყველსა ნათანს: ამა აწ მე ეს ცხოვრიობ სახლსა შინა ნაქასას. და კიდო-ბანი ღუთისა მდგომარე არს კარავს შორის. და პრექუა ნათან მეფესა: ყო-ველნი რაოდენი არიან გულსა შინა შენსა, ვიდოდე და ჰყოფდ, რამეოუ უფალი არს შენთანა. და იქმნა ლამესა მას შინა და იყო სიტყუად უფლისა ნათანის მი-მართ, რომელი ეტყოდა. წარვედ და აჩქუ მონასა ჩემსა დავოთს, ამას იტყუს უფალი: ვერ აღმიშენო შენ მე სახლი საყოფელად ჩემდა... და იყოს რაჟამს აღლესრულნეს ღლენი შენი, და შეისუენო მამათა შენთა თანა, და აღ ვა დ-გი ნო თე ს ლი შენი შემდგომად შენსა, რომ ელიცა იყოს მუცლისაგან შენისა და განვემზადო მეფობად მისი. და მან აღმიშენ ნოს სახლი სახელისა ჩემისა, და განვემართო საყდარი მისი უკუნისამდე. მე ვიყო მამად მისისა, და იგი იყოს ძელ ჩემდა, და უკეთუ აღმოჩნდეს უსამარ-ტლოება მისი, ვამხილო იგი ეუერთხითა კაცისათა და წყლულებითა ძეთა კაცთასა. ხოლო წყალობად ჩემი არა განვაშორო მისგან, ვითარცა განვაშორო მათგან, რომელნი განვიშორო პირისაგან ჩემისა, და სარწმუ-ნო იქმნეს სახლი მისი, და მეფობად მისი უკუნისამ-დე წინაშე ჩემსა: და საყდარი მისი იყოს წარმართე-ბულ უკუნისამდე“ (მეფეთა, წიგნი მეორე, თავი VIII, 1-16).

VI ეკლესიის სამხრეთ კარიბჭის საკურთხევლის მოხატულობაში რამდე-ნიმე განმარტებითი ხასიათის ფრესკული წარწერა ერთი ოსტატის მიერ არის შესრულებული; უფრო მეტიც — ამ წარწერათა გრაფეტები თავად ეკლესიაში შემორჩენილი ფრაგმენტული სახის ფრესკული მინაწერების იდენტური და უნდა ვითიქროთ, რომ ერთი და იმავე ფერმწერის (კალიგრაფის) შესრულე-ბულია.

წარწერათა ეს ჯგუფი (როგორც VI ეკლესიის, ისე მის სამხრეთ-აღმოსავ-ლეთით გამოკვეთილი საკურთხევლის ეპიგრაფიული ნიმუშები) სახერეების ოხივე მოხატულობის ქართულენოვან განმარტებით ფრესკულ წარწერებს შორის ყველაზე მეტად ემს გავსე ბაზე ლნაწერთა ასოებს. გრაფეტების რამდენიმე პალეოგრაფიული ნიშანი საშუალებას იძლევა, კონკრე-ტულად განისაზღვროს ხელნაწერთა გარევაული ქრისტოლოგიური ჯგუფიც. რომლებიც ასოთა მოხაზულობით განსაკუთრებით ახლო დგას ჩენს წარწე-რებთან.

7, ზ ლ და შ მ გრაფეტებს აქ უკვე აქვს მარცხნივ გაზიდული დამა-ტებითი განივი ხაზი. ამასთან ერთად, ზ-ს ბუნი (წრესთან დამაკავშირებელი ვერ-ტიკალური ხაზი) ალარ არის მაღალი, გრაფემის კბილი კი საგრძნობლად არის ჩამოზიდული; შ-ს ზედა განივი ხაზის დაბოლოება მცირედ ზეაწეულია.

Он თ აღარაა ერთიანად მოხაზული. იგი ორი, ერთმანეთისაგან საქამიან დაშორებული ნახევარისა და გრაფების კუდი ზემოთებური აქვს ახრილი.

მ რ-ს მარჯვენა კავი საგრძნობლად ჩამოუდის ქვემოთ.

წარწერებში გრაფების მრგვლოვანი მოხაზულობა, საქამიან დაბალი დუქტუსი VI-X საუკუნეების ხელნაწერთა — ხანმეტი ლექციონარის (VII ს.)<sup>35</sup>, S-3902 პალიმფსესტრის (VIII ს.)<sup>36</sup>, ბოდლის ბიბლიოთეკის ხანმეტი ფრაგმენტის (დაახლ. 700 წ.)<sup>37</sup>, აღიშის<sup>38</sup>, აგრეთვე ჭრუჭის პირეველი ოთხთავის<sup>39</sup> და სხვათა ასოებს მოგვაგონებს, დასახელებული გრაფიკული თავისებურების მიხედვით კი ეს მონაკვეთი IX-X საუკუნეებით (უფრო IX საუკუნით) უნდა შემოიფარგლოს.

ნ. კლდეში ნაკვეთი სამლოცველოს საკურთხეველშივე, მისი ჩრდილოეთი კედლის ქვედა ნაწილში, იატაყის დონიდან 75 სმ-ის სიმაღლეზე შესრულებულია რავსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა. იგი საკურთხეველში გამოსახული ღმრთისმშობლისა და მთავარანგელოზთა ფიგურების ქვემოდან შემოძახვერავი თრანაენტტული ფრიზის ქვემოთ, მოწითალო-ყვაისფერი (ოქრის)<sup>40</sup> საღებავით არის დატანილი უშუალოდ ნალესობაზე. უკირავს ფართობი — 53×27,5; გრაფების სიმაღლე — 1,4-3,1; განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს, სიტყვები ერთმანეთისგან დაკილებული არ არის. ქარაგის ნიშანი — სწორი განივი ხაზი. ტექსტის ზედა მარტენა ნაწილი ნაკლულია — აქ ნალესობაა ჩამოშლილი. თავად წარწერის ზედაპირი განზრას არის დაზიანებული, იგი ბასრი საგნით დაუსერავთ, რის გამოც გრაფების ერთი ნაწილი დალუბულია, ნაწილი კი — ძალზე ფრაგმენტული საღებავის ფენის აცვენის გამო (ხას. 31, სურ. 12).

ფრესკული მინაწერი, როგორც ჩანს, კერ კიდევ ჩვენი საუკუნის ოციან წლებში უკვე დაზიანებული იყო. დ. გონაშვილი მიუთითებს, აქ ვრცელი წარწერაა წარმოდგენილი, მაგრამ ტექსტი ფრაგმენტულია და აზრის გამოტანა ვერ შევძელიოდა<sup>41</sup>. 1981 წლის მაისში წარწერა კიდევ უფრო დაზიანებული დაგვხვდა<sup>42</sup>.

35 ხანმეტი ლექციონარი, ფოტოტიპიური ჩესარილექტია, გამოსუა და სიმფონია დაურთო. ა. შანიძემ (ძევლი ქართული ენის ძეგლები, 1), თბ., 1944.

36 ე. მაკავარიანი, ასომთავრული ღამწერლობის შატრეტული თავისებურებანი ქართული ხელნაწერების მიხედვით, ტაბ. XIII, 11.

37 Р. О. Шмерлинг, Художественное оформление грузинской рукописной книги IX—XI столетий, II, Тб., 1979, с. 10, таб. 2.

38 ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, ქართული წერის ნიმუშები, გვ. XI (მე-5 ცხრილი), ტაბ. 13.

39 ივევა, გვ. XI (მე-6 ცხრილი), ტაბ. 14.

40 გ. გაფრინდაშვილის მიხედვით, წარწერა სინგურით არის ნაწერი. იხ. გ. გა ღ რ ი ნ-დ ა შ ვ ი ლ ი, ძევლი ქართული კულტურის კალევის სპელეისტიური პრობლემება და გარეუქის უდაბნო, გვ. 9.

წარწერის საღებავი განსაზღვრა საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის თანამდებობაში, მიმიკომსა ი. იაკობაშვილმა.

41 დ. გ ვ ნ ა შ ვ ი ლ ი, იურის ხეობაში, წერილი მეორე, გვ. 52.

42 ჯ მ ი მ ი ლ ე მ წ ე ვ ე ბ მ ს ქ ე მ ა ლ შ ე ვ ე ლ ს თავისი სახელი და გვარი მსხვილი ასოებით პირდაპირ წარწერაზე ამოცავეთავს.



[...] [ნიშნ] აღ\* ურვისა<sup>2</sup> [...] მთავრობისა კერ(ა)ფ(ი)ნთა შე<sup>3</sup> [- - - -] ო [-]  
[ფე]რჩ[თ] [-----] დედათავ<sup>4</sup> პატ[რიქ] [-----] აა [-----] თავ<sup>5</sup>ხა[-]ე  
მთავართა [--]რ[-]ლაშან<sup>6</sup> გ[-]ლო[-]ა და უსამართლო [-]მ[-]მ[-] მ[-]ი<sup>7</sup>ი [-]  
არა [-]ა[-]ი[-]ი[-]ი[-]ი[-]ი[-]ი[-] მ[-]ი<sup>8</sup> [-] ყყველი წილ[-]მ[-]ო [...]

\* ၁၆: မြန်မာ့ကျော် အဖွဲ့

როგორც ვხედავთ, მინაშენებიდან სულ რამდენიმე სიტყვის აღდგენა ხერხდება, მთავარ ორი — [ნიშ]ად ურვისა და უსამართლო წარწერის საერთო ხასიათს, მისი შემსრულებლის სამორჩავს უნდა გამოხარავთ.

ეს ისტორიული ხასიათის მინაწერი გაწაფული კალიგრაფის მიერ ლაპაზი ხელით გულდასმით არის შესრულებული. მისი პალეოგრაფიული მსგავსება ხელნაწერი წიგნის გრაფიკულ ნიმუშებთან იმდენად დიდია, რომ ეჭვი არ არის, ტექსტის ავტორი ხელნაწერთა დახელოვნებული გადამწერი, „მწერალი“ უნდა ყოფილიყო.

წარწერაში დამოწმებული უყელო და ყელიანი რ დ გრაფების მონაცემებია, ე და ტ ვ ასოები მარცხნივ გაზიდული დამატებ-თი ხაზითურთ, ხ ჭ, ე ი, შ ჟ ზეაწეული განვითა თავებაზებითურთ (ამასთან, შ ა-ს მუცლის შემკვრელი ხაზი ვერტიკალური ბუნის გარჯოვ გადაღის) მას IX-X ს. ქრისტიანობიურ ჩარჩოებში ათავსებს (სინური მრავალთავი — 864 წ.), უდაბნოს მრავალთავი — X ს.), კ თუმცა კი დაბალი დუქტუსის მქონე გრაფების საერთო ხასიათი მას უფრო X საუკუნის ეპიგრაფიულ მასალასთან აახლოებს: პალეოგრაფიულად მისი მსაგასია ურავლის აგარის მონაცემის მთავარ ეკლესიაში (მისი საუკურთხევლის ნიშებში) შემონახული X საუკუნის ფრესკული მხატვრობის თან-მხლები განმარტებითი წარწერები<sup>43</sup>.

ჩევენი წარწერის დატანის აღვილი, მისი შესრულების ხასიათი ნათელს  
ხდის, რომ ეს არ არის უბრალო პილიგრიმული მინაწერი — ტექსტი აშკარად  
კელესიად მოსულისთვის იყო გამიზნული და, როგორც ჩანს, საყურადღებო  
ისტორიულ ცნობებს შეიცავდა.

<sup>43</sup> ურავლის აგარის მონასტრის მთავარი ტაძრის საკურთხევლში შემონაბული მოხატულობის მიზე, მაგრამ უდავოდ საცულისს მო ნასათის ურაგმენტები შესწავლილა არ ყოფილა. მის შესახებ ეკლესიის ხუროთმოძღვრულ თავისი გურებებთან დაკავშირებათ იხ. Нико Чубинашвили, Церковь, Тб., 1976, с. 48, таб. 24, 26.

## VII ეკლესიის ფრესკული ფარწვენა

ამ ეკლესიის ფრესკული დეკორი, სამეცნიერო ლიტერატურაში X საუკუნით დათარიღებული<sup>1</sup>, საბერეების დანარჩენ სამ მოხატულობასთან შედარებით სრულად შემოინახა.

თეოფანიური კომპოზიციი კლდეში ნაკვეთი ტაძრის საკურთხეველში, წინა ორთან შედარებით, სხვა რედაქციით არის მოცემული — ვარსკვლავიანი ცის ფონზე გამოსახული, საყდარზე მჯდომი მაცხოვარი აქ ოვალური ფორმის მრავალფერ „დიდებაშია“ მოქცეული, რომელსაც ორი, თეთრითმოსილი ანგელოზი იღამალებს. მოხატულობაში ერთი საყურადღებო დეტალი იქცევს ყურადღებას — ანგელოზთა ზურგს უკან არა ორი, არამედ რამდენიმე ფრთა მოჩანს აპოკალიფსური თვალებითურთ. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ შემთხვევაში ანგელოზთა ფიგურები მჩავალფრთხელებთან (სერაბინებთან) იქნა გაერთიანებული<sup>2</sup>.

მანდორლის ქვემოთ, ორსავე მხარეს თითო წყვილია გადაჭრილი ცეცლოვანი ბორბლებისა. ბორბლებზე ეზეკიელის ხილვის თანახმად (1,15-21) თვალებია გამოსახული. საყურთხევლის ჩრდილოეთ და სამხრეთ კიდეებზე ჰკვლავ ზედა რეგისტრში) წარმოდგენილია კვართითა და ქლამინდით მოსილ მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზთა ფრონტალური ფიგურები.

ქვედა რეგისტრი, რომელიც კონქის კომპოზიციისაგან ზოლით გამოიყოფა, ღმრთისმშობლის (ორანტა) და მოცემულთა გამოსახულებებს უკვეა — ეს ფიგურები ღლეოსათვის მეტწილად ფრაგმენტული სახით და შემოჩანა.

ამ კლდეში ნაკვეთ ეკლესიაში გუმბათიც გაფორმებულია<sup>3</sup> — იქ ადრეული ხანიდან მოყიდებული, მთელი შეუა საუკუნეების მანილზე ქართული მონუმენტური ფერწერისა და, საზოგადოდ, სახეითი ხელოვნებისათვის ერთობ პოპულარული თემა — ტრიუმფალური ჯვარია/აცცენტირებული: ტაძრის გუმბათში დიდი ზომის რელიეფური ჯვარი ნალესობით იყო გამოყვანილი და, როგორც ჩინს, საღებავით დაფარული. ახლა იგი მთლიანად ჩამოშლილია და მისგან დარჩენილია მხოლოდ კვალი<sup>4</sup>.

ფერწერით იმკობა ტრომპებიც — ისინი გრაფიკულადაა გაფორმებული ხაზებით.

<sup>1</sup> A. Volskaya, Peintures murales du monastère rupestre de Sabréébi.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> დ. გომიშვილის ცნობით, საბერეებში მისი ყოფნის პერიოდში ამ ეკლესის გუმბათის თაღიდან ჯვევი იყო სამოშვებული, როგორც ჩანს, ქორაკანდელის დასკილდა გამიზნული.

<sup>4</sup> გუმბათის მდგარი გვორმება საბერეების VII ეკლესიას ადრეული ხანის ძეგლებთან ახლოების. T. B. Vircala de, Первоначальная распись Атенского Сиона (к вопросу о характере древнейших грузинских росписей), VII Всесоюзная конференция византинистов в Тбилиси, Тезисы докладов, Тб., 1965, с. 65; მასვე, Некоторые вопросы общеп

საკურთხევლისა და გუმბათის გარდა VII ეკლესიაში ჩრდილოეთ მკლავია მოხატული. მხატვრობა კონქის კიმპოზიციის ქვედა ზღვრის გასწვრივ იწყება და მთლიანად ჰფარავს მკლავის სამიერ კედლის ზედა ნაწილს. აქ შესრულებულია „ჯვარუმის“ ვრცელი, მრავალფიგურიანი კომპოზიცია.

ჩრდილოეთი მკლავის ცენტრში, მაღლა, გამოსახულია ლურჯი კოლობი-უმით მოსილი, ჯვარს მიმსცვალული ქრისტე. მაცხოვრის ეპ face წარმოდგენილი სახე ამჟამად მთლიანად გადაშლილია და დღეისათვის უცნობია, ჯვარუმის რომელი ტიპი (ცოცხალი, თვალგახელილი თუ ოძრულებული) იყო აქ მოცემული.

ჯვრის მცლავების ორივე მხარეს ჯვარუმული ავაზაკების ფიგურებია. ერთ-ლის მარცხნი კუთხეში მორწმუნე ავაზაკის გამოსახულებაა, მარჯენივ — ურწმუნოსი. ავაზაკთა ჯვრების ქვედა ნაწილში რომაელი ჭარისკაცები ფეხებს თოვით უკრავენ დასჭილებს.

ჯვარუმული ქრისტეს გამოსახულების გვერდით, ავაზაკთა გარდა, სხვა ფიგურებიც არის წარმოდგენილი. მარცხნა მხარეს ესაა „ეკლესიას“ სიმბოლური გამოსახულება — იგი მაცხოვრის განკვეთილი ფერდიდან გადმომავალ სისხლსა და წყალს თასში აგროვებს. „ეკლესიას“ მათორიონი მოსაცს და სამკბილა გვირგვინი ადგა (მისი სხეულის ქვედა ნაწილი გადაშლილია). „ეკლესიას“ გამოსახულების ქვემოთ ჯვარუმულისაკენ სამი მეოთხედით შებრუნებული რომაელი შებოსანი ასისთავის — ლონგინოზის ფიგურაა. ჯვარუმულის გამოსახულების მარჯვნივ ასევე რომაელი ჭარისკაცის ოდნავ მოხრილი ფიგურაა. წვეროსანი ცენტრულიონი მთელი ტანით ჯვრისკენ არის მიტრალებული, მარცხნაში სახელურიანი მცირე ზომის ჭურჭელი (ანუ ჭურჭერის, იგივე ვაშვარანინი) უჭირავს, თავი და მარჯვენა ხელი ლერწმის ღეროთი კი ზეაშეული აქვა — იგი ქრისტეს ნალვლით გაუღინთილ ლრუბელს (ეს უკანასკნელი აღარ ჩანს) აწედის.

კომპოზიციის სხვა პერსონაჟები და გამოსახულებები მკლავის აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებზე, აგრეთვე კიბარაზე გატანილი და განაწილებული. მზისა და მთვარის სიმბოლოები, რომლებიც ჩვეულებრივ ჯვარუმული ქრისტეს შარავანდის აქეთ-იქით არის ხოლმე წარმოდგენილი, აქ მოცემულია კამარის აღმოსავლეთ და დასავლეთ ქნინბზე. მედალიონები პელიოდისა და არტემიონის ნახევრატიფურებითურთ, რომლებსაც ხელში ანთებული ჩირალდნები უჭირავთ, სცენაში ვარსკევლავებიანი ცის ფონზე სრულდება, რადგან სახარების ტექსტის მიხედვით მაცხოვრის ჯვარუმისას „მეექსით უამითან დამნელდა ყოველსა ქუეყანასა ზედა შეცხრე უამამდე“ (მათე, 27,45).

მზის პერსონიფიკაციის მედალიონს ქვემოთ შესრულებულია იერუსალემელ ასულთა ორი ფიგურა. ფრესკაზე უზრადლებას იქცევს მათი გამოსახვის

композиции Атенского Сиона, в сб.: «Средневековое искусство. Русь. Грузия», Москва, 1978, с. 90—91; ღუსტავია. მოთვალი ა. რ. მეპისაშვილი, ვ. ზინჯაძე, Die Kunst des alten Georgien, Leipzig, 1977, S. 89; Т. С. Шевякова, К вопросу возникновения и характере фресковых расписей в Грузии VIII-X вв., Вестник отделения общественных наук АН ГССР, 1962, № 1, с. 257; Р. С. Меписашвили, В. Г. Цинцадзе, Архитектура нагорной части исторической провинции Грузии — Шида-Картли, სურ. 20; Е. Л. Привалова, Роспись Тимотесубани, гг. 15.

5 ა. ღ. უ. ლ. ა. დ. ე., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, გ. 557.

6 იქვა, გ. 154.

მანერა — ჯვარს მიმსკულული მაცხოვრის შემყურე ქალები აქ სხედან(!) და ხელები მოკეცილ მუხლებზე აქვთ მოხვეული.

მთვარის სიმბოლური გამოსახულების ქვემოთ კამარის ქანობზევე წარმოდგენილია იერუსალემის ტაძარი — საკმარი დიდი ზომის, დარბაზული ტიპის ნაგებობა. მისი ფასადის ცენტრალურ ნაწილში კარიბჭეზე ჩამოთარებული ფარდა ორად არის გაყოფილი, „განპობილი“ („და აპა, კრეტისაბმელი იგი ტაძრისაა მის განიპო თარად ზეითგან ვიღრე ქუმდე...“, მათე 27,51).

აღნიშვნულთა გარდა, „ჯვარუმის“ კომპოზიცია VII ეკლესიის მოხატულობაში აერთიანებს შემდეგ გამოსახულებებს: მკლავის დასავლეთ კედელზე ლმრთისმშობლისა და ითანე ლმრთისმეტყველის შარავანდმინისილი, en face წარმოდგენილი, ახლა უკვე სამარი დაზიანებული ფიგურებია, აღმოსავლეთ კედელზე კი — ასევე დაზიანებული სამი გამოსახულება: ცენტრში მაცხოვრისა (იგი ხელებაპყრობილია), ხოლო მის გვერდით (აქეთ-იქით) მოკლე ტუნიკებში გამოწყობილი ორი რომაელი ჯარისკაცისა, რომელთაგან მარჯვენას, ქრისტესკენ მიმართული მახვილი უკირავს, მარცხნას კი იდაყვში მოხრილი ხელები ზემოთ აქვს აქეთული.

ქრისტეს ჯვრის ქვემოთ მოჩანს კვლავ ორი რომაელი ჯარისკაცი და მათ შორის წარმოდგენილი წვეროსანი მამაკაცი. ეს მაცხოვრის ფიგურა არ უნდა იყოს, რადგან იგი შარავანდის გარეშე მოკლებული და მასთან სახის იკონოგრაფიითაც განსხვავდება მკლავის აღმოსავლეთ კედელზე შესრულებული ქრისტეს გამოსახულებისაგან. რაც შეეხება აღამის სიმბოლურ ფიგურას, ჩვენთვის უცნობია შემთხვევა, რომ იგი რომაელ ცენტრითნებს შორის იყოს წარმოდგენილი. ჯარისკაცები ამ მამაკაცისკენ აჩინ ღონიან შებრუნებულები, ორივეს ხელი მკერდს წინ აქვს აღმართული და მასზე მიუთითებს. ჩრდილოეთ მკლავის ჩრდილოეთ კედლის ქვედა ნაწილში ნალესობის მთლიანად ჩამოშლის გამო დღეისათვის უცნობი ჩჩება, ეს სამი გამოსახულება ფრესკაზე მკერდამდე იყო მოკლებული თუ იერუსალემელ ასულთა მსგავსად მჯდომი. საქმე ისაა, რომ მკლავის ჩრდილოეთ კედლის გამოსახულებებს აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლის ამჟამად შემონახული ნაწილის მსგავსად უდავოდ ქვემოდან გეომეტრიული სახის ტალღური ორნამენტი შემოსახლვრავდა (მისი მცირე ფრაგმენტი ჩრდილოეთ კედლის დასავლეთ კუთხეშიც ჩანს) და ამდენად, აქ რომაელებისა და მამაკაცის მითითებული ფიგურები მთლიანად ვერ დატეოდა.

როგორც ეხედავთ, VII ეკლესიის ფერწერული დეკორის სისტემაში ქრისტოლოგიურად მისი წინამორბედი VI ეკლესიის მოხატულობის მგავსად საკურთხევლის თეოთუანიური კომპოზიციისა და „ჯვარუმის“ სიუკეტია გაერთიანებული, თუმცა, ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, VII ეკლესიაში „ჯვარუმა“ ძალზე ვრცელი, ამ ასთან ერთობ საყურადღებო და მნიშვნელოვანი ხორცესხმათაგანია ქრისტიანული სახეითი ხელოვნების ნიმუშთა შორის.

ჩრდილოეთ და დასავლეთ მკლავებს შორის არსებული კუთხის ჩრდილოეთ პირზე, ამ საკმაოდ ვიწრო ზოლზე დღეისათვის ძნელად გაირჩევა ერთი ფრონტალური ფიგურა. ეს პირველმოწამის გამოსახულებაა (მისი სახე ახლა ნაწილობრივად დაზიანებული). მას მარცხნა ხელში ოქროს საცეცხლური უკირავს; ხოლო მარჯვენაში — სანაწილე. მის სიმეტრიულად, ჩრდილოეთი მკლავის მეორე, აღმოსავლეთ პირზე დიაკვნის ფიგურა მხატვარს აღარ გამოუსახავს — იქ

სხვადასხვა ფერის მოკლე, თავისუფალი მონასმებით მარმარილოს ზედაპირი არის იმიტირებული.

ეკლესიის ფრესკებში მრავალსახოვანი ორნამენტული მოტივებია გამოყენებული, ამასთან ისინი აქ მონიშნავენ არა მხოლოდ რეგისტრების ხაზს ან კომპოზიციის ქვედა ზღვარს (როგორც, მაგალითად, ტალღისებრი მოტივი). არამედ ინტერიერის ხუროთმოძღვრულ დეტალებსაც: საკურთხევლის სატრიუმფო თაღს, ჩრდილოეთი მკლავის თაღის პირს, პილასტრებს.

საბერეების მონასტრის VII ეკლესიის ფრესკებული დეკორის აღწერის დასასრულს უდავოდ უნდა აღინიშნოს ერთი ფაქტიც: ფრესკები X საუკუნის ამ გამოქვაბული სამლოცველოს ინტერიერში — როგორც საკურთხეველში, ისე ჩრდილოეთ მკლავში — სტილისტურად იმდენად ერთგვაროვანია, რომ ეპვი არ არის — ეკლესიის ფერწერული შემკულობა ერთი თარის მიერ იქნა შექმნილი.

### ა. მართლი წარწერები

1. VII ეკლესიის საკურთხეველში, უფლის დიდების თეოფანიურ კომპოზიციაში გამოსახული, საყდარზე მჯდომი ქრისტეს გადაშლილ წიგნზე იყითხება თოთხმეტსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა (verso — 6 სტრიქონი, recto — 8 სტრიქონი). იგი შავი სალებავითაა შესრულებული ნაცრისფერ ფონ-



ზე. უჭირავს ფართობი:  $49,4 \times 50,6$  ამასთან *verso*-ზე —  $21,7 \times 49,8$ , ხოლო *recto*-ზე —  $22,5 \times 48,4$ ). წარწერის არათანაბარი განაწილების გამო გრაფეტების და, შესაბამისად, სტრიქონთა სიღილე წარწერაში იკელება, დასასრულისაკენ კი თანდათან მცირდება (ასოების სიმალე —  $2,4-2,9-3,4-3,8-4,4-4,8$ ). ამავე მიზეზით ბოლო სამი სტრიქონი აქ შედარებით მცირდოდ, თითქმის მიჯრით არის ნაწერი. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს, სიტუაციი ერთმანეთისაგან აჩავა დაცილებული. ქარაგმის ნიშანი — განივი, სწორი ხაზი, რომლის ორსავე მხარეს ორ-ორი მცირე ზომის ვერტიკალური ნიშანებია დასმული. საკურთხეველს სავარაუდო ლრმა და განივი ბზარი გასდევს, რომელმაც მაცხოვრის გამოსახულება და თავად წარწერაც მნიშვნელოვნად დაანიანა (ნახ. 32, სურ. 13).

*verso*

- 1 † Ծ[Ա]Ր[Ա]Ծ[Ա]
- 2 Խ[Ա]Ր[Ա]Ծ[Ա]
- 3 Է[Ա]Խ[Ա]Վ[Ա]
- 4 Թ[Ա]Վ[Ա]Ծ[Ա]
- 5 Շ[Ա]Ը[Ա]Վ[Ա]
- 6 Վ[Ա]Ր[Ա]Ր[Ա]

*recto*

- 7 Ղ[Ա]Վ[Ա]Ր[Ա]
- 8 Ը[Ա]Հ[Ա]Ծ[Ա]
- 9 Ո[Ա]Ւ[Ա]Ղ[Ա]Վ[Ա]
- 10 Ռ[Ա]Վ[Ա]Ծ[Ա]
- 11 Ղ[Ա]Ր[Ա]Ս[Ա]
- 12 Վ[Ա]Ծ[Ա]Ծ[Ա]
- 13 Վ[Ա]Ծ[Ա]Ծ[Ա]
- 14 Բ[Ա]Ր[Ա]

† დას[ա] ՞ օ[მ]ითგ[], ՞ რ ი[ყ]ო ս[ի] ՞ գ[ո]ტ[უ] օ[დ] լ[ի] ՞ და სიტუ[թ] უა იგ[ո] ՞ იყ[ო] ՞ იყ[ო] ლ[მ]რ[თ]ი-  
სა თ[ე]ნა და լ[ո] [ლ[მ]ე]რ[] თი ՞ იყ[ო] ს[ի] ՞ օ[ტ] յ[უ]ა ՞ 11 იგ[ი] ՞ ე[ս] ՞ ո[լ] պ[ო] დას[ա] ՞ ბ[ა]მითგ[] 14  
ლ[მ]რ[თ]ისა) თ(ან)ა.

VII ეკლესიის საკურთხეველის მოხატულობა კვლავ წინა ორი (V და VI) გამოქვაბული ტაბის უერწერული შემკულობის ტრადიციას აგრძელებს. აქაც აბსიდისათვის განკუთხნილი ა. წ. „ისტორიული თეოფანიის“ (თეოფანიისა და „ამალების“ კონტაქტის ერთ-ერთი ჩერქევისა არის წარმოდგენილი, მაგრამ ზემოთ აღწერილი ორი საკურთხეველის ფრესკული დეკორისაგან განსხვავდით, ამ მოხატულობაში „ამალების“ თემა მხოლოდ ლრმათაშობისას და მოუყენთა ფიგურებით როდის მინიშნებული. როგორც ითქვა, საყდარზე მცდომი ქრისტეს ფაფურა VII ეკლესიის აბსიდის კონტეში „დიდებაში“ არის მოცემული და მას ანგელოზები აღმარცვებენ, ე. ი. ა 3 ჟ ე მ თ ხ კ ე ვ ა შ ი ა მ ა ლ ლ ე ბ ა უ ფ რ რ . 3 ტ ა დ ა ა ა ქ ც ე ნ ტ ი რ ე ბ უ ლ ა . ქრისტიანული ამონსახულეთისა და დასავლეთის კედლის მხატვრობისათვის. ტრადიციული კომპოზიციის ეს სახესხეთაბა უკეთ დარტულ პერიოდის სირიულ-პალესტინურ ნიმუშებში — მონცას (ამ. 2)<sup>7</sup> და ბობის (ამ. 13)<sup>8</sup> ამულებშე (VI ს.), ააბულას სახარების მინიატურაში (ფ. 13v)<sup>9</sup> არის ცნობილი, შემდეგ — ბაუითის LI კაპელის<sup>10</sup>, იგრევთ ლატრონის პანორამულის ეკლესიის (IX ს.)<sup>11</sup> მოხატულობებში. როგორუც ხედვთ, პარალელური ფინონგრაფიული მასალა ამ შემთხვევაში შედარებით მცირებიცი-

<sup>7</sup> A. Grabar, Les ampoules de Terte Sainte, Paris, 1958, p. 18—20, pl. V.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 38, ტაბ. XLIV.

<sup>9</sup> The art of illumination, an anthology of manuscripts from the sixteenth to the sixteenth century, by P. D'Ancona and E. Aeschlimann, London, 1969, pl. 1.

<sup>10</sup> Ch. I hm, დასახ. ნაშრომი, გვ. 204—205, ტაბ. XIV; კ. იმი ამგერი კომპოზიციის პარალელურ საკურავას 1725-ე კაბელისა და ბაზითის XLII განელის საკურთხეველთა მოხატულობებს ასხელებს (ავევ, გვ. 191), მაგრამ პარეგულ გრემთხვევაში ორ ანგელოზს გამოსახული ლრმათაშობებითა წარმოდგენილი კრძოთურთ (შედრ. მისივე ნაშრომის გვ. 208—209, ტაბ. XVII), მეორე ნიმუშში კი თეოფანიის კომპოზიციის სი რედკეცია მოცემული, სადაც ანგელოზები არ აღმარცვებენ „დიდებაში“ მოქცეულ მაცხოვარს — ისინი განაღილებენ მას (იქვე, ტაბ. XXV, 2).

<sup>11</sup> M. Restile, დასახ. ნაშრომი, ტ. III, სურ. 542.

ვანია, თუმცა კი მსგავსი სემის გავრცელების არეალი და ფართო ქრისტიანობის შონაკეთი (აქ საბერებების ეკლესიის მოხატულობაც, ე. ი. ქართული მასალაც უნდა გაეთვალისწინოთ) თავისითავად იძინს მაჩვენებელია, რომ ეს რეალური სხვათა მსგავსად იყო მიღებული ეკლესიის აბსიდის ფრანგერული შემცირებულისათვის.

თეოფანიური კომპოზიციის უმთავრესი წარწერისათვის აქ, ისევე როგორც საუკუნით ადრე შესრულებულ V ეკლესიის საკურთხევლის ფრესკულ დეკორზი (როგორც ჩანს, VI-შიც), კელავ ითანხმოს სახარების ტექსტის დასაწყისი სტრიქონებია მოხმობილი (ითანხმ. 1,1). VII ეკლესიის მომხატავი ოსტატი, ევვი არ არის, ამ მხრივ საბერებების მონასტრის წინა მოხატულობების ტრადიციებს ითვალისწინებს და აგრძელებს მათ. და კიდევ ერთი, განსაკუთრებით საგულისხმო ფაქტი — განხილულ მოხატულობაში საკურთხევლების კომპოზიცია როგორც იკონოგრაფიული, ისე მაცხოვის წიგნზე დატანილი ტექსტითაც ლატშოსის პანტორატორის გამოქვაბული ეკლესიის აბსიდის დეკორს (IX ს.) ემთხვევა<sup>12</sup>. ეს, ცხადია, კიდევ ერთ, დამატებით არგუმენტს გვაძლევს იმისათვის, რომ საბერებების ამ მოხატულობის იკონოგრაფიისა და სტილის საწყისები სწორედ ბიზანტიური სამყაროს აღმოსავლური რეგიონების მხატვრულ წრეებში, მათ ტრადიციებში ევძიოთ.

ოთხთავის ამ ციტატისადმი ესოდენ გაცხოველებულ ინტერესთან დაკავშირებით მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ სწორედ X საუკუნეზი, კერძოდ — 977 წელს ბასილი დიდის სხვა რამდენიმე თხზულებასთან ერთად ითარგმნა ითანხმება სახარების დასაწყისის განმარტებისათვის განკუთვნილი ნაშრომი — „წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილისი თქუმული დაწყებისათვს იოვანეს სახარებისა, ვითარმედ: „პირველითგან იყო სიტყუად“ (ათონის მთის ხელნაწერი, 32, ფ. 198—202 გ)<sup>13</sup>.

I. მაცხოვრის წიგნზე დატანილი წარწერა საბერებების VII ეკლესიის მოხატულობაში ერთი საგულისხმო თავისებურებით იქცევს ყურადღებას: ტექსტის დასაწყისი „დასაბამითგან იყო სიტყუად...“ აქ განსხვავება ქართული ოთხთავის როგორც უძველესი, ისე ჩვენთვის ცნობილი სხვა რედაქტირებისაგან, სადაც ითანხმება სახარების პირველი სტრიქონი ამგვარი სახით არის მოცემული — „პირველითგან იყო სიტყუად...“; ამ მხრივ წარწერის მსგავსი ერთადერთი მაგალითი ითანხმება მოცემულის მოღვაწეობის ამსახველი აპოქრიფული თხზულების ქართულ თარგმანში მოიპოვება: „და აღიღო იოვანე პირი თუსი მღვამარემან, აიხილნა ზეცად და თქუა: დასაბამით]გან იყო სიტყუად და სიტყუად იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთ იყო სიტყუად იგი“<sup>14</sup>.

უკველია, რომ ამ თხზულების ქართულენოვანი ნუსხის ავტორი (მთარგმენელი) საბერებების VII ეკლესიის მომხატავი ოსტატის მსგავსად, ქართული

<sup>12</sup> O. Will, Die Malereien der Asketenhöhlen des Latmos, გვ. 192, 200; M. Restle, დასახ. ნაშრომი, ტ. III, სურ. 542.

<sup>13</sup> ეს თხზულება ქართულში ეფოთიშვილის შთარგმნის. იხ. კ. კვაველიძე, ძველი ქართული ლექტერების ძირისა, ტ. 1, თ. 1, 1980, გვ. 186; R. P. Blake, Catalogue des manuscrits géorgiens de la bibliothèque de la Laure d'Iviron au mont Athos, Paris, 1934, p. 150, 151, 152—153.

<sup>14</sup> ტექსტი მოხმობილია ამ თხზულების გამოცემის მიხედვით. იხ.: ქართული ეკრისიგა აიკრისტებისა მოცემული შესახებ (IX—XI სს, ხელნაწერია მიხედვით). ტექსტები გამოსაცვალა მთამანა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაუზიარ. ც. ჭურტიეძე, თ. 1959, გვ. 89.

ოთხთავის იმ რედაქტიით საჩვენებლობდა, საღაც ითანეს სახარების დასაწყისში იყო დასაბაზისგან (და არა პირველითგან). ითანე მოციქულის შესახებ აპოკრიფის ქართულად თარგმა VI-VII საუკუნეებში ივარაუდება<sup>15</sup>; მაშასაღამე, ოთხთავის რედაქტია, რომელშიც ითანე 1,1 დასაბაზითგან სიტყვით იწყება, იმ პერიოდამდე უკვე არსებობდა. საბერებების წარწერაში სწორედ სახარების ეს ერთ-ერთ ადრეული რედაქტია ასახული.

II. წარწერის ბოლო სტრიქონში იცტ უნდა გაიშიტროს როგორც დმტოთისა თანა. ამის საფუძველს თავად ითანეს სახარების ტექსტი იძლევა. აღნიშნულის გარდა, ქარაგმის სხვაგვარი გახსნის შემთხვევაში, ირლვევა ციტატის თეოლოგიური არსიც.

კვიფქრობთ, ღმრთისა თანა-ს ამგვარ, უჩეეულო დაქარაგმებას (ასე დაქარაგმებულია ხოლმე ღმრთისადთა. შედრ.: ჯერის კვარცხლბეკის წარწერა დაბლუტის ხეობიდან — V-VI სს.).<sup>16</sup> მაჩხანის ეკლესიის IX საუკუნის წარწერები<sup>17</sup>, X საუკუნის ეპიგრაფიული აქტები მეჭუდას ხეობიდან<sup>18</sup>, ტბეთის ეკლესიის წარწერები — X საუკუნის შეახანებისა<sup>19</sup>, ბოლნისის სიონის X საუკუნის მეორე ნახევრის წარწერა<sup>20</sup>. ყალა-ბოინის ეკლესიის 993 წლის<sup>21</sup>, ფიას წმ. თევლორეს ეკლესიის 995 წლის<sup>22</sup>, X-XI საუკუნეთა მიზნის თრიალეთის ახალქალაქის რატი ერისთავთ-ერისთევისეული ეკლესიის<sup>23</sup>, აგრეთვე სხვა წარწერები) ოსტატმა წარწერისათვის განკუთვნილი აღგილის სიმცირის გამო მიმართა, ეს კი, თავის მხრივ, სტრიქონთა არათანაბარი განაწილებით იყო გამოწვეული.

III. წარწერა მაცხოვრის გადაშლილ წიგნზე მსხვილი, მაღალი დუქტურის შემთხვევაში გრაფებით არის შესრულებული, რომლებიც აქ მცირედ კუთხოვანია (განსაკუთრებით 4, 7, 9, 16, 43, 45, 47 ასოები), ეკლესიის დანარჩენ ქართულენოვან ფრესკულ წარწერებთან შედარებით მეცარი მოხაზულობით გამოირჩევა და მონუმენტური ხასიათისაა. ეს გასაგებიყაა, რადგან იგი მოხატულობის უპირველესად აღსაქმელ, ცენტრალურ ნაწილში არის შესრულებული და ფრესკული დეკორის საქართველო იდეის ნათელსაყოფად გამოიზნულ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს. ამას გარდა, ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ საბრეების V ეკლესიის კედლის მხატვრობაშიც ანალოგიურ შემთხვევას გხვდებით: იქაც ხომ მაცხოვრის წარწერა სხვებთან შედარებით მსხვილი, ჩამონაკუთული და უფრო მონუმენტური ხასიათის გრაფებით არის შესრულებული.

VII ეკლესიის ამ წარწერის მოხატულობის მსგავსად X საუკუნით დათარიღებას არ ეწინააღმდეგება ასოთა პალეოგრაფიული ნიშნები, კერძოდ:

C ა-ს ფრთიდ გაშლილი ნახევარჩული, მისი განივი ხაზისა და კავის დაბოლოების დაბლა დაწეული კიდევები (შდრ. X საუკუნით დათარიღებული უდა-

15 ქართული კერძიები აპოკრიფებისა მოციქულთა შესახებ, გვ. 039—040.

16 ქართული წარწერების კორპუსი, I, გვ. 93, სურ. 28, ტაბ. 14.

17 თ. გ. ა. ნ. ნ. ვ. ლ. ი., მაჩხანის ეკლესიის წარწერები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოაშებ, ტ. XI-XII, № 5, 1962, გვ. 649—655.

18 ქართული წარწერების კორპუსი, I, გვ. 143—146, სურ. 69—70, ტაბ. 45—46.

19 იქვე, გვ. 180, 184, სურ. 92, ტაბ. 65.

20 იქვე, გვ. 249—250, სურ. 154, ტაბ. 98, 1.

21 იქვე, გვ. 267—269, სურ. 168, 1, ტაბ. 103, 3.

22 იქვე, გვ. 270, სურ. 169.

23 იქვე, გვ. 247—48, სურ. 153, ტაბ. 97, 2.

ბნოს მრავალთავის<sup>24</sup> და წესგუნის ეკლესიის საკურთხევლის მოხატულობის წარწერის<sup>25</sup> იგივე გრაფემები);

რ დ მაღალი ყელითა და მარცხნივ გახსნილი მუცლით, ისევე როგორც მარტენის X საუკუნის<sup>26</sup>, აგრეთვე უკვე მითითებულ უდაბნოს ოთხთავებში.<sup>27</sup>

ე და ზ ვ გრაფემების დაწერილობა მარცხნივ გაზიდული დამატებითი განვითი ხაზის გარეშე.

რ გ-ს გრძელი თავხაზი ქვემოთუენ მოხრილი დაბოლოებით, აგრეთვე გრაფემის ერთგალური ბუნის მარჯვნივ გადასული გრძელი ხაზი, რომლის კიდე ასევე ქვემოთ არის დაშვებული.

ჩ ნ, რომლის მსგავს გრაფემას ვხედებით ქსის ოთხთავში (A-509, X ს.)<sup>28</sup>, ჯრუპის პირველ სახარებაში (აქ რ-ს სხვადასხეაგვარი მოხატულობა აქვს)<sup>29</sup>, 1054 წლის ოთხთავში (S-962)<sup>30</sup>.

Q ო ასოს ზოგ შემთხვევაში მრგვალი, ზოგჯერ კი ოდნავ კუთხოვანი მოხაზულობა.

ე ტ-ს მაღალი პროპორციები, მცირე ზომის თავი; ანალოგიურადაა — აღმისავ, ჯრუპის პირველი<sup>31</sup>, ქსისავ, აგრეთვე S-405<sup>32</sup> და S-962<sup>33</sup> ოთხთავებში (X ს.), იშხანის ეკლესიის ფრესკულ წარწერებში (XI საუკუნის დასაწყისი)<sup>34</sup>.

სამაოდ ორიგინალური მოხატულობა აქვს ც თ გრაფემას. მისი მუცელი ასოს მსგავსად წრიული (ოვალური) ფორმისაა — ამ უკანასკნელისაგან ასოს მხოლოდ ის განასხვევებს, რომ კული მუცელს ზემოთ უერთდება.

ასევე თავისებური გრაფიკით ხასიათდება ტექსტის დასაწყისში დასმული † ნიშანიც — გრაფემა ამ შემთხვევაში საკმაოდ უტრიირებულია<sup>35</sup>.

ტექსტის ბოლოს დასმულია თავისებური კალიგრაფიული ნიშანი — ამ გვარი სახის დეკორაციული ელემენტი როგორც ხელნაწერი წიგნის, ისე ფრესკული ან ლაპიდარული წარწერების გაფორმებისას ჩენენთვის უცნობია.

24 ე. მაკავარიანი, ასომთავრული დაწერებული მხატვრული თავისებურებანი ქართული ხელნაწერების მიხედვთ, ტაბ. XIII, 15.

25 ე. სილოვანა, ქიტიორთა ფრესკული წარწერები ზემო სუანეთში, ტაბ. 85.

26 ე. მაკავარიანი, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XIII, 18.

27 საგულისხმოა, რომ უფლის წიგნება დარანილი ტექსტის ეს გრაფემა საკურთხევლის ქვედა ჩატარებული, მოცემულთა გამოსახულებებს შორის წარმოდგენილი ფიგურის — თაღონის განარეცხით წარწერის დამოწმებული რ-ს ანალოგიურია (ეს უკანასკნელი ის. ქვემოთ).

28 P. O. Шмерлинг, Художественное оформление грузинской рукописной книги IX-XI столетий, ტაბ. 6, სურ. 14.

29 იქვე, ტაბ. 3, სურ. 2.

30 ი. აბულაძე, ქართული წერის ნიმუშები, გვ. XI.

31 ე. მაკავარიანი, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XIV.

32 იქვე.

33 იქვე.

34 ი. აბულაძე. დასახ. ნაშრომი, ტაბ. 34—35.


35 იქვე, გვ. XI.

36 E. C. Такаишвили, Археологическая экспедиция в южные провинции Грузии, გვ. 36, სურ. 13; N. et M. Thierry, Peintures du X<sup>e</sup> siècle en Géorgie Méridionale, სურ. 21.

37 ამ ნიშანების დაწერილობის შესახებ იბ. ლ. ქაჭათა, ორი ტექნიკური ნიშანი ძევს ხელნაწერებში, „აპალეოგრაფიული ძევბანი“, 11, თაბ. 1969, გვ. 103—107.

დაბოლოს, უნდა მივუთითოთ ერთ საგულისხმო ფაქტზეც: ქრისტეს გადაშლილ წიგნზე დატანილ წარწერაში გამოყენებული ქარაგმის ანალოგიური, ერთობ თავისებური, ნიშანი იხმარება VII ეკლესიის სომხურენოვან ფრესკულ წარწერებშიც.


2. ეკლესიის საკურთხევლის ჩრდილოეთი კედლის კიდეზე წარმოდგენილი მთავარანგელოზის გამოსახულებასთან, მისი შესამოსელის ქობასა და მარჯვენა ფრთის ქვედა წვერს შორის (ე. ი. თავად ფიგურის მარცხენა მხარეს) განაწილებულია ოთხსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა, ზომით —  $11,2 \times 21$ ; გრაფემების სიმაღლე — 2,6-3,4-4,2-5,7; განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს; ქარაგმის ნიშანი — სწორი, განივი ხაზი. წარწერა შესრულებული ყოფილა თეთრი სალებავით შავ ფონზე. ეს თეთრი ფერი ჭრა თითქმის ჩამდნარია ფონში და მთავარანგელოზის სახელი სპეციალური განათების გარეშე არ გაიჩინება (ნახ. 33).



ნახ. 33.

8. ქართული ასომთავრული ოთხსტრიქონიანი წარწერა ახლავს მიქელ მთავარანგელოზის პირისპირ წარმოდგენილი ანგელოზის ფიგურასაც. წარწერა იქცა გამოსახულების ქვედა ნაწილშია (კვლავ შესამოსელის კიდეს და ფრთის დაბოლოებას (შორის) დატუნილა, ოღონდაც ამ შემთხვევაში მის მარჯვენა მხარეს. არათანაბრად განაწილებულ ამ წარწერას უკირავს ფართობი —  $12 \times 22,8$ ; გრაფემების სიმაღლე — 2,3-3,5-4,2-5-5,8. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს; ქარაგმის ნიშანი — სწორი, განივი, საშუალო ზომის ( $3,9$  სმ.) ხაზი. ეს წარწერაც თეთრი სალებავით არის შესრულებული შავ ფონზე... წინას-

თან შედარებით იგი ოდნავ უკეთ ჩანს და შედარებით იოლად იყითხება<sup>38</sup> (ნახ. 34).



- 1 წ  
2 ჭ  
3 ც  
4 პ


წ(მიღ)ღ<sup>2</sup> გა[წ]ბრი[ც]ელ



ნახ. 34.

მთავარანგელოზთა გამოსახულებებთან ქართული განმარტებითი წარწერების შესრულების შედარებით უწევეულო ადგილი იმით აიხსნება, რომ მათ ასწერივ ფიგურათა შარავანდების ღონებები ბერძნულენოვანი განმარტებითი წარწერებია (მათ შესახებ იხ. ქვემოთ).

4. აბსილის ქვედა რეგისტრის შუა ადგილზე, ღმრთისმშობლის დანიანებული გამოსახულების მარცხნივ, მის შარავანდთან იყითხება სამსტრიქონიანი



- |     |        |
|-----|--------|
| 1 წ | 4 [წც] |
| 2 ჭ | 5 [ქა] |
| 3 ც | 6 [ცც] |

წმი[წა]მ<sup>2</sup> ა[წა]მ


ნახ. 35.

<sup>38</sup> მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზთა თანმხლები ქართულენოვანი განმარტებითი წარწერების შესახებ მიგვითოთა რესტავრატორმა ა. ოვანიძე 1981 წლის 19 აქტომბერს.

ნუსხურნარევი ასომთავრული წარწერა. შესრულებულია თეთრი სალებავით მუქ ლურჯ ფონზე. უკირავს ფაზობი —  $11,3 \times 14,1$ ; საკმაოდ მსხვილი გრაფები სხვადასხვა სიმაღლისა —  $2-3, 1-4, 4-8, 5-1$ ; განკუთილობის ნიშნები არ ახლავს. საყურადღებოა ისიც, რომ სიტყვა წმიდა წარწერაში დაუქარაგ-მებლადაა გადმოცემული (ნახ. 35).

ღმრთისმშობლის სახელი — მარიამ მოთავსებული იყო ფიგურის მარჯვ-ნივ; ამ ადგილზე კი საკურთხევლის ქვედა რეგისტრში ნალესობა ჩამოშლილია. ბუნებრივია, ამ სახელის ზემოთ შემოთავაზებული განაწილება სრულიად პირობითია.

6. VII ეკლესიის საკურთხეველშივე, ღმრთისმშობლის ფიგურის მარცხნივ წარმოდგენილი წმ. პეტრე მოციქულის გამოსახულებასთან, მისი შარავანდის მარჯვენა მხარეს (ე. ი. წმ. მარიამისა და ამ მოციქულის შარავანდებს შორის) ძნელიდ გაირჩევა მოშავო ლურჯი ფერის ფონზე (ფაქტიურად ესაა შევი ფონი, რომელზეც ზემოდან ლავვარდის თხელი, გამპვირვალე ფენა გადასმული) თეთრი სალებავით დატანილი სამსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა. მისი ზომაა —  $7,9 \times 12,8$ ; გრაფების სიმაღლე —  $2,9-4,6$ ; განკუთილობის ნიშნები არ ახლავს (ნახ. 36).



ნახ. 36.

ამ წარწერაში დღეისთვის დალუპული სიტყვა წმიდა, ჩანს, როგორც ღმრთისმშობლის გამოსახულებასთან, აქაც ფიგურის მარცხნა მხარეს უნდა ყოფილიყო შესრულებული, შესაძლოა ესეც დაქარაგმების გარეშე (კვლავ წინა წარწერის ანალოგით).

6. იქვე, აბსიდის ჩრდილოეთ კედელზე, წმ. პეტრე მოციქულის ფიგურის მარცხნივ შესრულებული, აწ დაზიანებული გამოსახულების მარჯვენივ, შარავანდის ღონებზე შემორჩენილია ასომთავრული წარწერის ფრაგმენტი; იგი ნა-  
66

წერია თეთრი სალებავით მუქი ლურჯი ფერის (კელავ ლურჯარდის) ფონზე. გრაფემების ზომაა  $6,5 \times 8,1$ ; სრული სახით შემორჩენილია ორი გრაფემის სიმაღლე—3,2 (ზე) და 3,7 (ჩრ). (ნახ. 37).



|        |        |                        |
|--------|--------|------------------------|
| 1 [ჩრ] | 4 [რა] |                        |
| 2 [ც]  | 5 [რა] | [წმიდად]   [იო]   ან ე |
| 3 [უ]  | 6 [ე]  |                        |

ნახ. 37.

7. აბისიდის სამხრეთი კედლის კიდეზე, მოციქულთა რიგის მეხუთე ფიგურასთან, მისი შარავანდის ჩამოსწერივ ოთხსტრიქონიანი წარწერაა (ცხეც ზემოთმოხმობილის მსგავსად ნაკლულია); იგი თეთრი სალებავით დაუტანია მხატვარს მუქ ლურჯ ფონზე. ფრაგმენტის ზომა —  $7 \times 15,2$ ; გრაფემების სიმაღლე — 2,2-2,8-3,6 (ნახ. 38).



|        |        |                      |
|--------|--------|----------------------|
| 1 [ჩრ] | 4 [ც]  |                      |
| 2 [ც]  | 5 [გა] | [წმიდად]   თა დე ო ზ |
| 3 [უ]  | 6 [ე]  |                      |
|        | 7 [ე]  |                      |

ნახ. 38.

ერთობ ფრაგმენტულია VIII ეკლესიის ჩრდილოეთი მკლავის ფერწერული შემკულობაც, განსაკუთრებით მისი ქვედა რეგისტრის ფრესკები. აქ, მკლავის ცენტრალურ, ჩრდილოეთ კედელზე წმ. მხედართა პერალდიუტი გამოსახულებები ყოფილა შესრულებული (VIII ეკლესიის მომხატვი თარატა კვლავ საბერებების ჩენამდე შემორჩენილი ქრისტოგიურად პირველი მოხატულობის ტრადიციებს აგრძელებს). ნალესობიდან ფერალვანი ფენის აღვენის გამო დაზიანებული კომპოზიციიდან შემორჩია: მხედართა ცხენების ცალკეული ღერალები, გველეშაპის ქერცლიანი სხეულის ნაწილი (წაგრავნილი კუდი), განრთხმული დიოკლეტიანეს ქვედატანი, ე. ი. ძირითადად სკენის ქვედა ნახევარი.

ფერწერის მცირე ნაშებია დარჩენილი მკლავის დასავლეთ კედელზეც, თუმცა დღეისთვის ამ უმნიშვნელო ფრაგმენტების მხედვით იმის განსაზღვრაც კი ძნელია, აქ ცალკეული ფიგურები იყო გამოსახული თუ რაიმე კომპოზიცია. მოპირისპირ, აღმოსავლეთ კედლის ფერწერისაგან არსებითად არაფერი დარჩა.


მკლავის კამარის ცენტრში, ფარუზისფერ მედალიონში შავი სალებავით გრაფიკულად ჩაწერილი ტოლმეკლავა ჭვარია გამოსახული, დასავლეთ და აღმოსავლეთ ქანობებზე კი — წინასწარმეტყველთა თითო ფიგურა. ორივე მათგანს ხელები მაღლა აქვს აპურობილი და მედალიონიდან გამომავალი, დრაპირებული ქსოვილის კიდეები უჭირავს. მათი სახეები ახლა ფაქტურად მოლიანად დალუპულია<sup>3</sup>.

1. VIII ეკლესიის საკურთხევლის მოხატულობაში, კონჭი გამოსახული. საყდარზე მჯდომი ქრისტეს გადაშლილ წიგნზე არსებული წარწერიდან ძალზე თხელფენიანი ბატქაშის ჩამოშლის გამო დღეისთვის ნაწილობრივ არის დარჩენილი რვა სტრიქონი. ფრაგმენტის ზომა — 26,7 × 30,3; გრაფემების სიმაღლე — 1-1,6-2,2-3-3,6-4,3. შესრულებულია შავი სალებავით მიწისიური აქრის ფონზე. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს, სიტყვები ერთმანეთისაგან დაცილებული არ არის, ქარაგმის ნიშანი — განივი სწორი ხაზი (ნახ. 57, სურ. 24).

წარწერა ნაკლულია, თუმცა ტექსტის ერთი ნაწილის აღდგენა ამგერად შეაძლებელია.

წიგნზე დატანილი ციტატა ოთხთავიდან არის ამოკრებილი. მისი პირველი სამი სტრიქონი verso-ზე მოხმობილია იოანეს სახარებიდან, კერძოდ, 8, 12-ის დასაწყისიდან („მე ვარ ნათელა სოფლისახ. რომელი შემომიდგეს მე, არა ვიდოდის ბნელსა, არამედ აქცნდეს ნათელი ცხორებისახ“). იმავე გვერდის შემდგომ

3. დ. გ. რ. შ. ვ. ი. ლ. ი. მ. მიერ ამ საუკნის 30-40-იან წლებში შესრულებულ ჩანახა-ტებში წინასწარმეტყველთა ფიგურები სრული სახითაა წარმოდგენილი (იხ. გილა, იგრის ხეობაში, წერილი მეორე, სურ. 4, 5). ე. ი. იმ ღროვისათვის ეს გამოსახულებები ჭერ კიდევ ძირითადად დაუზიანებელი იყო. სამწუხაროო, ავტორის ნახატები გაუწაფეთ ხელითაა შესრულებული (ძაბა ისიც ემატება, რომ დ. გონიშვილი მათ ქალების ფიგურებად მიიჩნევს) და დღის მათ მიხედვით იღნიშვნულ გამოსახულებათა შესახებ შექვლიბა ძნელია.



ნახ. 57

| verso          | recto       |
|----------------|-------------|
| 1 მარიამე      | 7 ქარ [...] |
| 2 ცო[წოის]     | 8 გიც[...]  |
| 3 აფთიასი      | [...]       |
| 4 ქარწერი      |             |
| 5 ძირისგვა     |             |
| 6 ჭარების[...] |             |

მე ვარ ნეათ[ელი ს]ეოფლისა,<sup>14</sup> რ(ომელმა)ნ ზეცით<sup>15</sup> გა[რდამო]ევე[ედ  
...] |<sup>17</sup>, რ(ომელმა)ნ [...] |<sup>18</sup> და [...]

სტრიქონებს რაც შეეხება, ისინი ნაწილობრივ ემთხვევა იოანეს სახარებისვე 6,41-ის და 6,51-ის ტექსტს (შესაბამისად: „ღრუკვიდეს მისთვის პურიანი იგი, რა-  
მეთუ თქუა: მე ვარ პური, რომელი ზეცით გარდამოვკედ“<sup>19</sup> და „მე ვარ პური  
ცხორებისამ, რომელი ზეცით გარდამოვკედ“).

<sup>14</sup> ქართული ოთხთავის ძეველი, XI საუკუნეშიდელი ტექსტის ამვეარ ჩედაქცისა  
და პარხალის ოთხთავებში ეხსელებით.

იოანეს სახარების დასახელებული ციტატებიდან ორს — ი. 8,12-ს და ი. 6,51-ს ქრისტიანული აღმოსავლეთის საზოთ ხელოვნებაში ჩვეულებრივად ხშირად მიმართავთ და ისინი სწორედ ქრისტეს გადაშლილ წიგნშე დასატანი ტექსტების ჩიგს ეკუთვნის. მაგრამ ჩვენს შემთხვევაში, როგორც ვხედავ, უცნაური და ძნელად ასახსნელი არჩევანია გაყეთებული — ეს ორი ტექსტი (უფრო ზუსტად — ტექსტთა გარკვეული ნაწილები), სხვა ცნობილი მაგალითებისაგან განსხვავებით, შერწყმულია. საბერებების VIII ეკლესიის მოხატულობას ამ მხრივ სხვა ძეგლებს შორის ანალოგი არ ეპოვება.

წარწერის მარჯვენა ნახევარი — recto თითქმის მთლიანად დაღუპულია, ამიტომ დღესათვის გაურკვეველი რჩება, იქ იოანეს სახარების იგივე ციტატა (ი. 6, 51) გრძელდებოდა, თუ სხვა ტექსტი იყო შესრულებული. პირველი სტრიქონის შემორჩენილი დაქარაგმებული დასაწყისი მაჩ—რ(მელმა)ნ თითქოს პირველი ვარაუდის სასაჩვებლოდ ლაპარაკობს<sup>6</sup> (შტრ. აღიშის თოხთავის ტექსტი): „მე ვარ პური ცხოველი, რომელი ზეცით გარდამოვკედ. რომელმან კამოს პურისა ამისაგან, ცხონდეს უკუნისამდე“. ჯრუკისა და პარხალის თოხთავებში ეს ადგილი განსხვავებული რედაქციით არის მოცემული), მაგრამ მეორე სტრიქონის პირველი ორი ასო ზე — და არ ემთხვევა იოანეს სახარების ამ ადგილს ქართული ოთხთავის ჩვენთვის ცნობილ ნუსხებში.

ამდენად, უნდა ვიფიქროთ, რომ წინა ნახევრის (verso-ს) მსგავსად, აქაც ისტატმა სხვა ციტატით (შესაძლოა კელავ ციტატების ნაწილებით) შეავსო ტექსტი. ეს, ბუნებრივია, კიდევ უფრო თავისებურს ხდის მოტანილ წარწერას.


წიგნზე დატანილ ამ ტექსტში ერთი შეუსაბამობაცაა: დაქარაგმებული მაჩ, ეპერი არ არის, უნდა გაიმიტოროს როგორც რომელმან. მაგრამ ამგვარად აღდგენილი ტექსტი — რომელმან ზეცით გარდამოვკედ სინტაქსურად სრულიად შეუთანხმებელია. ამის ნაცვლად წარწერაში უნდა ყოფილიყო რომელი ზეცით გარდამოვკედ, ისევე როგორც ქართული ოთხთავის უძველეს, აგრეთვე შედარებით მოვიანო (ბოლო) რედაქციებში.

2. საკურთხეველშივე, „ქრისტეს დიდების“ კომპოზიციის ქედა ნაწილში, ნუსხერნარევი კუთხვანი ასომთავრულით შესრულებულია ექვესტრიქნიანი წარწერა. მისი დასაწყისი საყდარზე მჭდომი ქრისტეს ტერთუებს შორის შესრულებული მარტივი გეომეტრიული სხის ირნამენტულ ზოლშია ჩაწერილი, მომტკიცნო ნაწილი კი ტერთუსადგამის მარჯვენა კიდეს ხუთ სტრიქონაზ ჩამოუყება. შესრულებულია შავი სალებავით ნაცრისფერ (ორნამენტის ფონი) და მიწისფერი ოქრის (ტერთუსადგამი) უონზე. უკირავს ფართობი: 72,5×20,6; გრაფუმების სიმაღლე — 1,1-1,5-2,1-2,8-3,3-3,9; განკვეთილობისა და ქარაგმის ნიშნები არ ახლავს, სიტყვები ერთმანეთისაგან არაა დატალებული. სალებავის აცვენის შედეგად ტექსტი რამდენიმე აღგილზეა დაზიანებული და ამიტომ წარწერა ფრაგმენტულია (ნახ. 58, სურ. 25, 26).

<sup>6</sup> The „Painter's Manuel“ of Dionisius of Fourna, Translated into English by Paul Hetherington, გვ. 88, 112.

<sup>7</sup> დაქარაგმებული სიტყვის ქარჯვას ნაწილს დაზიანების გასთვანის ციტატა მის მეტყველება, რომ აქ უდავოდ დაქარაგმებული რომელმან ეწერა და არა, ფაქტთ, რ'ნ—რომელნ, რ'ნ—რომელნიცა, რ'ნ—რომელნ—ესე, რ'ნ—რომელმანცა ან სხვა. შტრ.: ც. ვან კი ვი და დაქარაგმება V-X სს. ქართულ ეპიგრაფულ ძეგლებში. „პალოვგრაფოული ძიებანი“, წრ. ვგ. 125. ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, ქართულ წერის ნიმუშები, გვ. 404.

გ ა მ ო ც.: თ. ბარნაველი<sup>7</sup> (დედნ. შრიფტ.; მხედრ. ტრანსკრ.);  
ზ. სხირტლაძე<sup>8</sup> (დედნ. შრიფტ.; მხედრ. ტრანსკრ.; გრაფ. მონახ.).



ნახ. 58

- |   |                                  |
|---|----------------------------------|
| 1 | მ[ცც]ელიარუცამ-მ[წ]წყალურიშაიღარ |
| 2 | ა[ყ]უ[რა]შე                      |
| 3 | უსურ                             |
| 4 | უ[ცოჩ]                           |
| 5 | ცელური[ც]                        |
| 6 | უ[?] უსჩ [-] (?)                 |

მ[ა]ც[ც]ელიარ, უ(ე)მ(ი)წყალე მონა[?] უ[წინი] მწ[ვ]ერალ<sup>9</sup> ი. ლ[(ო)ცვა]||<sup>10</sup> ყავ[თ]||<sup>11</sup>  
ი[-]ირნ[-] (?)

თ. ბარნაველის მიერ გამოცემული ტექსტი: "...[...] მხატვარი[ი] შემწყალენ, ცოლ[ვანი] შემძინევენ. შეწყალენ[ი] ლ[ო]ცვასა [შემძინევენ]; ქორონებისა [სა]ც[ი]პ (?) (გ. ი. 190 + 780 = 970 წ. (?)).

ოსტატს, ჩანს, თავდაპირველად განზრახული ჰქონდა შედარებით მოკლე წარწერის შესრულება და შესაბამისად — მისი გეომეტრიულ ორნამენტში განთავსება, ჩაწერა; მაგრამ შემდგომ ჩანაფიქრი შეიცვალა და მწერალი იძულებული გახდა მინაწერი რამდენიმე არათანაბარ სტრიქონად ჩამოეგრძელებინა ტერფთსადგამის მარჯვენა ნაწილში.

I. როგორც ეცნდავთ, თ. ბარნაველისეული წაყითხვა არსებითად განსხვავდება ზემოთ მოტანილი ტექსტისაგან. მცდარად ამოკითხულ ტექსტთან ერთად ეს ქორონების აღმნიშვნელ ორ გრაფემასაც (რც) ეცნდა. საქმე ისაა, რომ მკვლევართან მოცემული გრაფემები ტერფსადგამის მარცნივ გამოსახული ხარის ფიგურის ქვემოთ არის დატანილი და ისინი სწორედ ამ ხიმბოლოს განმარტავს — ესაა ფრაგმენტი სიტყვისა კურო (ამის შესახებ — ქვემოთ). ამგვარი უზუსტობის მიზეზი უთუოდ ისაა, რომ წარწერა, როგორც თავად თ. ბარნაველი აღნიშვნავს, მას უშუალოდ არ უნახავს.

7 თ. ბარნაველი ი. კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, გვ. 58.

8 ზ. ს ხ ი რ ტ ლ ა ძ ე, ტაძრის მომხატვით ისტატის აღმნიშვნელი ტერმინისათვის ძველ ქართულში, გვ. 223, სურ. 2.

9 თ. ბარნაველი, დასახ. ნაშრობი, გვ. 56.

II. უდავოა. რომ მოტანილი წარწერა მოხატულობის ავტორს ეკუთვნის. უურადლებას იძყრობს ფერმწერის მიერ შეტენილი ადგილიც — საკურთხეველი<sup>10</sup> (VI ეკლესიის საცურთხეულში შემორჩენილ წარწერასთან დაკავშირებით შეუ საუკუნეების ქართულ კედლის მხატვრობის ძეგლებში არსებული მსგავსი მაგალითები ზემოთ უკვე იყო დასახელებული<sup>11</sup>). ამასთან, VII ეკლესიის ჩრდილოეთი მელავის აღმოსავლეთ კედლზე არსებული მინაწერის მსგავსად მხატვრის, ტაძრის მომახატვის აღსანიშნავად აქაც დამოწმებულია ტერმინი მწერალი. აღნიშნული ფაქტი მით უფრო ფასეულია, რომ მწერალი ასე ადრეული ხანის — X საუკუნის ს ხ ვ ა ღ ა ს ხ ვ ა ო ს ტ ა ტ ი ს მ ი ე რ შეს რ უ ლ ე ბ უ ლ ო რ რ მ ი ხ ა ტ უ ლ ო ბ ა შ ი გ ვ ხ ვ დ ე ბ ა.

საფიქრებელია, რომ თავად ფერმწერის სახელი წარწერის ბოლო სტრიქონში იყო მოცემული<sup>12</sup>.

III. VIII ეკლესიის ფერმწერისეულ წარწერაში გვხვდება საგულისხმო არქაული ფორმა — მაცხოვარი; იგი თანხმოვანურიან სახელთა იმ რიგს ეკუთვნის, რომელსაც წილებითი ბრუნვა ფუძის სახით აქვს წარმოდგენილი. მსგავსი მაგალითები მცირედ მოპოვება ძეველ ქართულში. ამგვარი ტიპის სახელები, საღაც წილებითი ბრუნვა წრფელობითის ფორმას იყენებს, ი. იმნაიშვილის მითითებით, ძირითადად ქრისტეს (ე. ი. საკუთარი სახელის) ეპითეტს წარმოადგენს. ამგვარად, საფუძველს მოკლებული არაა ვივარაულო, რომ საბერებების ამ გამოქვაბული ეკლესიის მომახატვის წარწერაში მოცემულ, აგრეთვე მის მსგავს სახელებს (ისინი სხვადასხვა წერილობით ძეგლებშია დადასტურებული), ამ გარემოების წყალობით აქვს შენარჩუნებული უძველესი ფორმა<sup>13</sup>.

IV. დაბოლოს — წარწერის შესახებ მიუთითებს დ. გონაშეილიც, თუმცა ან აქ მხოლოდ სიტყვა მაცხოვარო ამოიკოთხა<sup>14</sup>.

3. საკურთხეველში, აბსიდის სამხრეთ კედლზე, ქრისტეს საყდრის ქვედა კიდესთან (ტერთულისადგმთან), მის მარჯვნივ გამოსახული ხარის ფიგურის ქვემთ გაიჩინება ერთსტრიქინანი ნუსხურნარევი ასომთავრული წარწერის ბალზე ღაზიანებული ფრაგმენტი. შესრულებული შავი საღებავით მუქ წითელ (ლვანისფერ) ფონზე. უჭირავს ფართობი —  $10,8 \times 7$ ; გრაფემები აქ საკმაოდ დიდი ზომისაა, სიმაღლე — 5,5 (ნახ. 59, სურ. 27).


<sup>10</sup> განთავსების, შესაბამისად — აღმისი თვალსაზრისით საკურთხევლის აბსიდში შესრულებული მსგავსი შენარჩუსის წარწერის ანალოგიურად უნდა იქნას განხილული ისტორიული წარწერები კანკელის ანტაბლემენტზე (ცხადია, მის დასავლეთ მხარეს).

<sup>11</sup> მეგაზე მაგალითებს ეცვლებით სეანგზის: ი ფ რ ა ხ შ ი (თარინგზელ, 1096 წ.), ნ ა კ ი ფ ა რ შ ი (ჯგუა, 1130 წ.), წ ვ კ ა რ მ შ ი (ნაკათ თარინგზელ, XII ს.). იბ.: ვ. ს ი ლ ო ვ ა ვ ა კ მ ი ღ ი ღ ი რ თა უ რ ე ს კ უ ლ ი წარწერები ზემო სკანგზი, გვ. 52—56, 58—60, 63—64.

<sup>12</sup> იბ. VI ეკლესიის წარწ. № 5.

<sup>13</sup> მისგან ღლეოსთვის შემორჩენილი ფრაგმენტები ხელმოსაჭიდს არას გვაძლევს რომელი მე სახელის სავარაულო.

<sup>14</sup> დ. გ რ ნ ი შ ვ ი ლ ი, ივრის ხეობაში, წერილი მეორე, გვ. 54.



ნახ. 59

1 ტეტრადი

კურთ

4. საკურთხევლის სამხრეთ კედელზევე, „ქრისტეს ღიღების“ კომპ. ზიკის მარჯვენა ნაწილში, კერძოდ — უფლის საყდრის ძელთან გმოსახულ ლომის ფიგურას ახლაց ორ სტრიქონად განაწილებული ნუსხურნარევი ასომთავრული წარწერა. შესრულებულია შავი სალებავით მუქ წითელ (ლვინისფერ) ფონზე. უჭირავს ფართობი  $8 \times 4,1$ ; გრაფემების სიმაღლე — 1,6-2,1. წარწერის მარცხენა ნაწილი ნალესობის ჩამოშლის გამო დაზიანებულია (ნახ. 60, სურ. 28).



ნახ. 60

1 მეტრი

2 მეტრი


ლომი

წარწერა თავისებურავაა შესრულებული — ნალესობის გაუპრიალებელ და უხეშ ზედაპირზე მსხვილი ფუნგის ერთიანი მონასმით გამოყვანილ გრაფემებს ამის გამო არასწორი კონტურები აქვს.

5. აბსრდის ჩრდილოეთ კედელზე, საყდარზე მგდომი ქრისტეს ფაგურის მარცხნივ გამოსახული მრავალურთელის ქემოთ შესრულებული ორსტრიქონანი ასომთავრული წარწერიდან დღეს მცირე ფრაგმენტებიღა შემორჩა. მისი ზომაა —  $11,9 \times 9,7$ ; გრაფემების სიმაღლე — 4-4,5; ქარაგმისა და განკუთოლობის ნიშნები არ ჩანს. შესრულებულია შავი სალებავით მუქ წითელ. მოყალიბის გამო დაზიანებულია მარცხენა ნაწილი, რომელიც მარცხენა ნაწილში მდგრადად დასახლდა.

<sup>15</sup> ლ. გონაშვილი, ივრის ხეობაში, წერილი მეორე, გვ. 54.

ვისტრო ფონშე. წარწერა დაზიანებულია ნალესობის აცვენის გამო (ნახ. 61, სურ. 29).



ნახ. 61

საფიქრებელია, რომ აქ სიტყვა მრავალთუალი იყო დატანილი — ქერაბინის (ქერაბინთა) ალსანიშნავად. ეს ტერმინი რამდენჯერმე გვხვდება ძველ ქართულში. შერ.: „რომელსა გიგალობენ... ანგელოზნი, ანგელოზთ მთავარნი, საყდარნი, ოკულებანი, მთავრობანი, ქელმწიფებანი და ძალნი, ქერობინნი მრავალთოვლანი და ექოს ექოს ფრთენი სერაბინნი“ (წმ. იაკობის უამისწირების იოანე ზოსიმესული, 985 წლის ნუსხა — 12,5; 47,26)<sup>16</sup>; „აქებენ კიითა გალობისახთა ქერობინნი მრავალთოვლანი და ექოს ექოს ფრთენი სერაბინნი და ყოველნი დასნი ზეცისანი თოვალთ შეორედგამად სამებასა სამგოვალოვნებასა“ (დასდებელნი ყოველთა წმიდათანი, X ს., 248,12)<sup>17</sup>; „მრავალთოვალთაგან ქერობინთა იქებია“ (თქუმბული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იაკობ მოძღვარისა ბატნანელ ეპისკოპოზისა, რომელ არს საროგისამ, ცხორებისათვის წმიდისა ლთისმშობელისა და შობისათვეს ოლისა ჩუენისა თკ ქრისტიან წმიდისა ქალწულისაგან, A-19, X საუკუნის ნუსხა, 175, 25)<sup>18</sup>, და სხვ.

მრავალთუალი ძველ ქართულ წერილობით წყაროებში გაცილებით იშეიათადა დადასტურებული ვიდრე ქერაბინი (ქერაბინი. ქერობინი და ა. შ.); ეპიგრაფიკულ მასალას, კერძოდ ფრესკულ წარწერებს რაც შეეხება, ამ მხრივ, დღეისათვის, VIII ეკლესიის მოტანილი წარწერის ანალოგი ჩვენთვის ცნობილი არ არის.

<sup>16</sup> მევლა სახელმძღვანი — „ლტერატურა წმიდა დაკბისი“ გმირებრული მ. თარჩნიშვილის მიერ. M. Tarchnisišvili, Liturgiae Ibericae Antiquiores, Scriptores Iberici, Series I, Tomus I, lexicon (Corpus Scriptorum Christianorum Orientalium, vol. 122), Lovani, 1950.

<sup>17</sup> იბ. პ. ინგოზო თუ კო კევლი ქართული სასულიერო პოეზია, წ. 1, ტფილის, 1913.

<sup>18</sup> ცეკვა ზოგადია კ. კეკელიშვილები პებლიკის მიხედვით იბ. კიმინი, I, ტფილის, 1918, კვ. XLV; ქართულ ხელნაწერთა, აღწერილობა, A კოლექცია, I, თბ., 1973, გვ. 58, 64.

აღნიშნული ტერმინის ერთო მაგალითი დასახელებული აქვს ი. აბულაძესავ. იბ. მისი, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, გვ. 293.

6. განმარტებითი ხასიათის სამსტრიქნიანი ასომთავრული წარწერა ახლ-და აძსიდის სამხრეთ კელელზე გამოსახულ მრავალფრთხოებისაც. ტექსტი (მე-მორჩენილი ნაშთების მიხედვით თუ კიმსჯელებთ, მისი ზომა უნდა ყოფილიყო  $23,5 \times 14,5$ ) აქაც ფიგურის ქვემოთ დაუტანია ოსტატს. წარწერიდან მხოლოდ რამდენიმე გრაფემალა შემოინახა (სიმაღლე — 1,5-3,5), რომელთა განთავსება გვაფიქრებინებს, რომ აქ სიტუაცია მრავალთუალი (ან მისი შემცველი წინა-დადება) იყო დატანილი (ნახ. 62).



ნახ. 62

- 1 [შა]ტ[უ] [თ]
- 2 [ცოტუ] [ც]
- 3 [თ' [-]] [...] (?)

[მრა]ე[ნ] [ალთუ]ა[ჭლ]-] [...] (?)

7. საკურთხევლის კონქის ჩრდილოეთ ქანობზე, უფლის საყდრისთავის მარცხნივ წარმოდგენილი ფარშავანგის გამოსახულების ზემოთ მკაფიოდ იყო-თხება შევი სალებავით მუქ წითელ ფონზე შესრულებული ოთხსტრიქნიანი კუთხოვანი ასომთავრული წარწერა, ზომით —  $7,7 \times 12,8$ ; გრაფემები აქ სხვა-დასხვა სიმაღლისაა — 1,6-2,5-3,6-4,9; ქარაგმის ნიშანი არ ახლავს. წარწე-რის დასაწყისის ოთხსაზოვანი სისტემის ბალეშია განაწილებული, მის დასა-სრულს კი ვეხვდება ნუსხური 1 0 (ნახ. 63, სურ. 30).

საბერებების VIII კელესის მოხატულობა შეა სუკუნების ქართულ შონევნების ფერ-წერის შეორუ ძეგლია, სადაც ფარშავანგის გამოსახულებები არის დადასტურებული. მსგავს მიგალითს ზემო კრიბის ეკლესიის ფერწერის პირველ, X საუკუნის ბოლო მეოთხედან დათა-რიცხებულ ფენაზეც ვხდებით<sup>19</sup> (თუმცა იქ რამდენიმე ფარშავანგი გამოსახული და ამასთან არა კონქში, არამედ საკურთხევლის სტრიუმფუ თაღის პილასტრზე, საყმალ ქვემოთ; ამ უკანასკნელთ სხვავარი ფრენებაც აყისრია). მაგარად, ეს თემა დღესათვის ქართული კუ-ლის მხატვრობის ორი, შედარებით აღრეული ხანის, ამავე დროს — სრულად სხვადასხვა

<sup>19</sup> Т. Б. Вирсаладзе, Фрескозеят რაციათა ვ ცეკვას არქანგელოვ სასა ვინი-ჯი, გვ. 157—163, სურ. 7.

ჩეკითონთა მხატვრული სკოლის ძეგლშია ცნობილი და ორივე დაახლოებით ერთი და იმავე პერიოდთ (X საუკუნის ბოლო) თარიღდება. უნდა ვიფიქროთ, რომ აღმოსავლურ და წინა-ქრისტიანულ (ანტიკურ) ხელოვნებაში ფართოდ მიღებული ეს სიმბოლო უკეთებისა და უბრწყელობისა<sup>20</sup> შეა საუკუნეების ქართული მონუმენტური ფერწერისთვისაც უცხო არ ყოფილი; უფრო მეტიც — ჩანს, ფარმავანგის (ფარმავანგთა) ფერწერული გამოსახულებები ჩვენში სიყასაღო რელიეფებისა და მინატურის მსგავსად აქც გრძელებული პოპულარობით საზოგადობრივი განვითარებით, მას უფრო სიმბოლური ფუნქცია ექისრება, ეილრე დეკორაციული.




ნახ. 63

8. ჩრდილოეთი მკლავის ჩრდილოეთ კედელზე, წმ. მხედართა ჰერალდიკური გამოსახულებებს ქვედა ნაწილში განირჩევა მიწისფერი ოქრის ფონზე შეკვეთი სალებავით დატანილი ასომთავრული წარწერის (წარწერების?) ფრაგმენტები. კომპოზიციის მარცხნა ნაწილში, წმ. თევდორეს ცხენის ფეხსა და გველებაშის ფიგურას შორის ნალესობის ძალზე თხელი ფენის ჩამოშლის გამო მხოლოდ შავი სალებავით შესრულებული ორი სტრიქონის უმნიშვნელო ნაშთითილი არის დარჩენილი, ზომით —  $4,1 \times 5,6$ ; აქ. ზედა სტრიქონში, ზ დ გრაფების ქვედა ნაწილი — მუცელი მოჩანს, მის მარცხნივ — რომელილაც ასოს ნაწილი. ქვედა სტრიქონში შემოჩენილია 7 ან 7 ე ასოს ქვედა ფეხი, მის მარჯვნივ — ფ ფ, შემდგომ კი — მცირე დეტალი ახლა უკვე უცნობი ასოსი.

<sup>20</sup> A. C. Уваров, Христианская символика, ч. I. Москва, 1908, с. 199—204; Lexikon der christlichen Ikonographie, Bd. 3, 1971, col. 409—411, L. H. Appleton, S. Bridges, Symbolism in Liturgical Art, New York, 1959, p. 74.

იქვე, გველეშაპსა და დიოკლეტიანეს განმეორავი წმ. გიორგის ცხენის წინა ფეხებს (ე. ი. არსებითად მხედრის ორ გამოსახულებას) შორის ოთხსტრიკონიანი ნუსხურნარევი ასომთავრულით შესრულებული წარწერაა. იგუ შავი სალებავით არის დატანილი მიწისფერი ოქრის ფონზე, ჩარწერილია ოთხსაზოვანი სისტემის ბალეში. უჭირავს ფართობი —  $33,7 \times 20,4$ . წარწერა სხვადასხვა სიმაღლის საკმაოდ მსხვილი გრაფემებითა შესრულებული; მათი სიმაღლეა — 1,4-2,4-3-3,6-4-5,4. ქარაგმისა და განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს, სიტყვები ერთმანეთისაგან არ არის დაკილებული. წარწერა საკმაოდ დაზიანებულია (ნახ. 64, სურ. 31).



E&B 64



საბერძნების მოხატულობებში — შეუ საკუთხევების ქართული კელიის მხატვრობის ამ აღრიცხულ ნიმუშებაში წმ. მხედართა ოემის (გამათან V და VIII კულტესიების ინტერიერში კუ-ლაზე უკეთ აღსაკმელ აღგილზე მათ საქამაო დიდი ზომის პერალიტური კამისახლების) არსებობის ფურტი სრულიდ კანონზომიერ ჩანს, თუკი გავითვალისწინებთ იმ დიდ პოპულარობას, რომელიც წმ. გვირგვის კულტს ჰქონდა ჩეკშიც! შეუ საკუთხევებას ქართულ მო-ნუმეროულ ფერწერაში აღნ შეული ტაიის გამოსახულებათაგან ეს კრიო უაღრეს ნიმუშ-თავანი, აქევ, საბერძნების მოხატულობებში დამოწმებულ ირიოლე სხავათან ერთო შე-სახებ იხ. ზემოთ) იმაზეც მეტყველებს, რომ გარეჯის ფერწერული სკოლის ფრინველების

ერავნული მუზეუმის მიერ გვითხოვთ, რომ ეს კულტურული ძეგლების მსგავსია (მდგრ. გვითხოვთ VI კაპიტალი<sup>17</sup>, სოლანას წმ. ბაზარის ეკლესია<sup>18</sup>, Sakli Kilise<sup>19</sup>, გვითხოვთ XIX<sup>20</sup> კაპიტალი<sup>21</sup>, Susut Bayri Bei Urganç-p.<sup>22</sup>, იუსუფ კიშ ქილის ისესია<sup>23</sup> მოხატულებები<sup>24</sup>) ეს თეატრი ერთ-ერთი უკრძალული შემცირებული იქნა, როგორც სასურავილი და აუცილებელი<sup>25</sup>. შემდგომ იყო ტრადიციულადაც იქნა და საუკუნოთა მანძილზე, ჩაავალ-მოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძეგლებიდან სხვადასხვა იუსუფ კიში ტარმილების წმ. მესტრების გამოსახულებები კამოქვებულ ეკლესია-სამლოცველოთა ფრესკები, შემცირებული უცილესობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძეგლი.

მოტანილ ორ ფრაგმენტს შორის ფერწერული ფენის აცვენის გამო შექმნილი ლაკუნა ახლა უკვე საშუალებას არ იძლევათ, ეს გველებასის გამოსახულებით ორად გაყოფილი ერთი წარწერის ნაწილებია თუ ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ტექსტი. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ პირველი მათგანი შედარებით ზემოთაა დატანილი და მისი გაგრძელება, ე. ი. მარჯვენა ნახევარი, მეორის — უფრო მარჯვივ შესრულებული წარწერის პირველი სტრიქონის ზემოთ არ მოჩანს. ამ უკანასკნელის, შედარებით სრულად შემონახული ფრაგმენტის შინაარსი გვაიღიქრებინებს, რომ იგი მაინც დიოკლეტიანეს. „უფად მოძახურისა და ცუდად მშუაობარის“ ფიგურას ეკუთვნოდა. როგორც ჩანს, ტექსტი წმ. გიორგის ცხოვრების ერთ-ერთი რედაქტირითან არის ამორიდებული<sup>30</sup>.

9. ეკლესიის ჩრდილოეთ მკლავში, მისი დასაცლეთი კედლის უკიდურეს ჩრდილო კუთხეში, იატაკის ღონილან 215 სმ-ის სიმაღლეზე მოჩანს მიწისფერი ოქრის ფონზე შავი საღებავით შესრულებული კუთხოვანი ასომთავრული წარწერის ფრაგმენტი. უკირავს ფართობი  $8,2 \times 11,1$ ; გრაფიკები სხვადასხვა სიმაღლისა — 1,3-2,5-3,4-4; ქარაგმისა და განკუეთილობის ნიშნები არ ახლავს.

<sup>22</sup> G. de Jerphanion, Les églises rupestres de Cappadoce, t. I, fasc. 1, aa. 97.

<sup>23</sup> ପାତ୍ର, ପୁ. 11, ୬୯. 1, ପାତ୍ର. 322, ପାତ୍ର. 169, ..

<sup>24</sup> M. Restle, *வாசாத் தொகைமுறை*, ப. II, உபக. 32.

25 օվան, ՏԵՐ. 246 և 247.

<sup>28</sup> օվան, հ. III, և ուժ. 384.

<sup>37</sup> N. Thierry, Yusuf Koç Kilisesi, *Église rupestre de Cappadoce*, „Mansel's Armağan'dan ayrı basım“. Reprinted from *Mélanges Mansel*, Ankara, 1974, p. 198—199, ph. 79.

<sup>28</sup> ପାଦମୂଳିକାମ୍ବି ପତ୍ର ଗୋହରଙ୍ଗରୁ ଉଚ୍ଚାରଣ ମୌଖିକାନ୍ତକିଲେ ତଥାପିଶ୍ଚ ନାମ: S. Kostof, Caves of God, The Monastic Environment of Byzantine Cappadocia, Cambridge, Massachusetts, 1972, p. 157.

<sup>29</sup> А. И. Вольская, Ранние росписи Гареджи, 23, 6.

წარწერის შარტენა ნაწილი ნალესობის ჩამოშლილ ფენასთან ერთად დაიღუპა (ნახ. 65, სურ. 32).



ნახ. 65

წარწერის შესრულების ადგილი ვეაფიქრებინებს, რომ იგი ისტორიული ხასიათისა უნდა ყოფილიყო. სამწყხაროდ, ნაკლულოვანების გამო წარწერიდან აზრის გამოტანა დღეისთვის შეუძლებელია.

მოტანილი ფრაგმენტის მესამე სტრიქონში ა. ო ვრაფემა ერთგვარად ც. თ-ს ვვაგონებს (მესაბამისად ჩნდება თთ დაბოლოების აღდგენის იდეაც), მაგრამ ანალოგიური მოხაზულობის ა. თ-ს კვლავ ეხვდებით ეკლესიის სამხრეთი ნაკვეთი ევვდერის აღმოსავლეთ ქანობზე, „ხარების“ კომპოზიციის განმარტებით წარწერაში (იხ. ქვემოთ); ც. ო ვრაფემა კი საბერევების ამ ეკლესიის წარწერებში გაცილებით პატარა ზომისაა და სტრიქონში ასე მაღლა—ოთხხაზოვანი ბალის პირველ (ზედა) ხაზამდე არასოდეს ადის. ამ ფრაგმენტის ი. ა—დ(მერთ) დაქარაგ-მებულ სიტყვად აღდგენაც საეჭვაო, რადგან ეკლესიის ფრესკულ წარწერებში დაქარაგშების უკლებლივ ყველა შემთხვევაში გვხვდება ქარაგმის ნიშანი, აქ კი იგი არ ჩანს.

10. ჩრდილოეთი მელავის დასავლეთ კულელზე, გის მარჯვენა კუთხეში, იატაკის დონიდან 320 სმ-ის სიმაღლეზე შესრულებული წარწერიდან დღეისათვეს სამი სტრიქონი შემორჩია. ამ ნუსხურარევი კუთხოვნი ასომთავრულით შესრულებული წარწერის ზომა —  $7 \times 4,9$ , გრაფემების სიმაღლე — 0,9-1,2-2. დატანილია შავი საღებავით მიწისფერი ოქრის ფონზე. ქარაგმისა და განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს. წარწერა ნაკლულია ნალესობის ფენის ჩამლის გამო (ნახ. 66).

- |                |               |
|----------------|---------------|
| 1 [...] [-] ეფ | [...] [-] ეფ* |
| 2 [...] [-] ეზ | [...] [-] ეზ  |
| 3 [...] [-] ა  | [...] [-] ა   |

\* სულ (?). აქ გმირუსხულია მეტ ფრაგმენტი, რადგან პ. მ. ვრაფემა საბერევების ამ ეკლესიის წარწერებში საქმოდ გრძელი პორტონტული ხაზით იწერება. ე. ეს მარტინი შესრულებული ვრაფემის ნაშთს კი იყი არ გაჩინა.



[...]  
1 [-] Φ'[Σ]  
2 ΤΙΠΩ[Ω]  
3 Τ{ι}

[...] [-] η [ɔ] |<sup>2</sup> ຂງລົມ|<sup>3</sup> ໂ {η}

528, 66

ამ წარწერის დასასრულს, მესამე სტრიქონში ზ კ გრაფემის შემდეგ მოჩანს შეკვეთული დატანილი მცირე ზომის ხაზი. ეს კ ი გრაფემის დასწერად განკუთვნილი მონასმი უნდა იყოს, თუმცა გაურკვეველი მიზეზის გამოასო ბოლომდე დასრულებული არ ყოფილა.

გამოსახულება, რომელსაც მოტანილი წარწერა ეკუთვნოდა, ამჟამად აღარ არსებობს (ჩრდილოეთი ბჟეზის ამ კედელზე ბათქაში თითქმის მთლანად ჩამოშლილია). ამასთან შინაარსის მიხედვით შეიძლება დაბეჭითებით ითქვას, რომ იგი განმარტებითი ხასიათისაა. ამ შემთხვევაში გაუგებარი რჩება, თუ რატომ დაიტანა ოსტატმა ესოდენ მცირე ზომის წარწერა ასე მაღლა. იგი ხომ ამ ეკლესიის სხვა ფრესკული წარწერებისაგან განსხვავებით ქვემოლან ფაქტო-ურად არი კი აღიმება.

11. ჩარდილოეთი მკულეობის კამარაზე გამოსახული ორი ფიგურის თანმხედვი განმარტებითი წარწერები ნალესობის ჩამოშლის გამო ამჟამად აღარ ასე-ბობს. გამოსახულებების საკმაოდ სქემატური, გაუწავავი ხელით შესრულებული ჩანახატები გამოქვეყნებული აქვს დ. გონაშვილს<sup>31</sup>. ჩანახატებზე მოჩანს ფიგურების ზემოთ არსებული საკმაოდ მსხვილი წარწერების ფრაგმენტებიც. დასავლეთ ქანობზე შესრულებულ გამოსახულებასთან, მის გარცხნივ მოჩანს სამი გრაფიმა — ზედ წელი<sup>32</sup>, აღმოსავლეთ ქანობზე გამოსახული ფიგურის

<sup>31</sup> Ե. ՏԵՂԵՑՅԱՆ, ՊԵՂՈՎ ԽԵՂՈՎԱՇՅՈ, ՎԵՐՈՎՈՎ ԹԵՂՈՎԻ, ՏԵՂՈՎ, 4, 5, 23, 54.

მარჯვნივ, ზეაპყრობილ ხელთან იყითხება ორი ასო—შე შე (ადგილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს წარწერის დასასრული უნდა იყოს).

წარწერები, ჩანს, იმთავითვე — იმ საუკუნის ოცდაათიან-ორმოციან წლებში უკვე საკმაოდ დაზიანებული იყო.

---

წერების ძალზე თავისებური გრაფიკის შეონე შე დ ასოს, რომლის მაგალითი სსკრებული აკტორის მიერ ამავე ფრაგმენტის უკვე ზუსტად გაღმოხატული ბოლო ასოა.

## VIII ეკლესიის სამხრეთით გამოკვეთილი მცირე სამლოცველოს ფრესკული ზარზერები

VIII ეკლესიის სამხრეთით ასევე კლდეში გამოკვეთილი მცირე ზომის სამლოცველო. ეს კაპელა ფაქტიურად ეკლესიის საკურთხეველთან დამაკავშირებელი ღიობის ფუნქციასაც ასრულებს, რადგან იგი ორმხრივ — ჩრდილო-ეთიდან და სამხრეთიდან გახსნილია, ხოლო დასაკლეთიდან აღმოსავლეთით გადამივალი კამარის წყალობით ერთგვარად შესასვლელის სახეც აქვს მიღებული. ეკლესის აღმოსავლეთ კედელში მცირე ზომის, დაბალი საკურთხეველია კლდეშივე გამოკვეთილი, პატარა, აწ თითქმის სულ ჩამორღვეული ტრაპეზითურთ.

სამლოცველო მთლიანად ყოფილი შელესილი და ზონაზე მისი მხატვრობა ეკლესიის ფრესკების ანალიგიური, ფრიად უწევეულო ხელწერით — მსგავსი კოლორიტით, მკერთად გრაფიკული სტილით, ფიგურების გადმოცემის, სახეთა აგებისა და წერის იმავე მანერით გამოიჩინა. ამ ორ მოხატულობას შორის მსგავსება იმდენად დიდია და აშენა, რომ უდავოა — მცირე კაპელის ფერწერული შემცულობაც ტაძრის მომხატავ რსტატსე ეკუთვნის და, ცხადია, ისიც X საუკუნით უნდა დათარილდეს.

ეკლესის საკურთხეველში გამოსახულია არქაული ტიპის განიერ საყდარზე მჯდომი ღმრთისმშობელი ყრმითურთ და მის ორივე მხარეს წარმოდგნილი მთავარანგელოზებითურთ.

იესოს გაწვდილ მარცხნაში გრავნილი უჭირავს, ხოლო მარჯვენა დედის ქელზე აქვს მოხვეული. ღმრთისმშობლისა და ყრმის სახეები ერთმანეთს ეკვრის. წმ. მარიამის აქ წარმოდგენილი იყონოგრაფიული სახე „ელეუსას“ (ჩანსა) ტიპის დღიუსთვის ცნობილი უაღრესი ნიმუშია შეუა საუკუნეების ქართულ სახვით ხელოვნებაში. ამჟამად იგი ძლიერ არის დაზიანებული; ნალესობის განზრახ დაფხატვის გამო თითქმის მთლიანად დაიღუპა ღმრთისმშობლის სახე, კომპოზიციის ცალკეული დეტალები. მთავარანგელოზთა სახეები ასევე განზრახ დაზიანებულია.

სამლოცველოს კამარის აღმოსავლეთ და დასავლეთ ქანობზე შესრულებულია ორი სცენა — „ღმრთისმშობლის ხარება“ და „წმ. მარიამისა და ელისაბედის შევეღრა“. „ხარებას“ კამარის აღმოსავლეთი ქანობის მთელი განი უჭირავს. კომპოზიციაში მარცხნივ მახარებელი ანგელოზია გამოსახული, მარჯვნივ — მჯდომარე მარიამი. მისი საყდარი ისეთივე ტიპისაა, როგორც ქრისტეს VIII ეკლესიის საკურთხევლის კონქში.

კამარის დასავლეთი ქანობის ჩრდილოეთ ნაწილში გამოსახული „მარიამისა და ელისაბედის შეხვეღრის“ სცენა ასევე ლაპონურია; იგი ტრადიციულ იყონოგრაფიულ სქემას იმეორებს — სხვადასხვა ფერის მაფორიონებით მოსილ წმ. მარიამსა და წმ. ელისაბედს ერთმანეთისათვის ხელი აქვთ მოხვეული,

შეორე კი — მისალმების ნიშნად მყერდს წინ ზეაწეული, ნებით მაყურებლი-საჟენ. მათი სახეები ერთმანეთს ეკვრის, შარავანდები გადაკეთილია.

ამ სიუკეტის მარტინი, მთელი ტანით, en face წარმოლგენილია სასული-ერო პირის გამოსახულება. აღნიშნული ფიგურა „მარიმისა და ელისახეზის შეხეებრის“ სცენისაგან ვერტიკალური ზოლით გამიქნული არ არის და ერთ-გვარად კომპოზიციაში შემგვალ პერსონაჯადაც კი აღიქმება.

გაძინსახულება მზისა და ნალექების ზემოქმედებისაგან დაზიანებულია — არ შემორჩა მისი სახე, გადაშლილია სხეულის ქვედა ნაწილი. ფრესკაზე გამო-სახულ პირს მარჯვენა ხელი მყერდს წინ აქვს აღმართული, ნებით მაყურებლი-საჟენ, ქსოვილით დატარულ მარტენაში ფირუზის თელებით შემული კვად-რატული ფორმის წიგნი უჭირავს!

საგულისხმოა, რომ ფრესკაზე სასულიერო პირს ძვირფასი თელეპით შემ-კული კვადრატული შარავანდი აღდას.

საკურთხევლის დასავლეთ, ხოლო სამლოცველოდნ ეკლესიაში შესას-ვლელი ლიობის ნახევარწრიული მოხაზულობის თაღის სამხრეთ პირს მარტივი გეომეტრიული სახის ორნამენტული ზოლი გადუკვება.

1. VIII ეკლესის სამხრეთით მიმდებარე, ასევე კლდეში ნაკვეთი მცირე სამლოცველოს საკურთხევლის ცენტრში გამოსახული „ელეუსას“ ტიპის ღმრთისმშობლის საყდრის მარცხენა ტელის ზედა კიდეზე განირჩევა მცირე ზომის ერთსტრიქონიანი დაქარაგმებული წარწერის ფაზგმენტები. წარწერა შესრულებულია შავი სალებავით ღია ყავისფერ (მიწისფერი ოქრის) ფონზე. მისი ზომაა  $5,3 \times 3,1$ . შედარებით სრულად შემონახული წ წ გრაფემის სი-მაღლეა — 2,4; განკვეთილობის ნიშნები არ გააჩვევა; ქარაგმის ნიშანი — სწო-რი, განივი ხაზი გამსხვილებული ბოლოებითურთ (ნახ. 67).



წ წ წ წ წ

წ(მიდა) მ(არი) მ

ნახ. 67

2. მცირე სამლოცველოს საკურთხეველშივე, ღმრთისმშობლისა და ყრმა-იესოს საყდრის მარჯვენა ძელის ზედა კიდეზე მქაფიოდ იკითხება ერთსტრი-ქონიანი დაქარაგმებული წარწერა. ამავე საყდრის მცირე ძელზე მოთავსებუ-ლი, ზემოთ მოხმობილი წარწერის მსგავსად ესეც შავი სალებავითაა დატანილი ღია ყავისფერ (მიწისფერი ოქრის) ფონზე. წარწერის ზომაა  $4 \times 3,3$ ; გრაფე-მის სიმაღლე — 2,3 და 2,8; ქარაგმის ნიშანი — გრძელი (3,8 სმ.), განივი, სწო-რი ხაზი გამსხვილებული ბოლოებითურთ (ნახ. 68, სურ. 33).

1. ა. კოლექცია მას ეპისკოპოსად მიიჩნევს.



+ 7


ქ(ჩისტ)ე

ნახ. 68

წარწერა საინტერესო ხასიათისაა — აქ უთუოდ განზრახ არის გამოტოვებული სახელი ი(ესო)კ. როგორც ჩანს, ეს ადგილის სიმცირით უნდა აიხსნას (თუმცა, სურვილის შემთხვევაში, მხატვარს აქ ღმრთისმშობლის დაქარაგმებული სახელის მსგავსად იოლად შეეძლო განეთავსებინა ასევე დაქარაგმებული 74 + 7).)

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ღმრთისმშობლის, ისე ქრისტეს სახელის აღმნიშვნელი წარწერები ოსტატმა არა ტრადიციისამებრ, მათი შარავანდების გასწერივ, არამედ კვემოთ — საყდრის ძელებზე განათავსა.

8. მცირე სამლოცველოს საკურთხევლის ჩრდილოეთ კედელზე, „ელეუსას“ ტიპის ღმრთისმშობლის გამოსახულების მარცხნივ წარმოდგენილ მთავარანგელოზს ახლავს ერთსტრიქონიანი ნუსხურნარევი ასომთავრული განმზრებითი წარწერა. საყურადღებოა, რომ იგი მთავარანგელოზის შარავანდში არის მოქცეული (წარწერა მის ზედა ნაწილში, უშუალოდ ანგელოზის კულულებს ზემოთაა დატანილი); შესრულებულია შავი საღებავით ლია ყავისფერ (შარავანდის ფერი) ფონზე. ზომა — 6,8×3,5; შედარებით სრულად შემონახული თ ლ გრაფების სიმაღლეა — 0,9. ქარაგმის ნიშანი — გრძელი (5,1 სმ.), განივი, სწორი ხაზი, რომლის მარცხნა დაბოლოება ქვემოთაა მოხრილი, ხოლო მარჯვენა კიდეზე მცირე ზომის ვერტიკალური ხაზია დატანილი. ნალესობის ჩამოშლის გამო დაზიანებულია წარწერის ქვედა ნახევარი (ნახ. 69, სურ. 34).



, 7, 1, 7

მ(ი)ქ(ე)ლ

ნახ. 69

4. ერთსტრიქონიანი ასომთავრული განმარტებითი წარწერა ახლავს ამავე საკურთხევლის სამხრეთ კედელზე გამოსახულ მთავარანგელოზსაც. წარწერა აქცაც მის შარავანდშია ჩაწერილი. შესრულებულია შავი საღებავით ლია ყა-


ვისფერ ფონზე. ზომა —  $5,7 \times 4,7$ : წარწერაში არც ერთი გრაფემა სტული სახით არ არის შემონახული. მათი მიახლოებითი სიმაღლეა 2-2,3. ქარაგმის ნიშანი — განიერი, ოდნავ მრუდი ხაზი ქვემოთკენ დახრილი ბოლოებითურთ. წარწერა დაზიანებულია ბათქაშის ფენის ჩამოშლის გამო (ნახ. 70).



ნახ. 70


ამგვარად, VIII ეკლესიის სამხრეთით გამოკვეთილი მცირე სამლოცველოს მომზარული ისტატის ორიგინალური მხატვრული აზროვნება საკურთხევლის ზემოთ განხილული (ღმრთისმშობლის, ქრისტეს, მთავარანგელოზთა სახელების აღმნიშვნელი) წარწერებისთვის ადგილის შერჩევაშიც მეღაენდება.

ნ. სამლოცველოს კამარის აღმოსავლეთ ქანობზე გამოსახული „ხარების“ კომპოზიციის ზედა ნაწილში, ღმრთისმშობლის გამოსახულების ზემოთ იყითხება შავი სალებავით ღია ნაცრისფერ ფონზე დატანილი ერთსტრიქონიანი ასო-მთავარული წარწერა. მისი ზომა —  $7,6 \times 4,8$ ; გრაფემების სიმაღლე — 4,2; ქარაგმის ნიშანი არ შემორჩია (ნახ. 71).



ნახ. 71

ე. იქვე, „ხარების“ კომპოზიციის ქვედა ნაწილში, მთავარანგელოზისა და ღმრთისმშობლის ფიგურებს შორის ჩართულია ოთხსტრიქონიანი ნუსხურნა-რევი ასომთავრული წარწერა, რომელიც შესრულებულია შავი სალებავით ღია ნაცრისფერ ფონზე. ზომა —  $18,5 \times 16,7$ ; გრაფემები აჩათანაბარი სიმაღლისაა — 1,1-2-2,8-3,5-4-5,8; განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს. წარწერა მოქ-ცეულია ოთხხაზოვანი სისტემის ბალეში (ნახ. 72, სურ. 35).



ნახ. 72


წარწერა მისთვის განკუთვნილ ფართობზე საქმაოდ არათანაბრად არის განაწილებული—გრაფემა ۱ ლ ამის გამო პირველ სტრიქონზე ცელარ მოთავსდა და ოსტატმა იგი ქვემოთ ჩაიტანა. ამაზევე მიუთითებს მეოთხე სტრიქონზე გადატანილი ორი ასოც — ՚ ՚ ՚, აგრეთვე აქეთ-იქით გადახრილი გრაფემები.

VIII ეკლესიის და მის სამხრეთით გამოკვეთილი კაპელის მოხატულობაში ანგელოზის აღსანიშნავად ორჯერ გვხვდება ტერმინი აგელოზი.

7. ამავე კაპელაში, კამარის დასავლეთი ქანობის სამხრეთ ნაწილში, „მარიამისა და ელისაბედის“ შეხვედრის<sup>1</sup> კომპოზიციის მარცხნივ გამოსახული ისტორიული პირის შარავანდსა და მარცხენა მხარის შორის შესრულებული ასომთავრული წარწერიდან ახლა მხოლოდ ՚ ՚ ՚ გრაფემა იყითხება (ნაჩ. 73, სურ. 36). მის ორსავე მხარეს ძალზე მკრთალი, მუქი ნაცრისფერი ლაქები მოჩანს, რაც მოწმობს, რომ აქ რამდენიმე ასოსგან შემდგარი ერთი ან ორსტრიქონანი წარწერა იყო დატანილი. სამწუხაორო, ფრესკაზე—გამოსახული ამ სასულიერო პირის — როგორც ჩანს, სამ ლოცველოს და თავად ტარის მოხატვის ინტენსიური და მომდევნობის მიზანისათვის დაკარგულია (ამ ადგილზე ბათქაში დაუზიანებელია, ისე რომ, ჯერ კიდევ შესაძლებელია სახელი სპეციალური ფოტოგადაღების საშუალებით იქნას გამოვლენილი).

როგორც ამინიშნა, სასულიერო პირს ფრესკაზე მარგალიტებით მოოქეილი ლია მოყვითალო ფერის ოთხეუთხა შარავანდი აღსა, რაც იმაზე მიგვაწვებას, რომ გამოსახულება მის სიცოცხლეშივე იქნა შესრულებული<sup>2</sup>, ისევე როგორც ისტორიულ პირთა პორტრეტებით თესა-

<sup>1</sup> E. Kitzinger, Portraiture in Byzantine Art, in: „The Art of Byzantium and the Medieval West: Selected Studies“, Indiana University Press, Bloomington, London, 1976, p. 259.



б. б. 73

ლონიკესა და რომის ეკლესიების აღრეკრისტიანული გპოქის მოზაიკებში (თებალონიკეს წმ. დომიტრის ეკლესია — VII ს. 3; რომში: თანე VII-ს კაბელა — VIII საუკუნის პირველი მეოთხედი<sup>4</sup>, სანტა მარია ინ დომინიკა — 818 წ. 5, სანტა არასედე — IX საუკუნის პირველი მე-

თუ უთხა ნიმბების შესახებ აგრეთვე ი. В. Ф. Гринейзен, Египто-эллинистический  
ритуальный портрет и средневековые портреты Рима с *tabula cira vitricem*, «Христианский Восток», т. I, вып. 2, 1912, с. 220—236; J. Osborne, The Paintings of the Anastasis in later Church of San Clemente, Rome: a Re-examination of the Evidence for the Location of the Tomb of St. Cyril, Byzantium, tome LI, fasc. 1, 1981, p. 269—271, esp. 270.

<sup>3</sup> E. Kitzinger, დასახ. ნაშრომი, გვ. 207, ტაბ. 1. საფულასტერი. რომ R. F. Hoddinot-ის მიხედვით თუ უთხა შეასვენდი VIII-IX ს. რომი ულ „ხელოვნების ისთვის დამასათხებელი“ ნიშნავა. მკლევარი უარყოფს თესალონიკეს ეკლესის პანეტულობაში მდგრადი ტიპის შარავანდების არსებობას (R. F. Hoddinot, Early Byzantine Churches in Macedonia and Southern Serbia, London, 1963, p. 151).

<sup>4</sup> W. Oakeshott, Die Mosaiken von Rom, Von dritten bis zum vierzehnten Jahrhundert, Leipzig, 1967, Abb. 108.

<sup>5</sup> იქვე ფერადი ტაბ. XX, სურ. 114.

ოთხედით, სანტა ჩენილია ინ ტრასტევერე — კულავ IX საუკუნის პირველი შეოთხედით, სან მარია — IX საუკუნის შეორუ შეოთხედიმ), აგრეთვე ოშეას ტაძრის ქტიორულ რელიეფზე (IX საუკუნის 60-აანი წლებიდან)⁹.

VIII ეკლესიის სახმრეთით ნაცენტ შეირჩე კაპელაში წარმოდგენილი ეს გამოსახულება VI ეკლესიის შოთატულობაში შესრულებულ ქრისტიანის ფიგურასთან ერთად ისტორიულ პორტრეტის დღვეოსთვის ცნობილ უაღრესი ნიშვნება გარეჯის ფერწერულ სკოლაში (ცრთ-ერთი უაღრესი ქართული ნიშვნება შოთისი). მისი შესრულების აღვალი, თავად ფიგურის გამოსახულის მანერა, იმის გადაწყვეტილება, რომ იგი ფერ კადევ შორს დგას შეა საუკეთესო ქართული ისტორიული პორტრეტისათვის დამახასიათებელი ძირითად მხატვრულა ნიშვნებისგან, რომელსაც შეაღმამდ, ჩემში მონაცენტრული ფერწერის სხვა გეგმა ასაკისა, ტრადიციულ გვედებით ამ სამონასატრო მხატვრულ ცენტრშიც (გარეჯის მრავალმიზის სკოლის არსებობის მთელს მანძილზე ისტორიული პორტრეტი შოთატულობის განვითარებულ ნაწილად ჩინება და თოთქების კუთა ნიშვნები გამოიდა).

• ღ ნიცნული პირის სამლოცველოს ფარგლერულ შემკულობაზე  
სიცოცხლეშივე გამოსახვის ფაქტი, ვლინერობთ, საბერებებში მის-  
ვა აქტიური მა სასულიერო და სააღმშენებლო მოღვაწეობაშ განა-  
პირობა—აროვორც ითქვა, იგი უნდა იყოს VILLI ეკლესიის მოხატუ-  
ლობის მომგებელი და გამოქვაბული კაპელას ფლავიან მისივე  
სამწირეო დანართი.

წარწერის შესახებ მიუთითებს ა. ვოლსკაია. მისი აზრით, შემორჩენილი გრაფება სიტყვის დასაწყისის ასრა<sup>10</sup>.

ამრიგად, როგორც ვნახეთ, VIII ეკლესიის და მის სამხრეთით გამოკვეთილი მცირე ეკედერის მოხატულობაში უკლებლივ ყველა გამოსახულებას ახლავს (ახლდა) შევი საღებავით შესრულებული წარწერა. ისინი შეტად ლაკონურია. განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ განმარტებით წარწერებს მხატვარი ძირითადად ტალალიკიული წმიდად სიტყვის გარეშე წერს (შდრ.: პ-ჭ, +უ, პ+თ, უ-ჟს, უ-ცეტაზ ც-ცილბ-ზ), ე. ი. მიუთითებს მხოლოდ ძირითადს, გამოსახულების ან სკენის განმარტებისათვის აუცილებელს.

სატარი წარწერებს საკმაოდ თავისუფლად განათავსებს. სტრიქონთა რა-  
ოდენობა მისთვის წინასწარგანსაზღვრული არ არის. ამის გამოა, რომ გრაფე-  
მების სიმაღლე მეტწილად სსვადასხეა, იცვლება სტრიქონების ზომაც. ზოგ-  
ჯერ წარწერა ძალზე არათანაბრად არის განწილებული (მაგ. „მწერლის“ —  
მხატვრისეული წარწერა).

განსაუთრებით საყურადღებო და მნიშვნელოვანია ეკლესიისა და კაპელის ფრესკულ წარწერებში მათი დაწერილობა. წარწერები აქ პალეოგრაფიულად იძლენად თეოთმყოფადი და ერთგვაროვანია, რომ უცემლია — ყველა მათ-განი ერთი და იმავე ოსტატს, ამასთან უდაცოდ თავად ფერწერს ეკუთვნის (ამაზე ხომ საკურთხევლის წარწერაც მიგვითითებს); მისი თავისის ბური, ძალზე ორი-გინალური განატვრული ხელვა ფრესკული წარწერების გრაფიკული გამოვლინდა.

საბერებების წარწერათა ამ გვუფის ერთ კველაზე შეიცვლოვან თავისებურება არის, რომ ქართულენოვანი ფრესკული ეკიგრაფიის ჩემნოვის

\* W. Oakeshott, લાદાબ. નુઝેરો, સુર્ય. 124.

Digitized by srujanika@gmail.com

• 931. 53. XXIII.

\* W. Djibadze, The Donor Reliefs and the Date of the Church at Oski, Byzantische Zeitschrift, Bd. 69, Heft 1, 1976, pl. IV-V.

<sup>10</sup> A. Volskaya, Peintures murales du monastère rupestre de Sabéréébi.

კონბილი სხეა ნიმუშებისაგან განსხვაებით, გრაფემების ერთი ნაწილი — ყბ, ტ, ჭ მ, ჩ ნ, ტ ლ, ქ რ ა ქ ძ ძლზე ახლო დგას არა ხელნაწერთა ასოების მოხაზულობასთან (როგორც ჩევეულებრივ), არამედ ლაპი და რული წარ რ ე რ ე ბ ი ს პალეო რ ა ფ ი უ ლ ნიშნებთან. ეს განსაკუთრებით IX-X საუკუნეების ძეგლებს ეხება.

წარწერები აქ ოთხაზოვანი სისტემის ბალეშია განაწილებული, ამასთან ზედა, პირველ ხაზამდე აზიდულია ზ ჭ, ტ მ, ჩ ნ, ქ რ ა ასოთა ბუნები, მეოთხე ხაზამდე ჩამოდის ყ ბ, ე გ, რ ლ, ი ვ, ზ ვ, ჭ უ, ფ ჟ, წ წ, ც ვ გრაფემების ქვედა დაბოლოებები, მეორე და მესამე ბაზებს შორის კი მოთავსებულია ც ა, ი ი, ტ თ, თ ლ, ტ ლ, ა ო გრაფემები. საგულისხმოა, რომ ასოების ნაწილი — ი ი, თ ლ, ჩ ნ, ც ც ა ქ ნუსხურია. ამგვარ მოვლენას — ასომთავრულ ტექსტში ნუსხური ასოების ჩართვას, აგრეთვე ორაბოვანი სისტემის ნაცვლად გრაფემათა ოთხაზოვან ბალეში განაწილებას X საუკუნის ქართულ ეპიგრაფიკაში ხშირად ეხვდებით და მას ამ ხაზის ერთ-ერთ პალეოგრაფიულ ნიშნად მიიჩნევენ<sup>11</sup>.

VIII ეკლესიისა და მისი ეკვდერის ფრესკულ წარწერებში ზოგიერთი ასო თავისებური მოხაზულობით გამოიჩინევა. მათზე განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ. ეს, ერთი მხრივ, ტაძრის მოხაზულობის დათარილებისათვის დამატებით შემატებულებელ საფრანგელს იძლევა, მეორე მხრივ კი უდავოდ საყურადღებო მასალაა ქართულენოვანი ფრესკული ეპიგრაფიკის შესაწავლად.

ც ა გრაფემას საბერების ამ ეკლესიის და კაპელის ფრესკულ წარწერებში მეტწილად მქაფიოდ კუთხოვანი მოხაზულობა ახასიათებს; ამდენად, მისთვის ნიშანდობლივია ნუსხური დამწერლობისაკენ მიღრეკილება. ასოს მარჯვნივ პირიზონტულად მიმართული პარალელური ტოტების დაბოლოებაზე მცირე ზომის ვერტიკალური ხაზებია დასმული. საზოგადოდ ასეთივე დაბოლოება აქვს ც ა-ს მარცხნივ გაზიდულ ტოტსაც (თუმცა, ამ შემთხვევაში, რამდენიმე სახესხვაობა გვხვდება: გრაფემების ნაწილს მარცხენა ხაზის კიდე ზეაწეული აქვს, ნაწილს კი — ქვემოთ მოღუნული; ზოგი ასოს თავაზების მარცხენა ბოლო წარწერებში გაფორმების გარეშე, სწორი ხაზის სახით არის მოტებული).

ვრაფემების დაბოლოებათა ამგვარი გაფორმება საერთოდ დამახასიათებელია საბერების ქართულენოვანი ფრესკული წარწერების ამ ჯგუფისათვის.

ყ ბ-ს გახსნილი, ამასთან კუთხოვანი თავი ასევე მეტყველებს გრაფემის განუსხურებისაკენ მისწრაფებაზე. ასოს კლაკნილი კუდი მარჯვნივ საგრძნობლად არის გაზიდული.

ტ გ თავისი გრაფიკით ძალზე გვაგონებს ჭილ-ეტრატის იადგარის ამავე გრაფემას<sup>12</sup>. მისი კლაკნილი კუდიც სწორედ აღნიშნული პერიოდის ნიმუშებისთვის არის დამახასიათებელი. გრაფემის თავს რაც შეეხება — იგი IX-X

11 ივ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართული პალეოგრაფია, გვ. 173; ნ. შ ო შ ი ა შ ვ ი ლ ი, ც. ც ი ს კ ა რ ი შ ვ ი ლ ი, სოფელ ლოდოთის ცხრაკარის ეკლესიის წარწერა, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIX-A—XIX-B, 1957, გვ. 92; გ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ატ-ნის სიონის უცნობი წარწერები, გვ. 172—173; ქართული წარწერების კონცესი, 1, გვ. 33.

12 ჭილ-ეტრატის იადგარი, (ტაბულები ტექსტში არის ქართული).

საუკუნეებზე უფრო აღრული ხანისათვის ნიშანღობლივ მოხაზულობას ინარჩუნება<sup>13</sup>. მხოლოდ ერთგან — საკურთხეველში, ქრისტეს წიგნზე დატანილ წარწერაში გვხვდება ეს გ დამატებითი მარცხნივ გაზიდული ხაზით (ამ უკანასკელის ბოლო ქვემოთ არის მოხრილი).

გრაფემის მსგავსი დაწერილობის სხვა შემთხვევა ჩვენთვის უცნობია. ვფიქრობთ, იგი VII ეკლესიის და ეკვდერის მომზატეი, მეტად თვითმყოფა-დი და უჩვეულო ხელწერის შეონე ღსტატის ორიგინალური შემოქმედების ნა- ყოფია.

7 ე გრატემა საბერეების ფრესკული წარწერების ამ ჯგუფში მარცხნივ განვიდული დამატებითი განივი ხაზის გარეშე იწერება, ზოგ შემთხვევაში კი იგი მხოლოდ ორნაზ გადადის ძნელად შესამჩნევი მცირე მორჩის სახით.

7 გ-ს შუცელი გახსნილი აქვთ. მისი ნახევარჩეალისა და მარტინი გაზიდული ზედა პორიზონტული ტოტის დაბოლოებები აქ გამსხვილებებით არის გაფორმებული; ამასთან, პირველ შემთხვევაში (გახსნილი მუცლის კიდეზე) დაბოლოება თარაზული ხაზის სახითაა მოცუმული.

ეს გრაფებია კორპუსის ქვემოთა განსაზღვრული ნაწილით სხვადასხვა პერიოდის ეპიგრაფიულ ნიმუშებშია დადასტურებულია<sup>15</sup>, მაგრამ განსაკუთრებით დამახასიათებელი მაინც VIII-X სს. ძეგლებისთვის ჩანს. მათგან, როგორც საბერეების VIII ეკლესიის და ეკვდერის ფრესკული წარწერების ამ ასოსთან მოხაზულობით შედარებით ახლო მდგომი (თუმცა არა იდენტური) უნდა დავასახელოთ აღიშის<sup>16</sup>, ყრეპის<sup>17</sup>, წყაროსთავის (X საუკუნის ბოლო მეოთხედი)<sup>18</sup> ოთხთავების ზე ც გრაფები.

13 ნ. ვ თ შ ი ა შ ვ ი ლ ი, ურბისის ქედელი ჭართული წარწერები, გვ. 142, შენ. 37; თ. ბარ-ნაველის გარებული მითოგებით, ანალოგიური მოვლენა უცხო არაა IX-X საუკუნის ქედე-ბისთვისაც. იხ. თ. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი. უსანერთისა და წრომის სტრუქტების თარიღისათვის, „მაცნე“, ისტორიის, აზერბაიჯანის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1969, № 1, გვ. 208.

14 օճ. Հոլո-եթրացու օալցարու քամույթինսաւուու բարտեղլու բածուլուն.

15 ამგვარი მოხასულობის ზე ჰკე 7 VII საუკუნის ნაშეტ ლექციონაზე არის ცნობილი. შემდეგი ლექციისთვის, რომელიც იმპერატორი ტემის მიერ მიმდინარეობდა.

<sup>10</sup> Адатское свангелие. 200 фототипических таблиц и предисловие Е. С. Таканшвили, Материалы по археологии Кавказа, вып. XIV. Москва, 1916.

17. 2. 2023 8:32. Здравствуйте! Благодарю за помощь. 22. XI. 2023 14:

ც თ-ს და Q თ-ს ჩვენს წარწერებში ერთგვარი, ოთხუთხა მუცული აქვს. გრაფემების კუდი პირველ შემთხვევაში (ც თ) სწორი, განივი, ზოგჯერ საკმაოდ გრძელი ხაზის სახით ების თოხუთხების მარჯვენა ფრერის (შდრ. რაგნის ეპე-სიის აღუნასრ ერისთავისეული წარწერა, ომელას ც 11 საუკუნით თათრილე-ბენ<sup>19</sup>); Q თ გრაფემას ჩაც შეეხება, აქ უდი უშუალოდ აგრძელებს მისი მუც-ლის ქვედა ჰორიზონტულ ხაზს. ორივე ასოს ეს ჰორიზონტული განიდალი კუდები მცირე გამსხვილებით ბოლოვდება. მხოლოდ ორ შემთხვევაში, კერ-ძოდ, ეკლესიის ჩრდილოეთი მკლავის დასავლეთ კედლის ქვედა ნაწილში და ეკვდერის კამარის აღმოსავლეთ ქანობზე, „ხარების“ კომპოზიციის ქვედა ნა-წილში შესრულებულ წარწერებში კუდებით Q თ-ს მარცხენა ნაწილის მორ-კალული, ნახევარწრიული მოხაზულობით (დასახელებულთაგან პირველ წარ-წერაში გრაფემის კუდის დაბოლოება მოხრილია და ქვემოთ დაშვებული, მე-ორეში — ზეაწეული).

7 თ-ს, როგორც განუსხურებული გრაფემის შესახებ ზემოთ აღვინდნეთ; ამავე ღროს, VIII ეკლესიის წარწერების ნაწილში — ქრისტეს გადაშლილ წიგნზე დატანილ ტექსტში და ტაბრის მომხატვის მიერ შესრულებულ ისტო-რიული ხასიათის მინაწერში (მეორე სტრიქონში) ზოგი 7 ი თავისი მოხაზუ-ლობით მხედრულს უახლოვდება, თუმცა კვლავ ინარჩუნებს ნუსხურისთვის ნიშანდობლივ კუთხოვან მოხაზულობას. ზოგ შემთხვევაში ასო მთლიანად გად-მობრუნებულია და მისი ორივე ბოლო ერთ დონეზე დგას.

ამგვარი პალეოგრაფიული თავისებურება ჩვენი წარწერების შექმნის პე-რიოდის განსაზღვრისას ერთობ საგულისხმო ფაქტია, ამასთან, დღეისთვის, როდესაც მხედრული დამწერლობის X საუკუნით დათარილებული უკვე რამ-დენიმე ნიმუშია მიყელეული<sup>20</sup>, იგი მოულოდნელი აღარ ჩანს. მხედრულთან ახლო მდგომი<sup>21</sup> (თუმცა არა მხედრულივით მრგვლოვანი) რამდენიმე გრაფემა საბერებების ამ ეკლესიისა და კაქელის ფრესკული წარწერებიდან (შდრ. წარ-წერა ფარშავანგის გამოსახულებასთან) სწორედ უკანასკნელ წლებში მიკ-ელეულ ნიმუშებთან, კერძოდ, ატენის სიონის დასავლეთი აბსიდის ბემის კუ-თხეში შესრულებული მხედრული წარწერის 7 თ-სთან (მეორე სტრიქონში) ამქალანებს მსგავსებას (ეს უკანასკნელი 982-986 წლებით თარიღდება<sup>22</sup>).

შ თ-ს მუცლის შემკვერელი ხაზი ყოველთვის გადადის ვერტიკალური ბუ-ნის მარჯვნივ. გრაფემების ერთ ნაწილში იგი გამსხვილებით ან ქვემოთ დაწ-ვებული მცირე კავით ბოლოვდება. ასოს ზედა ჰორიზონტული ხაზი საკმაოდ გრძელია — იგი მარცხნიერ საგრძნობლად არის გაზიდული (მის კიდეზე, ზოგ შემთხვევაში, მცირე ზომის ზეაწეული მორჩია დატანილი).

